ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

VIII სემესტრის სტუდენტის **ქეთევან ტუხაშვილის**

საბაკალავრო ნაშრომი:

არტჟურნალისტიკა სამაუწყებლო მედიაში: მოვლენები და თანამედროვე დისკურსული პრაქტიკა

(საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და „არტარეას“ მაგალითზე)

საბაკალავრო ნაშრომი შესრულებულია

ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე,

ჟურნალისტიკის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023 წელი

შინაარსი:

შესავალი 5

- საკვლევი თემის შერჩევის მოტივაცია და აქტუალურობა 5
- კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები 6
- ტერმინის განმარტება, საკითხის შესწავლის მდგომარეობა და ძირითადი მიმართულებები 9

თავი I: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 15

- უცხოურენოვანი წყაროები 15
- ქართულენოვანი წყაროები 24

თავი II: კვლევის დიზაინი 33

- ნაშრომის სტრუქტურა 33

თავი III: კვლევის მეთოდოლოგია 36

- კვლევის ჩარჩო 36
- კვლევის შერჩეული მეთოდები. 30
- საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზები 42

თავი IV კვლევის ობიექტი 46

- თანამედროვე არტჟურნალისტიკა: მონოთემური არხები და ტელეარხების პროგრამულ ბადეში დარგობრივი მასალების ჩაშენების პრაქტიკა 46

დასკვნა 77

- ძირითადი შედეგები 77
- რეკომენდაციები 80

ბიბლიოგრაფია 81

დანართები 83

დანართი 1 83

დანართი 2 85

დანართი 3 97

დანართი 4 98

ანოტაცია

კულტურა და ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი სფეროებია, შესაბამისად, ხელოვნების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ჟურნალისტიკის არსებითი ნაწილია.

როგორც ვიცით, მედიას ადამიანის მოსაზრებებზე, შეხედულებასა და გემოვნებაზე დიდი გავლენა აქვს, ამიტომ ჟურნალისტებს მოვლენათა ობიექტურად და ოპერატიულად გაშუქების პასუხისმგებლობა აკისრიათ. არტჟურნალისტიკაში მომუშავე პროფესიონალებს კი, ამ სტანდარტებთან ერთად, ამბის თხრობის ტექნიკების ცოდნა და შესაბამისად გამოყენება, კრეატიულობა, საზოგადოებისთვის მაღალი კულტურის შეთავაზება, ამასთანავე, საინტერესო და აქტუალურ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება მოეთხოვებათ.

წინამდებარე საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, დარგის პროფესიონალთა მოსაზრებებსა და ემპირიული ველის ანალიზზე დაყრდნობით, შევისწავლოთ არტჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა ქართულ მედიაარხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხსა და "არტარეას" გადაცემათა განხილვის მაგალითზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნაშრომი არტჟურნალისტიკით დაინტერესებულ პირებს მედიაგარემოს შეფასებაში დაეხმარებათ.

Ketevan Tukhashvili

Arts Journalism in the Georgian Media (the First Channel, “Artarea”)

Art and Culture are crucial parts of public life, therefore, coverage of the subjects related to various fields of art is an indispensable part of journalism.

It is common knowledge the media has a great impact on person’s opinions, view and tastes, so journalists have the responsibility of reporting events objectively and expeditiously. Along with these standards, professionals are obliged to know the techniques of storytelling and use them accordingly, be creative, and offer high culture to the public.

Presented Bachelor’s qualification thesis is an attempt, based on the opinions of professionals in the field and the analysis of the empirical field, to study the modern state of arts journalism on Georgian media channels: found in the example of the discussion of programs on The First Channel And “Artarea”. We believe above mentioned thesis will help those who are interested in arts journalism to evaluate the media environment.

შესავალი

- საკვლევი თემის შერჩევის მოტივაცია და აქტუალურობა

თანამედროვე სამაუწყებლო მედიის საეთერო დროის დიდი ნაწილი, დღეისათვის, პოლიტიკის საკითხების განხილვას ეთმობა, ხშირია ბრიფინგებისა და გამოსვლების პირდაპირი ტრანსლაციაც, ამიტომ კულტურის სფეროს ამსახველი თემების სიღრმისეულად გაშუქებისთვის გაცილებით ნაკლები დრო რჩება.

წინამდებარე თემის აქტუალურობა აღნიშნული დეფიციტის მიზეზებისა და არსებული გამოცდილების შესწავლას უკავშირდება. მასალის გააზრება სასარგებლო იქნება, როგორც თემით დაინტერესებული მკვლევრებისთვის, ისე უშუალოდ ტელემედიაში მომუშავე პრაქტიოსებისა და ფართო მკითხველისთვის.

საკვლევად წინამდებარე თემის შერჩევის მოტივაცია არტჟურნალისტიკისადმი (ტერმინის ეტიმოლოგიასა და მნიშვნელობაზე ნაშრომის შემდგომ ქვეთავში ცალკე გვექნება საუბარი, იხ. გვ.8) ინტერესია, რაც ზოგადად, კულტურის სფეროს მიმართ სუბიექტური დამოკიდებულებით გამოიხატება.

კულტურა საზოგადოების ცხოვრების ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც ნებისმიერი ცივილიზაციის ფუნქციონირებასა და განვითარების ვექტორებს წინასწარ განსაზღვრავს. მედია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, თავის მხრივ, ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას. შედეგად, კულტურის ელემენტები (ხალხთა ტრადიციები და წეს-ჩვეულებები; რელიგია; ენა; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები; ხელოვნების ნიმუშები) ჟურნალისტთა ფოკუსში, ხშირად ექცევა. ამ მხრივ, მედიაში წარმოდგენილი კულტურული ტექსტებისა თუ ვიზუალური თხრობის ბუნების საკითხი აქტუალურობას არ კარგავს.

ტელევიზიის გუშინდელი და დღევანდელი დღის გააზრება მისი განვითარების დინამიკის შესწავლას გულისხმობს. გარკვეულ მანძილზე გამოსახულების სიგნალის გადაცემიდან დაწყებული, სადღეისოდ კი კომპიუტერული ტექნიკითა და სათანამგზავრო საშუალებებით მხარდაჭერილი თანამედროვე ტელემედია ყოველწამიერად მნიშვნელოვან სიახლეებს გვთავაზობს.

XX საუკუნის ადამიანმა ხელოვნების სრულიად ახალი სახეობა შექმნა: ეკრანის ხელოვნება, კინოსა და შემდეგ - ტელევიზიაში სამყაროს სმენითი და ბგერითი სახე აღბეჭდა. XXI საუკუნემ კი სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა, ეს არის ეპოქა, სადაც ტექნიკური განვითარება ხშირად თეორიულ ცოდნას უსწრებს. ციფრულმა მედიამ კი საკომუნიკაციო გარემო სრულად შეცვალა და სოციალური ურთიერთობები არსობრივად სხვა საფეხურზე გადაიყვანა. შეიცვალა მედიამომხმარებელიც.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, შევისწავლოთ თანამედროვე ქართული ტელემედიის გამოცდილება არტჟურნალისტიკასთან მიმართებაში მონოთემური ტელეარხის „არტარეასა“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პროგრამაში ჩაშენებული გადაცემების განხილვის მაგალითზე. მნიშვნელოვანია კულტურის რეტრანსლაციის საერთაშორისო მედიაგამოცდილება და შედარებითი ანალიზი ადგილობრივ მედიაბაზართან, რაც იმის დადგენაში დაგვეხმარება, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებს მედია საკუთარ ფუნქციას, იზრუნოს საზოგადოების განათლებასა და განვითარებაზე, შესთავაზოს თემატიკათა მრავალფეროვანი მოზაიკა, გაართოს ის და შექმნას მეტად ინტელექტუალური, გემოვნებიანი მაყურებლის ახალი თაობა.

○ კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

დღეს ჟურნალისტებიცა და აუდიტორიაც ჭარბი ინფორმაციული ნაკადებისა და მასკულტურის ზემოქმედების პირობებში იმყოფებიან, რამაც შესაძლოა მოხმარებული ინფორმაციისადმი სუსტი მგრძნობელობა და ესთეტიკური გემოვნების დაქვეითება გამოიწვიოს.

„ინფორმაცია, როგორც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, კაცობრიობას, თვალსაჩინო სარგებელთან ერთად, პრობლემებსაც მუდამ უქმნიდა. თუკი მე-20 საუკუნეში მთავარ გამოწვევას ინფორმაციის მოპოვება-შენახვა წარმოადგენდა, დღეს სპეციალისტების მიზანი ჭარბი ინფორმაციული ნაკადების იმგვარი კონსტრუირებაა, როცა საჭირო ინფორმაციის პოვნა

მარტივია, ხოლო საინფორმაციო გარემოში ნაკლებადაა ე.წ. ინფორმაციული ნაგავი, ან როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, ინფორმაციული ხმაური.

Cumulus Media-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს სოციალურ ქსელ YouTube-ში წუთში 4,3 მლნ. ნახვა დაფიქსირდა, საძიებო სისტემა Google 3,7 მლნ.-მა მომხმარებელმა გამოიყენა, გაიგზავნა 187 მლნ წერილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და კიდევ 38 მლნ. WhatsApp-ში, Facebook-ზე კი გაზიარებულ იქნა 25 000 გიფი.

ეს ქსელში ინფორმაციის ცირკულაციის გიგანტური მოცულობაა. საკითხავია, რაოდენ სანდო და სასარგებლოა ის მომხმარებლისთვის, თუ საქმე საინფორმაცო ხმაურთან, გვაქვს.“[1]

შესწავლილი პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე განისაზღვრება კვლევის შერჩეული ობიექტი და საგანი, მისი მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია სამეცნიერო კვლევის საერთო, შუალედური ან საბოლოო შედეგების წარმოდგენა. მიზანი კვლევის ზოგად განზრახვას ასახავს, ამიტომ ის მოკლედ, ლაკონურად და მნიშვნელობით უკიდურესად ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მიზნის განსაზღვრა მკვლევარს კვლევის სათაურისა და თემის საბოლოოდ დადგენის საშუალებას აძლევს. კვლევის ლოგიკის წარმოდგენით მეცნიერი ამოცანებს აყალიბებს, რომლებიც იმის შესახებ უნდა იძლეოდნენ წარმოდგენას, თუ რა უნდა გაკეთდეს მიზნის მისაღწევად.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მედიაში კულტურის გაშუქების ხასიათის შესწავლა აუცილებელი ხდება, რათა არსებული თემატური სპექტრის შინაარსობრივ თავისებურებებზე უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ.

[1] Görke A, Vasylyk L, Schocher S, Chalaganidze N (2021), Communicating conflicts: history, status-quo and perspectives in the media of Georgia, Ukraine and Germany, Deutschland: Bundesrepublik Deutschland Auswartiges Amt (https://cutt.ly/qwqKcfsB ბ.ნ: 20.05.23 18:00)

კვლევის მიზნები:

- ქართულ საინფორმაციო სივრცეში არტჟურნალისტიკის ადგილისა და როლის შესწავლა/განსაზღვრა მონოთემური ტელეარხებისა და კონკრეტული ტელეკომპანიების სამაუწყებლო ბადეში ჩაშენებული კულტურის ბლოკებზე დაკვირვების მაგალითზე („არტარეა," საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი);
- არტჟურნალისტიკასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული ცოდნისა და პრაქტიკის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო გამოცდილებასთან და რელევანტური პრობლემების გამოკვეთა.

კვლევის ამოცანები:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და მონოთემური არტჟურნალისტიკის არხის „არტარეას" მიდგომის დადგენა არტჟურნალისტიკისადმი (რა დროს უთმობს მედია არტმასალებს, რა ადგილი უჭირავს კულტურის კონტენტს სამაუწყებლო ბადეში, რამდენად პროფესიონალურად ასრულებენ საკუთარ საქმეს ჟურნალისტები, რა თემატიკაზე ამახვილებს ყურადღებას სარედაქციო პოლიტიკა);
- არტჟურნალისტიკის, როგორც დარგის მნიშვნელობისა და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესწავლა;
- საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში არტჟურნალისტიკის მდგომარეობის დადგენა და საერთო სურათის წარმოდგენით დღევანდელი ვითარების აღწერა, ასევე, სამომავლო პროგნოზებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა.

○ ტერმინის განმარტება, შესწავლის მდგომარეობა და ძირითადი მიმართულებები

ტერმინ „არტჟურნალისტიკის“ (ლათინურიდან: “Arts journalism“) გამოყენებისას ჟურნალისტიკა ხელოვნების რეტრანსლატორად, ახალი სულის „ჩამბერად“ და მისთვის განსხვავებული შესაძლებლობების მიმცემად მოიაზრება. არტჟურნალისტიკა მხოლოდ არსებული ფორმებითა და წესებით ხელმღვანელობას კი არა, კრეატივს, ამასთანავე მხატვრულ-შემოქმედებითი უნარების მქონე და სიახლეებისთვის მზადმყოფ პროფესიონალებს მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტიკასა და ხელოვნებას იმაზე მეტი საერთო აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი, რადგან მედია სწორედ ხელოვნებასთან უწყვეტ კავშირში აყალიბებს გამოსახვის ფორმებსა და ვიზუალური თხრობის სახეებს. შესაბამისად, ხელოვნების ყველა მიმართულება: თეატრი, კინემატოგრაფია, მუსიკა, არქიტექტურა, პოეზია, გრაფიკული დიზაინი, მხატვრობა, კომიქსები, ცეკვა და სხვ. მედიის ყოველდღიური ინტერესის სფეროა.

ხელოვნება და ჟურნალისტიკა დამოუკიდებლად ავრცელებენ ინფორმაციასა და მესიჯებს მიმდინარე მოვლენებზე, ერთი რეალურ ფორმებში, მეორე კი ესთეტიკური პრეზენტაციით, პირველი - ადამიანის გონებაზე, მეორე კი - ემოციებზე აპელირებს.[2]

კულტურა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, რადგან ის კონკრეტულ პერიოდში არსებულ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს, პოლიტიკურ მდგომარეობას, ადამიანთა მოთხოვნილებებს, მიზნებსა და ღირებულებებს ასახავს. ამიტომ არტჟურნალისტიკა სხვა მიმართულებებისგან სრულიად განსხვავდება და კულტურის თემატიკის შემცველი ამბების გაშუქებას ემსახურება. ეს სფერო დიდ ერუდიციას, შრომას, განათლებას, ხელოვნების ნიმუშების ინდივიდუალურ აღქმას, კრეატიულობასა და ფართო ხედვას მოითხოვს. თუმცა,

[2] Postemaa S, Deuzeaa M (2020), Artistic Journalism: Confluence in Forms, Values and Practices, Netherlands: Media Studies Department, University of Amsterdam, JOURNALISM STUDIES, Vol.21, No.10, pp.1305–1322 (https://rb.gy/wfjul ბ.ნ: 10.04.23 01:25)

ჟურნალისტიკის ზოგადი სტანდარტები ამ შემთხვევაშიც არ უნდა დაირღვეს და გაზვიადებული და დრამატიზებული ლექსიკა თავიდან უნდა ავიცილოთ.

ტელევიზიის ეკრანზე კულტურის რეტრანსლაციამ მისი შექმნისთანავე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მასმედიისა და კულტურის ურთიერთობა, რასაკვირველია, ტელევიზიამდე ბევრად ადრე, პრესაში დაიწყო. ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები ხელოვნებასა და განათლებაზე. ეს ინტერესი არც სადღეისოდ შეცვლილა: ბეჭდურ მედიაში კულტურის საკითხებს მთელი გვერდები, ციკლები და მუდმივმოქმედი რუბრიკები ეთმობა. თუმცა, სამაუწყებლო მედიის გამოსახვითი საშუალებების ფართო არსენალიდან გამომდინარე, ტელევიზიას არტკონტენტის გაცილებით უფრო სრულყოფილად წარმოჩენა შეუძლია: ახალი ამბების ბლოკიდან დაწყებული, ვიდრე მონოთემურ ტელეარხებამდე.

კულტურის ჟურნალისტიკის განვითარებაში დიდი როლი რადიომაც ითამაშა, რადგან სწორედ ამ დროს ახალი დარგი, რადიოთეატრი, შეიქმნა, რომლის საშუალებითაც რადიოპიესები გადაიცემოდა. ამიტომ რადიო დღემდე ისეთ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად რჩება, სადაც კულტურის სხვადასხვა დარგებთან დაკავშირებული გადაცემები ყველაზე მრავალფეროვნადაა ჩაშლილი. შესაბამისად, ცალ-ცალკე გვხვდება პროგრამები ლიტერატურაზე, კლასიკურ მუსიკაზე, ჯაზზე, ისტორიაზე და სხვა. აღსანიშნავია, რომ კულტურის ჟურნალისტებს, ძირითადად, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებებიდან, კინოთეატრიდან, თეატრებიდან ან გამოფენებიდან უწევთ ჩართვა და კვალიფიციური და ზუსტი ინფორმაციის გადაცემა. ამ დროს მნიშვნელოვანია სწორი და მიზანმიმართული ინტერვიუები, რესპონდენტების ზუსტად შერჩევა და მათთან საინტერესო დიალოგის წარმართვა, სადაც გამოვლინდება, რომ განსახილველ საკითხში ჟურნალისტიც ერკვევა.

ასევე, გარდა ნიუსის ტიპის რეპორტაჟებისა, აუცილებელია ისეთი რედაქტორებისა და ჟურნალისტების შერჩევა, რომლებიც კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან ვრცელ ანალიტიკურ ინტერვიუებს ამზადებენ. არტჟურნალისტიკაში მუშაობისას მთავარია საკითხში მაქსიმალურად გარკვევა და არა მონოლოგის, არამედ დიალოგის წარმართვა, სადაც ჟურნალისტი თავადაც აფიქსირებს

საკუთარ აზრს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით და მაყურებლის წინაშე ორ საინტერესო ადამიანს შორის წარმართული ბუნებრივი საუბარია.

კულტურის სიახლეები ტელეჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელზეც მიმომხილველები, კორესპონდენტები, პროდიუსერები, რედაქტორები, რეპორტიორები და წამყვანები მუშაობენ. ზოგადად, კულტურის გაშუქება, საინფორმაციო ჟურნალისტიკის კანონებს მიჰყვება, გვხვდება მცირე ქრონომეტრაჟი და კადრ-სინქრონებიც ამ ჟანრის სტილშია გადაწყვეტილი. თუმცა, არტჟურნალისტიკაში მთავარია ეს ბლოკი საინფორმაციო სტილშიც ჯდებოდეს და თავისი სახასიათო ინტონაციაც გააჩნდეს. კულტურის ბლოკებმა მაყურებელი რაღაც ახალზე უნდა დააფიქროს და წარმოდგენილი მხატვრული ნაწარმოების რეალურად ნახვისკენ უბიძგოს. აუცილებელი არაა პირდაპირი მოწოდება, მაგრამ მიზანი ხელოვნების პოპულარიზაციაა და სიუჟეტის აგების სტრუქტურაც ამ იმპულსზე უნდა იყოს მიმართული.

ამასთანავე აუცილებელია ყოვლისმომცველობის პრინციპის დაცვაც, მაგალითად, სპექტაკლის პრემიერის შესახებ გადაღებულ სიუჟეტში წარმოდგენილი უნდა იყოს მცირე ინტერვიუები შემოქმედებითი ჯგუფის წევრებთან, რეჟისორთან, პიესის ავტორთან, მთავარი როლის შემსრულებლებთან და სხვა. აუცილებელია გამოიხატოს სპექტაკლის მთავარი სათქმელი, პრობლემატიკა და აქტუალურობა, ასევე, აუდიტორიის განწყობა და მათი ემოციები.

სასურველია, კულტურის ბლოკის წამყვანს ჰქონდეს დახვეწილი ხმა, გარეგნობა, ინტონაცია, მეტყველება, ლექსიკა, განათლება და, რაც მთავარია, დარგის ცოდნა, რადგან ის ერთგვარ ექსპერტად აღიქმება და მაყურებელში ავტორიტეტითა და ნდობით უნდა სარგებლობდეს.

არტჟურნალისტი ზოგადი კულტურული განათლებითა და ხელოვნების თეორიისა და ისტორიის საფუძვლებით უნდა იყოს აღჭურვილი. კულტურის პროგრამების მომზადება დიდ ფანტაზიას, მხატვრულ აზროვნებასა და ნიჭიერებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია კინოპროგრამების რედაქციაც, რომელიც მაყურებლის გემოვნებას აყალიბებს და წყვეტს დღის რომელ მონაკვეთში, რა ფილმი უნდა გავიდეს ეთერში.

ასევე, გასათვალისწინებელია სპეციალიზებული გადაცემები და მხატვრულ-დოკუმენტური ვიდეოფილმები, სადაც კულტურული ცხოვრების აწმყო და წარსული ვრცელ ქრონომეტრაჟშია წარმოდგენილი ან ბიოგრაფიული მასალებია თავმოყრილი.

კულტურის პროგრამებს ინფორმირების გარდა შემეცნებითი მიზნებიც აქვთ, რადგან მათი ყურებისას აუდიტორია ინფორმაციის გარდა განათლებასაც იღებს, სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშს ეზიარება და გემოვნება უყალიბდება. ამგვარი გადაცემები აღმზრდელობით ფუნქციასაც ითავსებენ, რადგან ინფორმაციას ყველასთვის გასაგებ და მარტივ ენაზე გადასცემენ, ამიტომ ასეთ შემთხვევაში რთული მონტაჟი, მძიმე ენა და ვიწრო დარგული ლექსიკა არ უნდა იყოს გამოყენებული. გასართობი პროგრამის მომზადების პროცესი გარკვეულ რისკსაც შეიცავს, რადგან ის მაყურებლის გემოვნებას განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში, ტელევიზია, ხშირად, მაყურებლის მოთხოვნებს ერგება, კომედიური შოუების ხარისხიც სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ამიტომ აუცილებელია არამხოლოდ საბაზრო გათვლა და მდარე ხარისხის შოუს შექმნა, რომელიც ფართო მასებზე გავა, არამედ მაღალი მხატვრული ღირებულებების მქონე ნამუშევრების გადაცემა, რომლებიც მაყურებლის ცნობიერებას აამაღლებს. რაც სატირულ-კომედიური წარმოდგენების პროდუქციას გულისხმობს, რომლებიც მაყურებელს მის სოციალურ პრობლემებზე ესაუბრება და თან გააცინებს და თან დააფიქრებს. საქართველოში ამგვარი ტიპის პროექტები, ძირითადად, ხარვეზებით გამოირჩევა და არაპროფესიონალების მიერ მზადდება, შესაბამისად, იაფფასიანი იუმორი და გაცვეთილი ლექსიკა გვხვდება.

მუსიკალური პროექტებიც არტჟურნალისტიკის ნაწილია, რომლებშიც შოუბიზნესის წარმომადგენლები და ესტრადის ვარსკვლავები მონაწილეობენ. ამგვარ გადაცემებში მცირე ვიდეორგოლებია წარმოდგენილი, სადაც მონაწილეები საკუთარ წარმატებაზე საუბრობენ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ინტერაქციულობის კომპონენტს ენიჭება, რაც სამაუწყებლო მედიისთვის ასე სისხლხორცეულია: ტოქშოუში სტუმარს თავად მაყურებელი უსვამს სასურველ კითხვას.

ასევე, ნიშანდობლივია ფოლკლორისა და ეთნოკულტურისადმი მიძღვნილი გადაცემების როლიც. ამგვარი პროგრამები არ უნდა იყოს მოსაბეზრებელი და

დამღლელი და, დოკუმენტურთან ერთად, მხატვრულ ელემენტებსაც უნდა შეიცავდეს. ამიტომ მთავარი ამოცანაა, მაყურებელს ცოდნა ისე მივაწოდოთ, რომ არც დაიღალოს და გაერთოს კიდეც.

გარდა კონკრეტულ ტელეარხებზე კულტურისადმი დათმობილი საეთერო დროისა, გვხვდება მონოთემური არტარხებიც. ამგვარ არხებზე ხშირია მექანიკური ჩვენებები, რომელთაც აუცილებლად უნდა ჰყავდეთ სწორად შერჩეული რედაქტორები და ჟურნალისტები, რათა სატელევიზიო ბადეს მორგებული მექანიკური პროდუქციის სია შექმნან. ამ დროს მაყურებლის ინტერესების, ასაკისა და სოციალური სეგმენტის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. ტელევიზიით ნებისმიერი ხელოვნების ნიმუშის გადაცემისას, ასევე, აუცილებელია მისი ადაპტაცია, ტიტრების დამატება, ხელოვანთა ვინაობისა და რეგალიების მინიშნება, განმარტებების ჩასმა და სხვა. არტჟურნალისტიკის წარმომადგენელმა არხმა, როგორც მექანიკური ჩვენებები, ასევე, ხელოვნების კონკრეტული დარგებისადმი მიძღვნილი ანალიტიკური თოქშოუებიც უნდა შესთავაზოს მაყურებელს. მონოთემური არხი შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ერთ დარგს ან მრავალფეროვნად ჩაშლილ მიმართულებებს. მნიშვნელოვანია, არტჟურნალისტიკამ თანამედროვე ხელოვნების ტენდენციები და ფორმები, წარსულის მემკვიდრეობა და მომავლის პერსპექტივები წარმოადგინოს.[3]

პროფესიონალი არტჟურნალისტები თანამედროვე სახელოვნებო სივრცესთან ერთად დარგის ისტორიასა და პრაქტიკას იცნობენ, შეუძლიათ კულტურის ნიმუშების სიღრმისეული ანალიზი და შეფასება, მედიაპროდუქტის კვლევა, გააჩნიათ შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგია და ერკვევიან მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციებში. გარდა ამისა არტჟურნალისტებს შეუძლიათ მასკომუნიკაციის საშუალების ნებისმიერი ტიპისთვის მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის მომზადება, გააჩნიათ მხატვრულ-შემოქმედებითი უნარები, მუშაობენ სატელევიზიო ფილმებზე და ანალიტიკურ გადაცემებზე, ამასთანავე ფლობენ ამბის თრობის ორიგინალურ ტექნიკას. გარდა ამისა არტჟურნალისტი კონკრეტულ საკითხში სპეციალიზებული უნდა იყოს და შეეძლოს სტუმრისგან სწავლა საკუთარი თეორიული ცოდნის გასაუმჯობესებლად.

[3] ჩართოლანი გ (ჩაბრაძე ელენე) (2008), ტელე-რადიო ჟურნალისტიკა ნაწილი 1:ტელეჟურნალისტიკა, თბილისი: კომპანია „არდ ჯგუფი“

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ არტჟურნალისტები ეთიკის სტანდარტებს განსაკუთრებულად უნდა იცავდნენ, რაც გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ სენსაციურის ნაცვლად, რეალური ინფორმაცია უნდა გაავრცელონ, არ დაკარგონ სანდოობა და საკუთარი სოციალური მისია, პირადი სარგებელი მუშაობისას გვერდზე გადადონ და სიღრმისეულად მოემზადონ. აუცილებელია არტჟურნალისტს ჰქონდეს ფართო ერუდიცია და კულტურული კომპეტენცია, ასევე, ჩახედული იყოს მიმდინარე მოვლენებში.

პროფესიონალი არტჟურნალისტები აქტიურად არიან ჩართულები სოციალურ-კულტურულ შემოქმედებაში, რადგან გაცნობიერებული აქვთ, რომ მედია უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში, რადგან მას მორალურ სტანდარტებსა და კულტურულ ღირებულებებს აცნობს. აუცილებელია არტჟურნალისტს გააჩნდეს სოცოლოგიური ბაზა, რაც საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონების, სამართლისა და ეთიკის ცოდნას გულისხმობს, ფილოლოგიური მომზადება, რაც ლინგვისტიკის ფუნდამენტურად ცოდნას მოიცავს, კულტურული ბაზა, რაც ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ცოდნას მოიაზრებს და ჟურნალისტური ბაზა, რაც ჟურნალისტიკის მიზნების, მოვალეობების, გავლენებისა და პრინციპების ძირითად ასპექტთა დასწავლას უკავშირდება.

თავი I: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევ თემაზე ლიტერატურის მიმოხილვა სამეცნიერო ნაშრომის მნიშვნელოვანი და სავალდებულო ნაწილია. ის კვლევის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებას, თემის დამუშავების შეფასებასა და კვლევის მიმართულების არჩევის დასაბუთებას უწყობს ხელს.

წარმოდგენილ ნაშრომში სამეცნიერო წყაროების შესახებ ქვეთავი ორ ნაწილადაა სტრუქტურირებული: უცხოურენოვანი და ქართული წყაროები.

○ უცხოურენოვანი წყაროები

მკვლევრები არტჟურნალისტიკას პრაქტიკოსებისა და ორგანიზატორების საქმიანობას უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ძველად ჟურნალისტიკა მხოლოდ ნიუსრუმით შემოიფარგლებოდა, თუმცა, დღეისათვის, პოსტინდუსტრიულ სამყაროში მას ყველა სფეროს სადარაჯოზე ვიპოვით. შესაბამისად, არტჟურნალისტიკას შემოსაზღვრული ჩარჩო არ გააჩნია და მეტად ამბიციური ფორმებითა და კონცეპტუალური ხედვით ინტერესდება, რასაც ხელოვნების ნიმუშების არსში ჩაწვდომის სურვილი განსაზღვრავს. ჟურნალისტიკამ განვითარების არაერთი ეტაპი განვლო, რაც ხელოვნების გაშუქებისას იდეოლოგიების განსხვავებულად აღქმისა და დარგის ახალი ფორმებისა და ღირებულებებისთვის ფეხის აწყობის თანადროულად მოხდა.

არტჟურნალისტიკის საგანი ამბის თხრობის ხელოვნების შეცნობა და სენსორულ სტიმულებზე ზემოქმედებაა, რასაც ხელოვნების ნიმუშთა ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვებით ვაღწევთ. ნიდერლანდში 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში[4] საუბარია არადემოკრატიულ, დიქტატორული რეჟიმის მქონე ქვეყნებში, მაგალითად, სირიაში, ერაყში, ირანსა თუ ლიბანში არტჟურნალისტიკაზე არსებულ წნეხსა და ცენზურაზე, სადაც თავისუფლად მოაზროვნე, განსხვავებული, შემოქმედებითი თვალსაწიერის მქონე ხელოვანები მუდმივად იდევნებიან. ივორ შაპირო ჟურნალისტიკას

[4] Postemaa S, Deuzeaa M (2020), Artistic Journalism: Confluence in Forms, Values and Practices, Netherlands: Media Studies Department, University of Amsterdam, JOURNALISM STUDIES, Vol.21, No.10, pp.1305–1322 (https://rb.gy/wfjul ბ.ნ: 10.04.23 01:25)

დემოკრატიულ კონტექსტში ასე განსაზღვრავს: „ჟურნალისტიკა იმ აქტივობებს აერთიანებს, რომლებიც ორიგინალური პრეზენტაციით დამოუკიდებლად გადმოსცემენ ზუსტ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებზე მაყურებლის მორალური და ინტელექტუალური განვითარებისთვის.“[5]

ამერიკელი ავტორი ჯერომ ჰაუსმენი საკუთარ სტატიაში აღნიშნავს, რომ ხელოვნების კრიტიკა ხელოვნების ნიმუშებისა და ობიექტების მიზანმიმართულად და არგუმენტირებულად გაკრიტიკებას უნდა ემსახურებოდეს. პროფესიონალი კრიტიკოსები კი ობიექტურად და მკაფიოდ უნდა განსჯიდნენ ხელოვნების ნიმუშის შესრულების ხარისხსა და ღირებულებას, რადგან ჟურნალისტიკა განსხვავებული და მნიშვნელოვანი იდეების გასავრცელებლად ძლიერი ელემენტია. როგორც ვიცით, მასმედია ადამიანის ღირებულებებზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. ავტორი აშშ-ს მაგალითზე აღნიშნავს, რომ არტჟურნალისტიკასა და ხელოვნების კრიტიკაზე კომერციალიზმი დომინირებს. კვლევის მიხედვით, აშშ-ში ხელოვნების კრიტიკა ორ ძირითად პრობლემას აწყდება, რთულია ზუსტი ინფორმაციის მოძიება, როცა ხელოვნების კრიტიკოსს ხელოვნების ფორმებისა და ჟანრების ცვლილებებისთვის ფეხის აწყობის უნარი უნდა გააჩნდეს, რადგან ხელოვნება მთლიანად ღია კონცეფციაა და რომელ ეპოქას, რა მიმართულება შემორჩება, წინასწარ არავინ იცის, ხოლო მეორე პრობლემა კი ხელოვნებისა და პოპკულტურის/კიჩის აღრევაა.[6]

კვლევათა შეჯამება გვიჩვენებს, რომ არტჟურნალისტიკამ ხელოვნების დარგები ჩარჩოში არ უნდა მოაქციოს და პირიქით, პლურალიზმი უნდა გაავრცელოს, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლონ დოგმის სახით იმის სწავლება, თუ რა არის ხარისხი, როგორია კარგი გემოვნება და სხვა. ხელოვნების ანალიზისა და კრიტიკის მთავარი ფუნქცია კი ხელოვნების ნიმუშის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია და შესწავლაა.[7]

---

[5] Shapiro I (2014), Why Democracies Need a Functional Definition of Journalism now More than Ever, Journalism Studies No.15 Vol.15 pp.15 (https://rb.gy/dz0pl ბ.ნ: 23.06 19:54)
[6] Jerome J. Hausman (1866), The Journalism and Art Criticism, Art Journal, Vol.26, No.1 pp.18-20 (https://shorturl.at/fjkK5 ბ.ნ: 26.04.23 23:45)
[7] Matter F (1980), Pluralism in Art and in Art Criticism, The US: CAA, Art Journal, Vol.40, No.1/2, pp. 377-379 (https://shorturl.at/dtENX ბ.ნ: 28.04.23 13:21)

ხელოვნების საკითხების გაშუქება ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელსაც არტჟურნალისტიკასაც უწოდებენ და წარმოდგენილია მიმოხილვების, რეცენზიების, კრიტიკის, ახალი ამბების, სიუჟეტებისა და ესეების სახით ხელოვნებასა და პოპკულტურაზე, სადაც გამოვლინდება საზოგადოების ცხოვრების წესი, სოციალური დებატები, ეთიკური დისკუსია და სხვა. აღსანიშნავია, რომ არტჟურნალისტიკა, ზოგადად, ჟურნალისტიკის მსგავსად დიგიტალიზაციის, გლობალიზაციისა და ჟანრების რღვევის კვალდაკვალ ვითარდება. შემდეგი სტატია საერთაშორისო მაგალითებზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ კულტურის ჟურნალისტიკის „განიუსების“ ტაქტიკა აღინიშნება, უცნობი ადამიანების ხმა ნაკლებად ისმის, მცირეა კულტურის თემების პრობლემებზე დებატები და სხვა.[8]

კვლევაში „არტჟურნალისტიკა და კულტურული ცვლილება: 1965-1990 წლებში ჰოლანდიური გაზეთების მიერ ხელოვნების გაშუქების ტენდენციები“[9] აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების გარკვეული მიმართულებები საკუთარ თავებს თვითმყოფადებად მიიჩნევენ, ისინი მაინც ადამიანის შემოქმედების შედეგად და პროდუქტად რჩებიან და მუდმივად ცვლილებას ექვემდებარებიან. კულტურული მიმდინარეობებისა და ხელოვნების მიმართულებების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით დიდი პასუხისმგებლობა ხელოვნების აგენტებთან ერთად არტჟურნალისტიკის წარმომადგენლებსაც აკისრიათ, რადგან სწორედ მათი საშუალებით ჟღერდება ინფორმაცია ახალი გამოფენისა თუ სპექტაკლის შესახებ, კრიტიკა და ანალიზიც სწორედ კომპეტენტური პირების კომენტარებიდან მოდის. აღნიშნულ კვლევაში განხილული იყო 1965-1990 წლებში ჰოლანდიურ ყოველდღიურ გაზეთებში ხელოვნებისთვის დათმობილი ადგილის ცვლილების ტენდენცია და გაშუქებისას იერარქიულად გამოყოფილი თემები.

კვლევაში საუბარი იყო იმაზეც, რომ გარემო პირობები და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები არტჟურნალისტიკაზეც დიდ გავლენად ახდენს. ასევე, გამოვლინდა, რომ დროთა განმავლობაში არტჟურნალისტიკასთან მიმართება შეიცვალა, მას დღეისათვის

[8] Roosvall A, Widholm A (2018), The Transnationalism of Cultural Journalism in Sweden: Outlooks and Introspection in the Global Era, International Journal of Communication, Vol.12, pp.1431-1451 (https://shorturl.at/hvDK5 18.05.23 20:00)

[9] Janssen S (1999), Art journalism and cultural change: The coverage of the arts in Dutch newspapers 1965–1990, Vol.26, No.5–6, pp.329-348 (https://rb.gy/bu4ck ბ.ნ: 18.05.23 21:17)

უფრო მეტი სივრცე ეთმობა და იერარქიულად საკმაოდ წინაა წამოწეული. ხელოვნების მიმართულებები, რომლებზეც ეს ცვლილებები ყველაზე მეტად აისახა არის პოპმუსიკა, ლიტერატურა, კინო და მიუზიკლი. კვლევის თანახმად, ამ პერიოდის გაზეთებში ყველაზე ნაკლები ადგილი თეატრსა და კლასიკურ მუსიკას ეთმობოდა, ვიზუალური ხელოვნება კი საშუალოდ პოპულარული იყო. ამასთანავე ცეკვამ მნიშვნელოვნად დიდი ყურადღება მიიპყრო, თუმცა, გაზეთების გვერდებზე იერარქიულად წინ ვერ გადაინაცვლა. ამდენად, ვასკვნით, რომ გარემოში მიმდინარე ცვლილებები საზოგადოების მიერ ხელოვნების აღქმასთან მჭიდრო კავშირშია.

სამეცნიერო ნაშრომში: „ხელოვნება, ჟურნალისტიკა და ადვოკატირება: 21-ე საუკუნის პროპაგანდის დაპირისპირება ონლაინჟურნალისტიკასთან“[10] საუბარია, რომ დღეისათვის მედიის ტრადიციულ და ახალ ფორმებთან დაკავშირებით უამრავი ადამიანი ატარებს ექსპერიმენტს. ჟურნალისტები, მსახიობები და ჩვეულებრივი მოქალაქეები ქმნიან დრამას, წარმოდგენებს, კინოს, ვიდეოებს, ბლოგებს, რადიოგადაცემებს, გრაფიკული დიზანის ნიმუშებს, მუსიკას, საჯარო ხელოვნებას და სხვა. ხოლო მეინსტრიმული, ბაზარზე და გაყიდვებზე დამოკიდებული ახალი ამბების ორგანიზაციები ინვესტიციებს უფრო მეტად ონლაინჟურნალისტიკაში აკეთებენ. რადგან დღეისათვის გაშუქების თვალსაჩინო ფორმები, ფოტოჟურნალისტიკა, ინფოგრაფიკები, ფორუმები, ფიჩერსები, ჩარტები და დისკუსიის ჩათებია პოპულარული, რადგან ჟურნალისტიკა ინტერაქციული გახდა და ადამიანს ინფორმაციის მიღება მარტივი გზით ურჩევნია. საბოლოოდ, ჟურნალისტები ძველ ხერხებს ივიწყებენ და ამბის თხრობისთვის და მაყურებლის გასართობად ახალ, კრეატიულ გზებს პოულობენ.

სამეცნიერო ნაშრომში „მედიაწიგნიერება, როგორც თანამედროვე კულტურის რელევანტური პრაქტიკა“[11] ე. მორელისა და ჯ. დანკანის მაგალითია მოყვანილი,[12]

[10] Hobss R (2013), The Blurring of Art, Journalism, and Advocacy: Confronting of 21st Century Propaganda in a World of Online Journalism, A Journal of Law and Policy for the Information Society, Vol.8, No. 3 (2013), pp.625-637 (https://shorturl.at/uxDZ9 ბ.ნ: 18.05.23 21:31)

[11] Simbirtseva N.A (2018), Media Education as a Relevant Practice of Contemporary Culture, in Facets of Culture in the Age of Social Transition: Proceedings of the All-Russian Research Conference with International Participation, KnE Engineering, pp.209–216 (ttps://rb.gy/12hgx ბ.ნ: 18.05.2023 23:20)

[12] Morrell E, Duncan-Andrade, J (2006), Popular culture and critical media pedagogy in secondary literacy classrooms, International Journal of Learning, Vol.12 (https://rb.gy/ttw3e ბ.ნ: 18.05.2023 23:57)

რომლებიც საკუთარ სტატიაში ტერმინ „კრიტიკულ მედიაპედაგოგიკას“ იყენებენ, რაშიც ავტორები გამორჩეული კადრების მოსამზადებლად მასწავლებელთა და სტუდენტთა მიზანმიმართულ შრომას გულისხმობენ. ზოგადად, აზროვნების განვითარება ახალგაზრდებს მედიის მიერ გავრცელებული მესიჯების კრიტიკულად შეფასებასა და ინტერპრეტაციაში ეხმარებათ. ზემოთ აღნიშნული ავტორები არტჟურნალისტების მომზადებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ჟურნალისტმა საკუთარი ნარატივის შექმნა უნდა ისწავლოს, რომელსაც მისი განსაკუთრებული ხელწერა დაეტყობა. ორიგინალური ნამუშევრების შექმნაში კი მას სოციალურ-კულტურული გარემო უნდა ეხმარებოდეს. ნათქვამია ისიც, რომ პროფესიონალმა ჟურნალისტმა მედიის მიერ გავრცელებული დომინანტური მესიჯების დეკონსტრუქცია და საკუთარი კონტრნარატივების შექმნა უნდა მოახერხოს.

რუსი მკვლევრები ხაზს უსვამენ მედიაწიგნიერების მთავარ მიზანს - ის მხოლოდ მასებზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული და ჟურნალისტებს ინდივიდუალური ხედვის განვითარებაში უნდა დაეხმაროს. ა.ნ. ფორტუნატოვი[13] აღნიშნავს, რომ არტჟურნალისტის მომზადება არის გზა, პიროვნული მახასიათებლების ჰარმონიულად გამოვლენისკენ, რასაც სოციალური რეალობა, კომუნიკაციური და კრეატიული შესაძლებლობები და კრიტიკული აზროვნება განსაზღვრავს. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ არტჟურნალისტიკა აქტიურად მოაზროვნე მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს აყალიბებს, რომელსაც საკუთარი შინაგანი კულტურისთვის რელევანტურ ფორმებში, გადაცემული მესიჯების ინტერპრეტაცია და მათთვის საკუთარი მნიშვნელობების მინიჭება შეუძლია.

კვლევის მიხედვით, პროფესიონალ არტჟურნალისტს უნდა ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ხელოვნების ისტორიისა და მისი მედიის სხვადასხვა სფეროსთან ურთიერთობის შესახებ, ის უნდა ფლობდეს მედიის ენას, ამასთანავე უნდა ესმოდეს მასმედიის განვითარების ისტორია და საზოგადოებრივი ფუნქციები. ა.ნ. ფორტუნატოვი აღნიშნავს, რომ მთავარი არა მედიაპროდუქტი, კონკრეტული ინფორმაცია,

[13] Fortunatov, A.N (2011), Mediapedagogika ili tekhnovospitanie? Filosofiya i obshchestvo, Vol.3, pp.135–154 (https://rb.gy/277zb ბ.ნ: 10.05 22:21)

ჟურნალისტი ან ტელეარხია, არამედ შეტყობინების შემქნელის განათლების დონე და რეალობის თავისებური ხედვაა.

სამეცნიერო ნაშრომში „ესთეტებიდან რეპორტიორებამდე“[14] არტჟურნალისტების თვითიდენტობაა განხილული, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში მომუშავე ჟურნალისტი, იქნება ეს აშშ, იაპონია, გერმანია თუ ფინეთი, საერთო ღირებულებებს უნდა იზიარებდეს, უპირველეს ყოვლისა, ის საზოგადოების მსახური უნდა იყოს, ობიექტურად უნდა გააშუქოს ნეიტრალური ინფორმაცია და ეთიკის სტანდარტები დაიცვას. რასაკვირველია, არტჟურნალისტები თანხმდებიან, რომ ხელოვნებასთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებისას საზოგადოებას ემსახურებიან. ასევე, ობიექტურობა ამ მიმართულებაშიც გასათვალისწინებელია, რადგან ჟურნალისტი, ზოგჯერ, თავად ირჩევს, რა მოვლენაზე შეაჩერებს ყურადღებას. მან არცერთი ნიმუში არ უნდა განსაჯოს უსაფუძვლოდ და მისთვის არასასურველი უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს.

კვლევით ნაშრომში „არტჟურნალისტიკა და თანამედროვე რუსული კულტურა: დომინანტი ღირებულებები და საზოგადოებაზე გავლენის პრობლემა“[15] არტჟურნალისტიკა თანამედროვე რუსული კულტურის განვითარების კონტექსტში განიხილება, სადაც მედიის საგანმანათლებლო ფუნქციაც ვლინდება. ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგადად, მასმედიაში გასაშუქებლად შერჩეული თემის აქტუალურობა იმ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღირებულებებთანაა დაკავშირებული, რომელთა მაყურებლისთვის გადაცემაც გვსურს.

ჩვენ ცივილიზაციის განვითარებად ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც მუდმივად ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება ხდება, რადგან მაყურებელს სხვადასხვა ინფორმაციული ნაკადები უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება, რის შედეგადაც ვხვდებით “ცნობიერების კრიზისს,” მსოფლმხედველობათა ცვლილებას, კლასიკურ კულტურასთან, ტრადიციებთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებით წარმოდგენის

[14] Hellman H, Jaakkola M (2012), From aesthetes to reporters: The paradigm shift in arts journalism in Finland, Journalism, Vol.13, No.6, pp.783–801 (https://rb.gy/oa22i ბ.ნ: 18.05.23 23:33)

[15] Сергеева Т.С (2013), Арт-журналистика и современная Российская культура: ценностно-смысловые доминанты и проблема сохранения человека, Вестник Челябинского государственного университета, (22(313), 152-156 (https://rb.gy/q2gvd ბ.ნ: 18.05.23 03:39)

ცვლილებას და სხვა. აღსანიშნავია, რომ კარდინალური ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს გავლენას, იქნება ეს ეკონომიკა, ხელოვნება, თუ მასმედია.

ნაშრომის მიხედვით, რუსეთში თანამედროვე არტჟურნალისტიკა ტოტალური თაობათაშორისი დაპირისპირებით ხასიათდება, უთანხმოება კი ღირებულებებს, იდეალებსა და განათლების დონეს უკავშირდება. ამასთანავე ბოლო პერიოდში პირველ ადგილზე ფაქტების ჟურნალისტიკა წამოიწია, რომელიც საჯაროდ გაკეთებული განცხადებებისა და მოვლენების გაშუქებას ეფუძნება. დღეისათვის ჟურნალისტიკას ჰუმანიტარულთან ერთად სოციალური და საგანმანათლებლო ფუნქციები გააჩნია, რაც მის ერთ-ერთ მიმართულებაში, არტჟურნალისტიკაშიც რეალიზდება. კვლევის თანახმად, ზოგიერთებისთვის ჟურნალისტიკა მხოლოდ ფულის გამოსამუშავებელ ბიზნესად იქცა, შესაბამისად, მასმედიის სათავეში ძლიერი და წარმატებული კარიერისტები მოექცნენ, რომლებიც მის მონოპოლიზებას ახდენენ. ხშირია მხოლოდ სტანდარტულად კარგი გარეგნობის გამო შერჩეული კადრები, რომელთაც თეორიული და ეთიკური ცოდნა აკლიათ. უფრო მეტიც, თანამედროვე ჟურნალისტიკაში ადამიანის სიცოცხლის ღირებულების აღქმა საკმაოდ გაუფასურებულია. რეალურად, კი პროფესიონალი ჟურნალისტის მისია არა ბიზნესისა და მთავრობის გავლენის ქვეშ ყოფნა, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინება და საზოგადოებაზე ფოკუსირებაა.

ა. არხანგელსკი აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ კულტურა და ხელოვნება ერთი და იგივე არაა, მათი ურთიერთობა იმდენად მჭიდროა, რომ დარგები ერთ არეალში ერთიანდებიან. და თუ კულტურა ფასეულობების ფორმირების „მანქანაა," რომლებიც მთელ საზოგადოებაზე ახდენენ გავლენას, მაშინ ხელოვნება სამყაროს შეცნობის გზა, მხატვრული და შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფი და კაცობრიობის სულიერი კულტურის მუდმივი ნაწილია."[16]

ზოგადად, კულტურა ადამიანთა ყოფითი მეტყველების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია და შეგვიძლია რამდენიმე ასპექტით განვიხილოთ, როგორც სოციალური

[16] Архангельский А (2014) Культура имеет значение (https://rb.gy/qiyxt ბ.ნ: 23.06.23 20:34)

ინსტიტუტი, სოციალური გამოცდილების გადაცემის საშუალება, პიროვნების განვითარების დონის აღწერა და ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო. კულტურის კვლევის თანახმად, კულტურა არის ის, რის გამოც შენ უცხოდ იქცევი სახლის დატოვებისას. ასევე, კულტურა იმ ეპოქასა და სიტუაციას აღწერს, რა პერიოდშიც ადამიანს ამ სამყაროში ცხოვრება უწევს. კულტურის ცნება ადამიანს სხვა ბიოლოგიური არსებებისგან განასხვავებს, რადგან ის საკუთარი შემოქმედებითი უნარებით საკუთარ თავსა და „ახალ სამყაროს“ ქმნის.[17]

ხოლო რაც შეეხება ხელოვნებას, მისი განმარტება საკმაოდ საკამათოა და დროთა განმავლობაში მუდმივად იცვლება, თუმცა, ის ვიზუალური, აუდიო და გამომსახველობითი ნამუშევრების შექმნას გულისხმობს, რასაც ავტორის შემოქმედებითობა და წარმოსახვის ნიჭი უწყობს ხელს. ტერმინი ხელოვნება ხელოვნების ნიმუშის შექმნას, კრიტიკას, მისი ისტორიის შესწავლას, ესთეტიკურ გააზრებასა და გავრცელებას გულისხმობს. მაგალითად, ხელოვნების მიმართულებებია მხატვრობა, ფოტოგრაფია, ქანდაკება, გრაფიკა, ვიზუალური მედია, არქიტექტურა, რეკლამა, კინემატოგრაფია, მუსიკა, თეატრი, ცეკვა, ლიტერატურა, ოპერა და სხვა.[18]

ზოგადად, ხელოვნება შეგვიძლია რეალობის გამოხატულებადაც აღვიქვათ, რომელსაც ემოციური კომუნიკაციითა და გამომსახველობით, ადამიანამდე სხვადასხვა კრეატიული გზებით მიაქვს სათქმელი, რაღაც ახალზე დააფიქრებს, სარკეში ჩაახედებს ან უბრალოდ მისთვის უცნობ, საინტერესო სამყაროში ამოგზაურებს.

ჟურნალისტიკა, დღეისათვის, იმდენად მასობრივი გახდა, რომ განსხვავებული პიროვნებებით ნაკლებად ინტერესდება, თუმცა, მისი ერთ-ერთი ნაწილი არტჟურნალისტიკა ადამიანის სულსა და სიღრმისეულ თემებს კვლავ ყურადღებას უთმობს. კვლევის მიხედვით, რუსეთში ამგვარი გადაცემები ტელეარხების მთლიანი საეთერო დროის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. ხოლო ასეთი ანალიტიკური და შემეცნებითი პროგრამები მასობრივი კულტურის უზარმაზარ ოკეანეში არსებულ პატარა „კუნძულებად“ ითვლებიან.

---

[17] Tomasello M (1999), The Human Adaptation for Culture, Annual Review of Anthropology (https://rb.gy/oqeg7 ბ.ნ: 23.06.23 20:49)

[18] Carroll N (2000), Theories of Art Today, UK: University of Wisconsin Press (https://rb.gy/13xos ბ.ნ: 23.06.23 20:55)

გარდა ამისა თანამედროვეობაში ისმება კითხვა - არის თუ არა მაყურებლისგან მოთხოვნა არტჟურნალისტიკაზე? რა უნდა გაითვალისწინონ მედიის მფლობელებმა? ფინანსური მოგება უფრო მნიშვნელოვანია თუ მაღალი ღირებულებების გავრცელება? რა თქმა უნდა, მედიის მფლობელმა არტჟურნალისტიკა პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს, რადგან ის მედიის ის მიმართულებაა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას და მის მომავალს აყალიბებს, ამასთანავე ხალხსა და ხელისუფლებას, ტრადიციებსა და თანამედროვეობას და წარსულსა და მომავალს შორის დამაკავშირებელ ხიდად ითვლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასმედიის საგანმანათლებლო ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის საზოგადოებას წარსულის გააზრებაში უნდა დაეხმაროს და უნდა შექმნას შესაბამისი პირობები, რათა დაიბადოს თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი კულტურული ელემენტები. მედია ამ ყოველივეს დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების აუდიტორიაში გავრცელებით მოახერხებს.

კვლევაში, ასევე, საუბარია, რომ დღეისათვის მასმედია ადამიანის იმ ქცევებითა და თვისებებითაა დაინტერესებული, რომლებიც შესაძლოა მოთხოვნადი იყოს, როცა რეალურად არტჟურნალისტიკა პიროვნების სულიერებაზე, წესიერებასა და მორალურ სილამაზეზე უნდა კონცენტრირდეს, პარალელურად, სამაგალითო და საინტერესო გმირები უნდა იპოვოს, რომლებიც ჩვენს გარშემო ცხოვრობენ და საკუთარი საქმიანობით ბევრს შემატებენ საზოგადოებას.

კვლევაში აღნიშნულია, რომ თეატრალური კრიტიკის როლი ბოლო დროს საგრძნობლად შეიცვალა, მიმოხილვის ჟანრი თანდათან წარსულს ჩაბარდა, ხოლო ჟურნალისტის მთავარი მიზანი საინფორმაციო ველის შექმნა და სხვადასხვა ფესტივალებისა და პროექტების გაშუქება გახდა. ე.ვ. კლიმოვას თანახმად, კულტურის შესახებ ცოდნა ნებისმიერი ჟურნალისტისთვის აუცილებელია, რადგან ყველა ჟურნალისტური მასალა ავტორის სულიერ "ტვირთს" ეფუძნება და ჟურნალისტიკა თავისი არსით დრამატულია. თეატრი და ჟურნალისტიკა აყალიბებს სიცოცხლეს მსგავს ფორმებში, თუმცა, სხვადასხვა კანონებით. არტჟურნალისტიკის განვითარების ზოგადი სურათი რუსეთის მაგალითზე ასე შეგვიძლია განვიხილოთ, დღეს ხელოვნების

ჟურნალისტიკის ამოცანაა მასების მხატვრული აღზრდა და ეს დავალება მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციით სრულდება, გარდა ამისა საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა და ეროვნულ არხებზე საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების გაშვება და ახალგაზრდებისა და ბავშვების კულტურის სხვადასხვა მიმართულებებით დაინტერესება.

o ქართულენოვანი წყაროები

სამაუწყებლო მედიაში კულტურის საკითხების გაშუქების შესწავლისას ქართველი მკვლევრები რამდენიმე ძირითად ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას, ესაა: კულტურის თემატიკის კონტენტის შინაარსობრივი მხარე, მედიასაშუალებებით გადაცემული შეტყობინებები, მათი მოტივაცია და სამიზნე, სათაურთა შესაბამისობა ტექსტთან, თემის აქტუალურობა, სიუჟეტებისა და პროგრამების ჟანრობრივი სტრუქტურა, ბალანსი, სიზუსტე, მოძიებული წყაროების სანდოობა, მასალის ვიზუალური მხარე და შემოქმედებითი ჯგუფის კომპეტენტურობა კონკრეტულ საკითხში.

მედიის განვითარების ფონდის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით,[19] პროფესიული სტანდარტები საგაზეთო პუბლიკაციებთან შედარებით სატელევიზიო სიუჟეტებში ბევრად უფრო დაცულია, მაგრამ ქართული სამაუწყებლო მედია კულტურის პრობლემებზე მსჯელობას ძალიან ცოტა დროს უთმობს. კვლევაში მასალის წყაროს სანდოობასთან დაკავშირებული პრობლემაა გამოკვეთილი და აღნიშნულია, რომ მასმედიის ნებისმიერი საშუალებით გადაცემულ არჟურნალისტიკის მასალებში წყარო ნაკლებად ცნობილია, ჟურნალისტებს შემოქმედებითი უნარები აკლიათ და ერთმანეთის მსგავს ტექსტებს იყენებენ მშრალი და ხისტი ენით.

ამასთანავე, აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ კულტურის საკითხების ტელევიზიით გადაცემისას პროპაგანდა და შერჩევითი გაშუქება ხშირად გვხვდება, რაც

[19] კვირიკაშვილი ნ (2011), კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, "მედიამონიტორინგი-პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარების" ფარგლებში," გვ.1-7/14 (https://rb.gy/eakfz ბ.ნ: 06.04.23 12:24)

მიკერძოებულობასაც გულისხმობს. შესაბამისად, ჟურნალისტები მხოლოდ მათთვის სასურველ თემებზე ამახვილებენ ყურადღებას და საზოგადოების ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებენ, გარდა ამისა თვალსაჩინოა სკანდალური ტონი და თემის ზედაპირულად შესწავლა.

ამრიგად, მედიის განვითარების ფონდის კვლევის მიხედვით, ქართული სამაუწყებლო მედია, ერთის მხრივ, კულტურის საკითხებისადმი ინტერესს იჩენს, თუმცა, მეორეს მხრივ, პროფესიონალიზმის ნაკლებობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, მას ამ კუთხით განვითარების ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს წინ. შესაბამისად, ნაშრომმა ქართულ სამაუწყებლო მედიაში არსებული პრობლემები გამოავლინა, რაც თემატიკათა ერთფეროვნებას, სხვადასხვა ტელევიზიების მიერ ერთმანეთისადმი მიმბაძველობასა და კულტურის საკითხების გაშუქების ზოგად საინფორმაციო ჭრილში მოქცევას გულისხმობს, რაც მას შაბლონურ სახეს აძლევს. ამიტომ ხშირია სხვადასხვა ტელევიზიების მიერ ერთსა და იმავე საკითხზე თითქმის ერთნაირი სინქრონების გამოყენება, ზუსტად იგივე რესპონდენტების შერჩევა, ამასთანავე, კადრებისა და კონცეპტუალური ხედვის იდენტურობაც კი. ეს ყოველივე კი პროფესიონალიზმის, კრეატიულობისა და ორიგინალური მიდგომის ნაკლებობის ბრალია.

აღსანიშნავია, რომ მედიის განვითარების ფონდის კვლევის რაოდენობრივ შედეგებზე დაყრდნობით, არტჟურნალისტიკას საეთერო დროის ყველაზე დიდი ნაწილს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი უთმობს, მას მოჰყვება „რუსთავი 2,“ შემდეგია „იმედი,“ „მაესტრო“ და „კავკასია.“ იმ პერიოდის მონაცემებით, „მოამბეს“ კულტურის სიახლეების გამოსაცხადებლად, შესაბამისი განწყობის შესაქმნელად, განსხვავებული სტუდია ჰქონდა და ცალკე გამოყოფილი წამყვანიც ჰყავდა. კვლევის მიხედვით, ტელევიზია ხელოვნების მიმართულებებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას მუსიკას უთმობს, მას თეატრი მოჰყვება, შემდეგ კინო, მოდა, მხატვრობა, ლიტერატურა და შოუბიზნესი თანაბარი პოპულარობით სარგებლობს და ყველაზე მცირე დრო ფოტოგრაფიას აქვს გამოყოფილი.

„ერთი თვის განმავლობაში კულტურის თემატიკის გაშუქების მონიტორინგმა ქართულ მედიაში გვაჩვენა, რომ კულტურის გაშუქების დროს ჟურნალისტები სტატისტის როლს ითავსებენ _ ისინი პირდაპირ იმეორებენ ინფორმაციის მომწოდებლის პოზიციასა და მიდგომას;“[20]

ნაშრომში საუბარია, რომ ქართულ სამაუწყებლო მედიაში კულტურის გაშუქებისას რეცენზირების ელემენტებსა და ჯანსაღ კრიტიკას ნაკლებად ვხვდებით. თუმცა, გამოფენასთან, ძეგლის გახსნასთან, ფილმის პრემიერასთან, მოდის კვირეულთან ან მუსიკალურ ფესტივალთან დაკავშირებული სიუჟეტები მრავლად გვაქვს. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ კულტურის საკითხების გაშუქებისას ნაკლებად ჩანს კვალიფიციური ანალიზი, მეტია თემატიკის რეკლამირება, ხოლო წყაროები ხშირად კონკრეტულ ფიგურასთან დაახლოებული პირები ან დამთვალიერებლები არიან და მათი მრავალფეროვნება შეზღუდულია.

მედიის ფუნქციურ ტიპოლოგიას ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ, თუმცა, ძირითადი ასპექტები ყველა სქემაში მეორდება. მათგან ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საგულისხმოა სამი: ინფორმაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და რეკრეაციული ფუნქციები, რომელთა რეალიზებაც, არტჟურნალისტიკის კონტექსტში, სავსებით ლოგიკურია და რომლებიც BBC-ს სამაუწყებლო სტრატეგიას ემთხვევა.

აქედან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, საზოგადოების ინფორმირებაა, რაც, თავისთავად, მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფას გულისხმობს. ტელევიზიის ინფორმაციული ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების მოთხოვნიდან გამომდინარეობს, იცოდნენ, რა ხდება მათ გარშემო. ინფორმირება საზოგადოებისთვის მის ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მარტივ და გასაგებ ენაზე გაცნობას გულისხმობს. ინფორმაციაში ახალ ამბებთან ერთად ანალიტიკურ პროგრამებში ჩადებული, ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების მქონე, მესიჯები იგულისხმება. ამიტომ ინფორმაციულობა

[20] კვირიკაშვილი ნ (2011) კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, „მედიამონიტორინგი - პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარების“ ფარგლებში, გვ.4 (https://rb.gy/eakfz ბ.ნ: 06.04.23 12:24)

საზოგადოებისთვის იმის მოყოლას გულისხმობს, თუ რა მოხდა ბოლო საათების განმავლობაში მსოფლიოში, რეგიონში და ქვეყანაში. რაც შეეხება არტჟურნალისტიკას, კულტურის ამბები ბადეში, ძირითადად, საინფორმაციო გამოშვების ბოლოსაა განთავსებული, რადგან იმდენად სასწრაფოდ არ ითვლება, როგორც სხვა სფეროები. ინფორმაციულობის ფუნქციის შესრულებისას აუცილებელია ოპერატიულობა, სიზუსტე, მარტივი, ყველასათვის გასაგები ლექსიკა, პროფესიონალი რეპორტიორები და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა.

ტელევიზიის შემდეგი ფუნქცია საზოგადოების გართობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდა ინფორმირებისა, მედიამ მაყურებელი სტრესისგანაც უნდა გაათავისუფლოს. სამაუწყებლო მედიის რეკრეაციული ფუნქცია ადამიანების გართობასა და განტვირთვას გულისხმობს, ამგვარ პროგრამებში ყოფით თემებზე გადაღებული დადგმითი ტელესერიალები შედის, სადაც მორალურ ღირებულებებსა და სოციალურ ქცევაზეა საუბარი, ამასთანავე, ტელეპიესები ცხოვრებისეულ თემებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და სხვა.

ამერიკელი მედიის თეოლოგი და კულტურის კრიტიკოსი ნილ პოსტმენი აღნიშნავდა: „ჩვენ კაცობრიობის იმ თაობის შვილები ვართ, რომელთათვისაც ტელევიზია პირველი ყველაზე ხელმისაწვდომი მასწავლებელი, კომპანიონი და მეგობარი გახდა. თავისუფლება ტელევიზორის გამორთვით არ მიიღწევა. ტელევიზია საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ყველაზე მიმზიდველი რამაა, რაც კი დღის ან ღამის განმავლობაში ხდება. ჩვენ იმ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც კონკრეტული მესიჯების მიღება მუდმივად გვესაჭიროება.“[21] შესაბამისად, აღნიშნული ფრაზაც ტელევიზიის საგანმანათლებლო და რეკრეაციულ ფუნქციებთან ერთად მის გავლენის მზარდ სფეროებზე აპელირებით, კაცობრიობის ისტორიისთვის მასმედიის ამ საშუალების მნიშველობას უსვამს ხაზს.

მედიის ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოების არამხოლოდ ინფორმირება, არამედ მისი განათლება გათვიცნობიერება და ადვოკატირება მნიშვნელოვან და მისთვის ნაკლებად გასაგებ საკითხებში, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიტიკის ან სამართლის სფერო.

[21] Postman N (1985), Amusing Ourselves to Death: Public Discourse in the Age of Show Business, The US:Viking Penguin (https://rb.gy/pwatb ბ.ნ: 29.04.23 09:32)

დღეს ჩვენ საინფორმაციო საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები მუდამ იღებენ იფორმაციას გარემოს შესახებ და მედია მათ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ მედია საზოგადოების გემოვნებასა და ჩვევებს აყალიბებს, მას მოსალოდნელი კატასტროფებისთვის ამზადებს, მიმდინარე მოვლენას აჩვევს და გარკვეულ საკითხებზე საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში ეხმარება. შესაბამისად, არტჟურნალისტიკის განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ ინტერაქციული თოქშოუების შექმნა, კულტურულ ღონისძიებათა სადარაჯოზე ყოფნა, პროგრამათა დეტალიზებულად, მიმართულებების მიხედვით ჩაშლა და აუდიტორიის ხელოვნების რომელიმე მიმართულებით დაინტერესება მისი გემოვნების დახვეწისა და განათლების საწინდარია, რაც მედიის ფუნქციებშიც შედის.

ზოგადად, ტელესივრცე სპეციალურად გამოყოფილი პროგრამებისგან შედგება, რომელთა მიზანიც მაყურებლისთვის მეცნიერებისა და ხელოვნების სიახლეების გაცნობაა. ამ ფუნქციის წყალობით ტელევიზია მაყურებელს მაღალ, კულტურულ ღირებულებებს უნდა აზიარებდეს, თეატრალურ სპექტაკლებსა და მხატვრულ ფილმებს გადმოსცემდეს და ანალიტიკურ გადაცემებს ქმნიდეს. ამიტომ ხელოვნების ფორმები არტჟურნალისტიკას ჟურნალისტიკაში გადმოაქვს და მათ ერთგვარ ინტეგრაციას ახდენს, რასაც მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება. არტჟურნალისტიკის წარმომადგენელი პროგრამა მუსიკოსების, მწერლების, მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების კომენტარებისგან შედგება, მთავარია, ყველა გადაცემა დრამატურგიულად ჰარმონიულად იყოს აგებული. ასევე, საგულისხმოა დოკუმენტური ფილმებიც, რადგან აქ ვლინდება ტელევიზიის უნარი, ნებისმიერ ადგილას მიიყვანოს ადამიანი და თანაგანცდა ჩაუსახოს, დაათვალიერებინოს მუზეუმები, გახდეს მისი გიდი და რაღაც ახლით დააინტერესოს.

ტელევიზიის საგანმანათლებლო ფუნქცია დიდაქტიკური მასალის ეთერით რეგულარულად გადაცემასაც მოიცავს, რაც ლექციების ჩანაწერების ტრანსლირებას

გულისხმობს, რომლებიც სტუდენტებს ამა თუ იმ საკითხის უკეთ შემეცნებაში დაეხმარებათ.[22]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით,[23] ქართული სატელევიზიო არხების უმეტესობა პრობლემატიკას დროს არ უთმობს და პოპკულტურის გავრცელებაზეა გადართული. შესაბამისად, სამაუწყებლო ბადეში კინოსა და თეატრთან დაკავშირებული რეგულარული პროგრამა არ არსებობს და იშვიათად ხდება კინემატოგრაფიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკულტო ფილმების ტრანსლირება, რომლებიც საზოგადოების ცნობიერებას აამაღლებდნენ, თავისუფლებისა და სიახლისკენ უბიძგებდნენ მას და საკუთარ ინტერესების პოვნაში დაეხმარებოდნენ.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგად კულტურის საკითხებისადმი დათმობილი საეთერო დროის მიხედვით, აღნიშნულ კვლევაშიც საზოგადოებრივი მაუწებელი პირველი არხი ლიდერობს, თუმცა, აქაც ნათქვამია, რომ ამ არხზეც ნაკლები მიმოხილვა და კრიტიკა და მეტი ზედაპირულობა გვხვდება. მკვლევარი მიკერძოებულობის ტენდენციას გამოკვეთს, რაც ყურადღების მხოლოდ ტელეარხისთვის ხელსაყრელი მასალისადმი მიპყრობას გულისხმობს. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი მის თანაპროექტ ფილმებთან დაკავშირებულ სიახლეებს უფრო მეტად სიღრმისეულად აშუქებს, ვიდრე დამოუკიდებლად გადაღებულ კინოს.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ ნაშრომშიც გამოკვეთილია, რომ საკითხები მხოლოდ პოზიტიური კუთხით შუქდება და სამაუწყებლო მედია პრობლემატიკას ხშირად გვერდს უვლის, ნაკლებად იწვევს ეთერში საკითხის პროფესიონალ მცოდნეს და არადამაჯერებელი ტონიც გვხვდება. გარდა ამისა განხილულია აჭარის ტელევიზიის მაგალითი, რომელსაც პროგრამაში რამდენიმე კულტურის გადაცემა აქვს, სადაც კინოსთან დაკავშირებული დისკუსიები იმართება, თუმცა, ცალმხრივი გაშუქება და მხოლოდ რეჟისორის ან კინომცოდნის თვალსაზრისის წარმოჩენა გვხვდება. კვლევამ

[22] კუზნეცოვი გ (1998), სატელევიზიო ჟურნალისტიკა, თბილისი: ქართული თარგმანი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის მიერ

[23] ენუქიძე თ (2017) კინოს საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, გვ. 8-19 (https://rb.gy/egm2p ბ.ნ: 07.05.23 08:03)

ცხადყო, რომ ტელევიზიები ყოვლისმომცველობისა და მაყურებლისთვის თემატიკათა მრავალფეროვანი მოზაიკის გადაცემის პრინციპებს ხშირად არ იცავენ და მხოლოდ ფინანსურ მოგებასა და რეიტინგებზე არიან ორიენტირებულნი.

2020 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციაზე ახალგაზრდა მკვლევრებმა თანამედროვე არტჟურნალისტიკისადმი დამახასიათებელი საინტერესო ტენდენციები გამოკვეთეს. თათია გაბრიჭიძის ნაშრომში[24] „არტარეა“ - ხელოვნების პორტალი“ საუბარია, რომ დღეისათვის კულტურული ცხოვრების რეალური სურათის ჩვენებას ვერც საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი და ვერც კერძო ტელევიზიები ვერ ახერხებენ, გვხვდება აკადემიური კრიტიკის ნაკლებობა და მიკერძოებულობა.

თუმცა, 2012 წელს საქართველოში პირველი ციფრული არხი „არტარეა“ შეიქმნა, რომელიც მხოლოდ ხელოვნებასა და კულტურაზე იყო ორიენტირებული. მან თავიდან ფუნქციონირება ონლაინმედიის სახით დაიწყო, თუმცა, იქიდანვე გამოირჩეოდა მკაფიო მესიჯებითა და გაშუქების თვალსაზრისით კულტურის თემატიკათა დეტალურად ჩაშლით კინოს, თეატრის, მოდის, მუსიკის, ლიტერატურის, პოპკულტურისა თუ მუსიკის სახით. აღსანიშნავია, რომ „არტარეაში“ თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენელი, გემოვნებიანი ადამიანები გაერთიანდნენ და საკუთარი თვალსაზრისი სხვადასხვა ჟანრებით გამოხატეს. 2013 წელს კი „არტარეა“ უკვე საკაბელო ტელევიზიად იქცა და ქართულ სამაუწყებლო სივრცეში საკუთარი ნიშა დაიკავა, რადგან ის ყურადღებას ჩვენ გარშემო არსებულ შეუმჩნეველ დეტალებზე ამახვილებს და მაყურებელს რაღაც ახალზე დააფიქრებს.

აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი, ნინო გაბედავას ნაშრომის მიხედვით, რომელიც თეატრის თემას ეხება, დღეისათვის სამაუწყებლო მედიაში საქართველოში არტჟურნალისტიკის ერთ-ერთი პრობლემა კადრების ნაკლებობაა, რადგან პროფესიონალი კრიტიკოსები, რომლებსაც საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებულად დასაბუთება შეეძლებათ, არ არსებობენ. გარდა ამისა ნაკლებია

[24] გაბრიჭიძე თ (2020), კულტურის და ხელოვნების საკითხების გაშუქება მედიაში, „არტარეა“-ხელოვნების პორტალი,“ საკონფერენციო ნაშრომი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (https://rb.gy/9h5nd ბ.ნ: 25.04.2023 03:14)

შეფასების მიმღებლობაც, დღეისათვის სიტყვა „კრიტიკა“ კვლავ უარყოფით დატვირთვას ატარებს და ნაწარმოების უსაფუძვლოდ და სუბიექტურად განსჯად მოიაზრება. როცა, რეალურად, ჯანსაღი კრიტიკა მაყურებელს, მკითხველსა თუ მსმენელს ხელოვნების ნიმუშს განსხვავებული კუთხით დაანახებს, თვალსაწიერს აუმაღლებს და კიდევ უფრო დააინტერესებს. ამ მხრივ ავტორი საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველ არხს გამოყოფს, ყურადღებას ზურა ყიფშიძის გადაცემა „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთს“ უთმობს და აღნიშნავს, რომ ქართველ მსახიობებთან, რეჟისორებსა თუ მწერლებთან დაკავშირებული გადაცემა საინტერესოა, თუმცა, განხილვას, კამათსა თუ მსჯელობას არ შეიცავს და მხოლოდ ცალმხრივი გაშუქების გამოხატულებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის მიხედვით, სამაუწყებლო მედია თეატრალური ცხოვრების თანმდევ პროცესებს არ ასახავს და მაყურებელს მხოლოდ ნარატივს აწვდის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის[25] რაოდენობრივ ნაწილში საუბარია, რომ არტჟურნალისტიკისთვის საეთერო დროის დათმობაში კერძო ტელევიზიებიდან „რუსთავი 2“ ლიდერობს, მას „იმედი“ მოჰვება და ბოლოა „მაესტრო.“ თუმცა, აღნიშნულ სიუჟეტებს ექსპერტების მოსაზრებები და პრობლემების გადაჭრის გზებზე დისკუსია აკლია, ხშირია პროპაგანდა, ერთგვაროვანი წყაროები და სარეკლამო სტილიც შეიმჩნევა. არტჟურნალისტიკისადმი დათმობილი დროის მიხედვით ლიდერად ეს ავტორიც საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველ არხს ასახელებს, სადაც ცალცალკეა ჩაშლილი გადაცემები მუსიკაზე, ლიტერატურასა და კინოზე. ასევე, მონოთემური არხების „Music Box-ისა“ და „არტარეას“ გემოვნებიან და დახვეწილ სტილსაც გამოყოფს, რასაც ხელოვნების შესახებ არსებული სიახლეებისა და სიღრმისეული ანალიტიკური კომენტარების სიმრავლე განაპირობებს. ამასთანავე, კვლევაში გამოიკვეთა პრობლემა, რაც გულისხმობს, რომ ქართულ სამაუწყებლო მედიაში ექსკლუზიური მასალა ნაკლებად გვხვდება და, ძირითადად, ერთგვაროვანი სიუჟეტებია წარმოდგენილი, იშვიათია კვალიფიციური ექსპერტების კომენტარები და მრავლადაა კულტურის

[25] ბუთხუზი ნ, ჩაჩხიანი ი (2018), სატელევიზიო შემეცნებითი მედიაპროექტი: „ხელოვნების ალმანახი,“ სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, გვ. 11-19 (https://rb.gy/6544j ბ.ნ: 25.04.2023 20:27)

თემატიკის რეკლამირებისთვის გამიზნული მესიჯები, მეტია საინფორმაციო რეპორტაჟები, ნაკლებია ანალიზი.

როგორც ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით ვნახეთ, სამაუწყებლო მედია არტჟურნალისტიკას არცთუ დიდ საეთერო დროს უთმობს, თუმცა, პროგრამების სიმრავლით საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი, აჭარის ტელევიზია და „არტარეა“ გამოირჩევიან, სადაც ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით ჩაშლილი გადაცემები გვხვდება, თუმცა, საერთო სურათი ასეთია - მეტი ზედაპირული ინფორმაცია, ნაკლები კრიტიკა, ანალიზი, მსჯელობა და პრობლემატიკის წინა პლანზე წამოწევა.

თავი II: კვლევის დიზაინი

- ნაშრომის სტრუქტურა

ზოგადად, სამეცნიერო კვლევაში მისი ზუსტად გაწერილი სტრუქტურა და კონკრეტული ნაწილების მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირება ძალიან მნიშვნელოვანია. კვლევის დიზაინი არის ჩარჩო, რომლის დახმარებითაც მკვლევარი საკუთარ კვლევას გეგმავს, ამიტომ ის კვლევის ტიპს, ტექნიკას, მონაცემთა ანალიზსა და კვლევის ჩატარების პროცედურას მოიცავს. ამასთანავე, კვლევის დიზაინი მის პარამეტრებს ადგენს და შედეგების შეფასების კრიტერიუმებს განმარტავს. კვლევის დიზაინი კიდევ ერთხელ ადასტურებს მის სანდოობას, რაც მონაცემთა შეგროვების, გაზომვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესს მოიცავს. კვლევის დიზაინი მის ხასიათს განმარტავს, მასში მითითებულია ცვლადები, ინსტრუმენტები და ცვლადების შესასწავლი ტექნიკა.

წინამდებარე კვლევა შესავლით იწყება, სადაც უშუალოდ კვლევის პროცესსა და შედეგებზე გადასვლამდე, საკვლევი თემის შერჩევის მოტივაციასა და აქტუალურობას განვიხილავთ. ცხადია, დავასაბუთებთ, თუ რატომაა ამ კვლევის ჩატარება აუცილებელი, მნიშვნელოვანი და სარგებლიანი საზოგადოებისთვის, რა კითხვებზე გვიპასუხებს ის და რა სიახლეს შეჰმატებს სამეცნიერო საქმიანობას. ასევე, კვლევის მიზნებსა და ამოცანებს მკაფიოდ და ზუსტად გამოვყოფთ, დავასახელებთ, რისი გაგება გვსურს და რა უნდა დავადგინოთ დასასრულს, რასაკვირველია, თავად ტერმინ „არტჟურნალისტიკას“ განვმარტავთ და საკითხის შესწავლის მდგომარეობასა და ძირითად მიმართულებებს განვიხილავთ. რადგან ვთვლით, რომ კვლევის მთავარ ნაწილზე გადასვლამდე ამ ტერმინის მნიშვნელობის გააზრება აუცილებელია.

შესავლის შემდეგ ჩვენს ნაშრომში პირველი თავი, ლიტერატურის მიმოხილვა შეგვხვდება, სადაც ჯერ უცხოური, შემდეგ კი ქართული კვლევები, სამეცნიერო ნაშრომები და ლიტერატურა იქნება განხილული. რადგან მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი კვლევის ჩატარებამდე, აუცილებელია საკვლევი არეალის შესწავლა და იმის გაგება, თუ ვინ, რა დასკვნა გამოიტანა აქამდე, როგორია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და რა

შეიძლება გავაკეთოთ ჩვენ, ამასთანავე, როგორი ფოკუსი უნდა ავიღოთ ამ თემის უფრო სიღრმისეულად და ახლებურად საკვლევად.

შესავალს კვლევის დიზაინი, ანუ სტრუქტურის აღწერა მოჰყვება, მესამე თავში მეთოდოლოგიას შევხვდებით, რაც კვლევის ჩარჩოს, ანუ იმ მედიათეორიათა თავმოყრასა და განმარტებას მოიცავს, რომლებიც საკვლევ თემას შეესაბამება. ასევე, კვლევისთვის შერჩეულ მეთოდებს, სიღრმისეულ ინტერვიუსა და კონტენტანალიზს განვიხილავთ და დავასაბუთებთ, რატომაა ეს მეთოდები კონკრეტული თემის წარმოსადგენად ყველაზე მეტად შესაბამისი. ამასთანავე, ამ ნაწილში სიღრმისეულ ინტერვიუში მონაწილე თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი არტჟურნალისტების შერჩევის მოტივაციას და მათ პასუხებსაც წარმოვადგენთ და განვაზოგადებთ. კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში ჰიპოთეზებს, ანუ კვლევის დაწყებისას მის შედეგებთან დაკავშირებულ ვარაუდებს, დავასახელებთ და კვლევის ობიექტსა და საგანს, დასაცავ დებულებებს, აქტუალურობასა და სამეცნიერო პრობლემას განვმარტავთ.

ნაშრომის მეოთხე თავში უშუალოდ კვლევის შედეგებზე გადავალთ, სადაც თანამედროვე არტჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი ასპექტები, მონოთემურ არხ „არტარეასა“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პროგრამულ ბადეში ჩაშენებული დარგობრივი მასალების ანალიზი, დაკვირვებით მიღებული შედეგების განზოგადება და კონკრეტული ტენდენციები გამოვლინდება.

ძირითად ტენდენციას, კვლევის შეჯამებულ შედეგებსა და რეკომენდაციებს ადგილი ნაშრომის დასკვნით ნაწილში მივანიჭეთ. მას ბიბლიოგრაფია მოჰყვება (APA სტილით შესრულებული გამოყენებული მასალების ნუსხა) და რამდენიმე დანართი, რომელთა ნაშრომში განთავსების მიზანიც თვალსაჩინოების ხაზგასმაა.

ბიბლიოგრაფია, რომელიც 33 ერთეულისგან შედგება და დანართები (სულ 4 ერთ.). საბოლოოდ რომ ვთქვათ, მიგვაჩნია, რომ კვლევის ამგვარი სტრუქტურა ეფექტიანია, რადგან საკითხს თანმიმდევრულად მივყვებით, რაც მას გასააზრებლად მარტივად აქცევს, ჯერ თავად ტერმინის მნიშვნელობას ავხსნით, შემდეგ მის აქტუალურობას დავასაბუთებთ, კვლევის მიზნებსა და ამოცანებს დავასახელებთ, არსებულ

ლიტერატურას მიმოვიხილავთ, უშუალოდ კვლევის ობიექტსა და შედეგებზე ვისაუბრეთ და რეკომენდაციებს გამოვკვეთთ.

თავი III კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევის ჩარჩო

დენის მაკქუელის სოციალური პასუხისმგებლობის მედიათეორიის მიხედვით, მედიამ საზოგადოების ინტეგრაცია უნდა მოახდინოს, მისი მრავალფეროვნება გაითვალისწინოს და ყველა ჯგუფის ხმა გააჟღეროს. გარდა ამისა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კონკრეტული კულტურული ფასეულობები და ნორმები უნდა დაიცვას, რადგან ის ანგარიშვალდებულია აუდიტორიის წინაშე და მაყურებლის საერთო და სპეციფიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე აკისრია პასუხისმგებლობა.[26]

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მაკქუელის თავისუფალი პრესის თეორიის მიხედვით,[27] აუცილებელია არსებობდეს თავისუფალი პრესა, რომელიც მისი საქმიანობის განხორციელებისას მასების წინაშეა პასუხისმგებელი. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად პოლიტიკოსები მედიას საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებენ, ხელოვნების საკითხებთან დაკავშირებულ გადაცემებსაც კი პოლიტიზებულად აქცევენ და საკუთარ პროპაგანდისტულ მესიჯებს ავრცელებენ, რაც მიუღებელია.

ასევე, საინტერესოა დემოკრატიული წარმომადგენლობის მედიათეორია, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლება გადაცემათა შინაარსს არ უნდა აკონტროლებდეს და მედია უმთავრესად აუდიტორიას უნდა ემსახურებოდეს. ხოლო სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის თანახმად, მედია მრავალფეროვან მოსაზრებებს უნდა ავრცელებდეს და საჯარო დისკუსიების გამართვას უნდა შეუწყოს ხელი. მის საქმიანობაში ჩარევა ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ უნდა შეეძლოს, თუკი უსაფრთხოების დარღვევის საშიშროების წინაშე ვდგავართ.

დამოუკიდებელი პრესის მოდელი ყველაზე ეფექტიანია, რადგან ცენზურას უარყოფს და გვეუბნება, რომ პუბლიკაციების გასაჯაროებამდე წინასწარი თანხმობა საჭირო არ უნდა იყოს. შესაბამისად, მასმედიაზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალები გავლენას არ

[26] დ.მაკქუელი (2014), ჟურნალისტიკა და საზოგადოება, მე-2 გამოცემა, გვ.368
[27] დ.მაკქუელის ნაშრომი (2014), ჟურნალისტიკა და საზოგადოება, მე-2 გამოცემა, გვ.85

უნდა ახდენდნენ. ცხადია, დასაშვებია მოვლენათა ჯანსაღი და არგუმენტირებული კრიტიკაც.

მნიშვნელოვანია ფრეიმინგის მედიაზემოქმედების თეორიებიც,[28] რომელთაგან ერთ-ერთია დღის წესრიგის ფორმირება, რაც გულისხმობს, რომ მასმედია მაყურებელს კონკრეტულ მოვლენებზე ფიქრისა და მსჯელობისკენ უბიძგებს. თუმცა, ეს პროცესი აუდიტორიის ღირებულებებზე, კულტურაზე, რწმენაზე, ცხოვრების წესსა და გამოცდილებაზეა დამიკიდებული. მაგალითად, უოლტერ ლიპმანს სჯეროდა, რომ აუდიტორია არა ნამდვილად მომხდარ მოვლენებზე, არამედ საკუთარ გონებაში არსებულ სურათებსა და ხატებზე რეაგირებს.

მაკობსი და შოუ აღნიშნავენ: „მასმედიის ეს გავლენა ინდივიდზე კოგნიტური ცვლილების მოხდენის შესაძლებლობაა, რაც მასკომუნკაციების დღის წესრიგის ფორმირებად აღინიშნა. ეს შეიძლება მასკომუნკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იყოს - მისი უნარი, მენტალურად შეუკვეთოს და ორგანიზაცია გაუკეთოს ჩვენივე სამყაროს - ჩვენთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, მასმედია შეიძლება არ იყოს წარმატებული, თუ გვეტყვის რა ვიფიქროთ, მაგრამ გასაოცრად წარმატებულია, როდესაც გვკარნახობს რაზე ვიფიქროთ.“[29]

შემდეგია გამოყენება/კმაყოფილების თეორია,[30] რომელიც სვამს კითხვას - რაში იყენებს ადამიანი მასკომუნიკაციის საშუალებებს? ამ თეორიის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე როკფელერის ფონდის მხრადაჭერით, კოლუმბიის უნვერსიტეტში რადიოს კვლევის ოფისი შეიქმნა, სადაც გადაცემული „საპნის ოპერების“ მსმენელებზე დაკვირვების საფუძველზე, აუდიტორიაზე რადიოს გავლენა შეისწავლეს. რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ აღნიშნულ პროგრამას ერთნაირი მახასიათებლების მქონე ადამიანები უსმენდნენ, მათი უმრავლესობა კი განათლების დაბალი დონისა და მცირე შემოსავლის მქონე იყო. ამდენად, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ეს ქალები კონკრეტულ პროგრამას იმიტომ უსმენდნენ, რომ მთავარ გმირებთან ემოციურ კავშირს

[28] William A. Gamson, Wolfsfeld G (1993), Movements and Media as Interacting Systems
[29] Maxwell E McCombs, L. Shaw Donald (1977), The Emergence of American Political Issues“, New York: West Publishing Co
[30] Lippmann W (1922), Public Opinion, US: Harcourt, Brace & Co

განიცდიდნენ და ისეთ სიუჟეტებს ესწრაფოდნენ, რომლებშიც ზუსტად ის მოვლენები იყო აღწერილი, რასაც მათ ცხოვრებაში ვერ მიაღწიეს.

შესაბამისად, ამ კვლევის შედეგებმა ზემოაღნიშნული თეორია მოგვცა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება მასმედიას საკუთარი სიამოვნებისთვის იყენებს და საკუთარი გემოვნებისა და მოთხოვნილებების შესაბამისი მედიაპროდუქტით ინტერესდება. როგორც ვხედავთ, სწორედ ამ თეორიაში ვლინდება მასმედიის ერთ-ერთი ფუნქცია, რაც აუდიტორიის გართობას გულისხმობს. საბოლოოდ, რომ ვთქვათ, თანამედროვე აუდიტორიაც მომხმარებელთა საზოგადოებად იწოდება, ამიტომ მისი წარმომადგენლები მასმედიის საშუალებებში მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების შესაბამის გადაცემებს ეძებენ.

მ. დე ფლუერის კვლევის თანახმად[31] კი გამოვლინდა, რომ მასმედია სისტემული სტაბილურობის მხარდამჭერია და გასართობი პროგრამები აუდიტორიაში დიდ ინტერესსა და ყურადღებას იწვევს. ხოლო მასობრივი საზოგადოების თეორიის მიხედვით, მასმედია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს, რაც, ერთის მხრივ, მანიპულირების საშიშროებას იწვევს, თუმცა, ის მაინც საზოგადოების დამხმარედ რჩება რთულ ვითარებაში.

და ბოლოს, კულტუროლოგიური თეორიის თანახმად, მასკომუნიკაციის მთავარი მიზანი მისი და ინდივიდის ურთიერთობაა. დ. მაკქუელი: „როდესაც ჩვენ „ელექტრონული ინფორმაციით“ ვსარგებლობთ, იძულებული ვართ ვიფიქროთ არა „სწორხაზოვნად,“ როგორც წიგნის კითხვის დროს, არამედ „მოზაიკურად,“ ინტერვალებით. სამწუხაროდ, რეალობის მხოლოდ იმ ნაწილს ვეცნობით, რომელიც „რეზონანსულია.“[32]

[31] De Fluer M (1966), Theories of Mass Communications. New York: David McKay
[32] Mc Quail D (1987), Mass Communication Theory: An Introduction. L

○ კვლევის შერჩეული მეთოდები

მეთოდის ცნება ბერძნული სიტყვა „methods-იდან“ მომდინარეობს და სიტყვასიტყვით „მიზნისაკენ მიმავალ გზას“ ნიშნავს. მეთოდი რეალობის პრაქტიკულად და თეორიულად გადმოსაცემად არსებული ტექნიკისა და ოპერაციების ერთობლიობას წარმოადგენს. მეთოდი ადამიანებს იმ პრინციპების, მოთხოვნებისა და წესების სისტემით აღჭურვავს, რომლითაც მას დასახული მიზნის მიღწევა შეუძლია. ადამიანისთვის მეთოდის ფლობა იმის ცოდნას ნიშნავს, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედებები პრობლემების გადასაჭრელად და დაგროვილი ცოდნა პრაქტიკაში როგორ გადმოიტანოს.

მეთოდი გარკვეული წესების, ტექნიკის, შემეცნებისა და მოქმედების ნორმების ერთობლიობამდეა დაყვანილი. ეს გარკვეული “რეცეპტების,” პრინციპებისა და მოთხოვნების სისტემაა, რომელიც სუბიექტს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზაზე აყენებს და საქმიანობის მოცემულ სფეროში გარკვეული შედეგის მიღწევაში ეხმარება. მეთოდი ჭეშმარიტების ძიების პროცესს აწესრიგებს, რაც მკვლევარს დროისა და ენერგიის დაზოგვით, მიზნის მარტივად მიღწევის შესაძლებლობას აძლევს. მეთოდის ძირითადი ფუნქცია შემეცნებითი საქმიანობის რეგულირებაა. ზოგადად, კვლევის მეთოდები ემპირიულ (გრძნობით აღქმული, პრაქტიკული) და თეორიულ მეთოდებად იყოფა.

აღნიშნულ კვლევაში ჩვენ თვისებრივი კვლევის მეთოდების ერთ-ერთ სახეს, სიღრმისეულ ინტერვიუს გამოვიყენებთ, რადგან არტჟურნალისტიკაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალის მოსაზრებები, შეხედულებები, შეფასებები და ვარაუდები ეფექტურად სწორედ ამგვარი მიდგომით აისახება. ამიტომ ჩვენი კვლევისთვის, მრავალფეროვან მოსაზრებათა საილუსტრაციოდ, გარკვეული ტენდენციების გამოსაკვეთად და იმის გასარკვევად, თუ დღეისათვის, განვითარების, რა ეტაპზეა არტჟურნალისტიკა, ამ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი ჟურნალისტები შევარჩიეთ.

სიღრმისეული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ–ერთი მეთოდია,[33] რომელსაც,

ძირითადად, არასტრუქტურირებული (კითხვების თანმიმდევრობა რესპონდენტის პასუხების მიხედვით განისაზღვრება და ცვალებადია) ინტერვიუს სახე აქვს და პირისპირ ან ტელეფონის დახმარებით ტარდება. პირისპირ ჩატარებული ინტერვიუს შემთხვევაში მკვლევარი დასაწყისში მსუბუქ კითხვებს სვამს, რათა რესპონდენტი უფრო გაიხსნას, ხოლო სატელეფონო ან საფოსტო ინტერვიუს დროს მონაწილეებს კონკრეტული, ზუსტი და ერთნაირი კითხვები ეგზავნებათ.

სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რესპონდენტების სწორად შერჩევაა, რათა დარგში მომუშავე თეორიტიკოსთა და პრაქტიკოსთა რაოდენობა და მათი განსხვავებული თვალთახედვები ზუსტად იყოს დაცული. ზოგადად, სიღრმისეული ინტერვიუს სახელიც გვამცნობს, რომ ის რესპონდენტებისგან კონკრეტულ საკითხზე მათი იდეების, მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გაგების გზით, სიღრმისეული ინფორმაციის მიღებაში გვეხმარება.

მრავალფეროვან მოსაზრებათა საილუსტრაციოდ ჩვენი კვლევისთვის რესპონდენტებად არტჟურნალისტიკის, როგორც პრაქტიკოსი, ასევე, თეორიტიკოსი წარმომადგენლები შევარჩიეთ, მათ შორის, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გიორგი ჩართოლანი, მუსიკის ჟურნალისტები კახა თოლორდავა და მებო ნუცუბიძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ინგა ხალვაში, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და არტჟურნალისტიკის თეორიტიკოსი ლაურა კუტუბიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ რესპონდენტთა გამოცდილება და საქმიანობა მათ ჩვენს საკვლევ თემაზე გარკვეული მოსაზრებების გამოთქმის

[33] ზურაბიშვილი თ, (მარინე ჩიტაშვილი), (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

კომპეტენციას აძლევს. აღნიშნულმა რესპონდენტებმა იდენტურ კითხვარს უპასუხეს, ხოლო ჩვენ შედეგები დავამუშავეთ, გამოვლენილ ტენდენციებს ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეხვდებით.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ კვლევის კიდევ ერთ მეთოდს, კონტენტანალიზს ვიყენებთ,[34] რადგან არტჟურნალისტიკის წარმომადგენელ მონოთემურ არხ „არტარეასა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის კულტურულ პროგრამებს ვაკვირდებით, ტენდენციებს გამოვყოფთ, ვარკვევთ, რამდენად ეთიკურად აშუქებს კულტურას ესა თუ ის ტელეარხი, რამდენ დროს უთმობს ამ ბლოკს, რამდენად პროფესიონალი კადრები ჰყავს და სხვა. ზოგადად, კონტენტანალიზი სოციოლოგიური კვლევის მეთოდია, რომლის დახმარებითაც სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაცია შეისწავლება, მათში გარკვეული ტენდენციებისა და მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით.

თვითონ ტერმინი ითარგმნება, როგორც „შინაარსის ანალიზი,“ ამიტომ ის რაოდენობრივ მეთოდებშიც შედის და თვისებრივშიც. აღსანიშნავია, რომ კონტენტანალიზის ჩატარებისას დასაწყისში მკვლევრები გარკვეულ კატეგორიათა ერთეულებს შეიმუშავებენ, რომელთა კონკრეტულ საინფორმაციო სივრცეში არსებობით/ან არ არსებობით არიან დაინტერესებულნი. ასეთ კატეგორიებსა და ერთეულებში შეიძლება შედიოდეს სოციალური ურთიერთობები, ადამიანის თვისებები, სოციალური სტატუსი და სხვა. მაგალითად, კონტენტანალიზი გამოავლენს, თუ რა სიხშირით შუქდება ესა თუ ის თემა კონკრეტული მედიასაშუალების მიერ, რა დრო ეთმობა, რომელი ფიგურები მეორდებიან კომენტარებში, რამდენად ეთიკურად და როგორი სამეტყველო ენით აღწერს მედიასაშუალება ყოველივეს, რამდენად ზუსტი და განსაზღვრული ადგილი აქვს ამა თუ იმ პროგრამას საეთერო ბადეში და სხვა. ეს ყოველივე კომპიუტერულ დამუშავებასა და სტატისტიკურ ანალიზზე დაქვემდებარებული, კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების მიღებაში გვეხმარება. ამდენად, კონტენტანალიზის შედეგი საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ რა

[34] ზურაბიშვილი თ (მარინე ჩიტაშვილი), (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

ღირებულებებისა და სტილის მქონე საინფორმაციო მასალასთან გვაქვს საქმე და შეგვიძლია ის კონკრეტულ კატეგორიაში მოვათავსოთ.

მოკლედ, რომ ვთქვათ, კონტენტანალიზი მონაცემების შეგროვებას, მათგან ძირითადი შინაარსის გამოტანას, შეჯამებასა და წარდგენას მოიცავს. კრიპენდორფის მიხედვით:[35] „ეს არის კვლევის ტექნიკა, რომელიც ტექსტებიდან (ან მნიშვნელობის მქონე სხვა შინაარსიდან) მათი (ამ ტექნიკების) გამოყენების კონტექსტის შესახებ განმეორებადი და ვალიდური დასკვნების გასაკეთებლად არის განკუთვნილი.“ აღსანიშნავია, რომ კონტენტანალიზი საჯარო გამოსვლების ანალიზის შედეგად შეიქმნა და როგორც არასტრუქტურირებულ, ისე სტრუქტურირებულ შესწავლას ერგება. ამასთანავე, კონტენტანალიზი შეუმჩნეველი მეთოდია, რადგან ადამიანს მისი წარმოება დამოუკიდებლად და შეუმჩნევლად შეუძლია, ასევე, ის ენის ლინგვისტურ მახასიათებლებზე ფოკუსირდება, გადამოწმებადი და სისტემატურია. ამასთანავე, კონტენტანალიზის დამხარებით არამარტო მნიშვნელობების აღწერაა შესაძლებელი, არამედ პროპაგანდაზე ან მასალებში მიკერძოების ხარისხზე დაკვირვებაც მისაღებია.[36]

- საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზები

სამეცნიერო აპარატის ძირითადი კომპონენტებია პრობლემა, თემა, აქტუალურობა, კვლევის ობიექტი, მისი საგანი, მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზა, სამეცნიერო სიახლე, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის და დასაცავი დებულებები.

კვლევის ჰიპოთეზა - ვარაუდი მეცნიერული ცოდნისა და თეორიის სტრუქტურული ელემენტების განვითარებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მეთოდია, რომელშიც ობიექტის არსებობის შესახებ მთელი რიგი ფაქტების საფუძველზე კეთდება დასკვნა. ან ეს არის გარკვეული კავშირი ან მიზეზი ობიექტთან, თუმცა, წინასწარი დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად დადასტურებულად. ამრიგად, კვლევის ჰიპოთეზა არის

[35] Krippendorff K (2004), Content Analysis: An Introduction to Its Methodology (2nd ed.) Thousand Oaks, CA: Sage Publications (https://rb.gy/3z28h ბ.ნ: 23.06.23 22:44)
[36] Anderson G, Arsenault N (1998), Fundamentals of Educational Research, US: Taylor & Francis (https://rb.gy/8zkll ბ.ნ: 23.06.23 22:50)

მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდი, ამასთანავე, მისი მიმდინარეობისა და შედეგის პროგნოზირება. სიტყვა „ჰიპოთეზა“ ბერძნული წარმოშობისაა და „საფუძველსა“ და „ვარაუდს“ ნიშნავს, ეს რაიმე ფენომენის გამომწვევი მიზეზების საიმედოდ დაუმტკიცებელ ახსნას, ვარაუდს გულისხმობს, რომელსაც მეცნიერული დასაბუთება და შემეცნებითი აქტივობის მეთოდი გააჩნია.

ჰიპოთეზა სოციალური პრაქტიკის მოთხოვნილებებიდან წარმოიქმნება, მეცნიერულ აბსტრაქციებს ასახავს, არსებულ თეორიულ იდეებს სისტემატიზაციას უკეთებს, ამასთანავე, განსჯას, ცნებებსა და დასკვნებს მოიცავს, რომლებიც ინტეგრალურ სტრუქტურას წარმოადგენს. სამეცნიერო ჰიპოთეზა ფაქტების შესწავლით დიაპაზონს ყოველთვის სცილდება, შესაბამისად, არამხოლოდ ხსნის მათ, არამედ პროგნოზის ფუნქციასაც ასრულებს.

აღნიშნული კვლევის ჰიპოთეზები:

H1: თანამედროვე ქართული სამაუწყებლო მედია არტჟურნალისტიკას მცირე საეთერო დროს უთმობს, მას ახალი ამბების ბლოკში სულ რამდენიმე წუთი ხვდება, ანალიტიკური გადაცემები კი ზედაპირულობით გამოირჩევა;

H2: თანამედროვე არტჟურნალისტიკაში შესაბამისი პროფესიონალიზმის მქონე კრიტიკოსები არ არიან ჩართულები, რომელთაც ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ საბაზისო ცოდნა გააჩნიათ და სპეციალიზებულნი არიან ამ დარგში;

H3: თანამედროვე ქართული არტჟურნალისტიკის წარმომადგენელი სამაუწყებლო მედია გამორჩეულ და უცნობ ადამიანებსა და ამბებს ნაკლებად უთმობს დროს, შესაბამისად, ყველა არხზე, ძირითადად, მსგავსი სიუჟეტები მეორდება, მუდმივად ერთიდაიგივე რესპონდენტებითა და ერთნაირი დრამატურგიული სტრუქტურით.

განვიხილოთ სამეცნიერო აპარატის დანარჩენი კომპონენტებიც. სამეცნიერო პრობლემა რთული თეორიული და/ან პრაქტიკული დავალებების ერთობლიობა, ანუ კვლევის

თემების ნაკრებია. პრობლემა შეიძლება იყოს დარგობრივი, დარგთაშორისი და გლობალური, რადგან ეს უკანასკნელი მსოფლიო საზოგადოების ინტერესებზე და ცხოვრების ხარისხზე ახდენს გავლენას. წინამდებარე ნაშრომის თემა დარგობრივია და კონკრეტულად, არტჟურნალისტიკას ეხება.

სამეცნიერო პრობლემად კი შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ არტჟურნალისტიკა ნაკლებადაა შესწავლილი და ნაკვლევი როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში. მიგვაჩნია, რომ დღეისათვის არსებული სიტუაციის შეფასება და გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა ჩვენი მედიაგარემოსთვის სასარგებლო იქნება. ასევე, აღნიშნული ნაშრომი არტჟურნალისტიკით დაინტერესებულ მკითხველს თანამედროვე მედიაორიენტირების მოძიებაში დაეხმარება.

სამეცნიერო კვლევის ყველა მახასიათებელი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ისინი თითქოს ავსებს და აკორექტირებს ერთმანეთს. ეს ყოველივე კვლევის აქტუალურობის დასაბუთებასა და კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს - რატომ არის ეს კვლევა აქტუალური სწორედ ამ პერიოდში/თანადროულად? აღნიშნული კვლევა დღეისათვის აქტუალურია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში არტჟურნალისტიკა ნაკლებადაა შესწავლილი, შესაბამისად, ამ დარგზე ყურადღების გამახვილება და მისთვის სამეცნიერო სიახლის შემატება, ვფიქრობთ, სწორედ დღესაა მნიშვნელოვანი. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ხელოვნება და მისი გაშუქება საზოგადოების აზროვნებას, შეხედულებებსა და გემოვნებას აყალიბებს, ამდენად, მას ფასეულობებისა და ღირებულებების სისტემას უნერგავს, ართობს და განათლების არეალს უფართოვებს. ნაშრომის აქტუალურობაც აღნიშნულიდან გამომდინარეობს.

ჩვენი კვლევის ობიექტები არტჟურნალისტიკის წარმომადგენელი ქართული მონოთემური ტელეარხი „არტარეა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საეთერო ბადეში ჩაშენებული კულტურის ბლოკები და პროგრამებია. ხოლო კვლევის საგანი მათი შინაარსის, გადაცემული ინფორმაციის, კულტურულ მოვლენათა მიმართ დათმობილი დროის, პროფესიონალ წამყვანთა შერჩევისა და კომპეტენტური რესპონდენტების გამოყოფის შეფასებაა.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო აპარატის ერთ-ერთი საგულისხმო ნაწილი კვლევის სამეცნიერო სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობაა. კვლევის დასრულების ეტაპზე, შეჯამებისას, მკაფიოდ უნდა დადგინდეს, არის თუ არა მიღებული შედეგები ვალიდური და მნიშვნელოვანი დარგის შესწავლის პერსპექტივისთვის.

წინამდებარე მცირეფორმატიანი კვლევა გამოყენებითი ხასიათისაა. ჩვენ ვცდილობთ, ვუპასუხოთ კითხვას: რა კონკრეტული საკითხები შეიძლება გამოსწორდეს პრაქტიკულ საქმიანობაში კვლევით მიღებული შედეგების დახმარებით? ჩვენი კვლევა პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის კულტურის ჟურნალისტებს მედიაგარემოს შესწავლასა და დარგის მეტად განვითარებაში დაეხმარება.

თავი IV: კვლევის ობიექტი

- თანამედროვე არტჟურნალისტიკა: მონოთემური არხები და ტელეარხების პროგრამულ ბადეში დარგობრივი მასალების ჩაშენების პრაქტიკა

აღნიშნული თემის საკვლევი პერიოდი 6 თვეს შეადგენს, რაც 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის მაისამდე არსებულ დროს მოიცავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში არტჟურნალისტიკის მდგომარეობასთან დაკავშირებული ტენდენციების გამოსავლენად საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველ არხსა და „არტარეას“ ვაკვირდებით. ამ თავში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ და დილის გადაცემა „ახალი დღის“ კულტურის ბლოკებისა და ამ ტელეარხზე ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული გადაცემების(„წიგნების თარო,“ „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე,“ „დღის კოდი,“ „აკუსტიკა,“ „რანინა,“ „ნატალია და დათუნა,“ „მუსიკის 12 მოციქული“) განხილვასთან ერთად მონოთემურ არხ „არტარეას“ პროგრამის ანალიზს შევხვდებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ახალი ამბების გამოშვება „მოამბის“ 21:00-საათიანი საინფორმაციო პროგრამა პოლითემურია და ისეთი მრავალფეროვანი ბლოკებისგან შედგება, როგორებიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, ჯანდაცვა, კულტურა, მსოფლიოს ამბები, გადაცემების ანონსები, სპორტი და ამინდი. სპორტი, ამიდი, მსოფლიოს ამბები და ანონსები ციკლურია, შესაბამისად, მუდამ გადის.

გადაცემის ყოვლისმომცველობა იმაში გამოიხატება, რომ თითოეული ბლოკი კიდევ ცალკეულ აქტუალურ ამბებადაა ჩაშლილი, ხოლო კონკრეტულ თემატიკაში სიუჟეტების რაოდენობა და თანმიმდევრობა წინასწარ არაა განსაზღვრული და პირობების შესაბამისად მონაცვლეობს. თუმცა, როგორც წესი, კულტურა „მოამბის“ დასასრულს გვხვდება, რადგან საინფორმაციო პოლიტიკის განმსაზღვრელები პოლიტიკასა და ჯანდაცვას უფრო სწრაფად გასავრცელებელ ამბებად მოიაზრებენ.

საინტერესოა საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი არტნიუსს როგორ აშუქებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტელეარხზე კულტურა მნიშვნელობით ყველაზე ნაკლებად

ოპერატიულ ამბებშია მოაზრებული და საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ სრულიად ბოლო ბლოკშია იკავებს ადგილს, სადაც ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაში არსებული სიახლეების შესახებ (გამოფენა, მუზეუმის გახსნა, სპექტაკლის პრემიერა) დაახლოებით 2-3-წუთიანი სიუჟეტები ეთმობა. შესაბამისად, ვხედავთ, რომ მაყურებელი იმ პერიოდისთვის აქტუალურ მოვლენასთან დაკავშირებით არც ისე სიღრმისეულ ინფორმაციას იღებს. მიგვაჩნია, რომ არტნიუსის წარმომადგენელი სიუჟეტის სტრუქტურა სხვა თემატიკის ამბებისგან უნდა განსხვავდებოდეს, მხოლოდ კონკრეტულ ჩარჩოს არ უნდა მიჰყვებოდეს და ორიგინალურ და ინდივიდუალურ ხელწერას უნდა ინარჩუნებდეს, რასაც „მოამბეში“ვერ ვხვდებით.

ახალი ამბების გამოშვებაში კულტურის სიუჟეტები იდენტურად და ძალიან მოსალოდნელი ხედვითაა აწყობილი, რასაც დასაწუნი არაფერი აქვს, თუმცა, შემოქმედებითი სფეროსთვის შესაბამისი არაა. ხოლო დადებითი ფაქტი კი ისაა, რომ „მოამბე“ ყოვლისმომცველობის პრინციპს მუდამ ინარჩუნებს და მაყურებელს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში არსებულ სიახლეებს ყოველთვის სთავაზობს (კონცერტები, მუსიკა, პრემიერები - ოპერაში, თეატრში, კინოში, მოქანდაკეებთან, დიზაინერებთან და არქიტექტორებთან დაკავშირებული სიახლეები და სხვა).

სათქმელის საილუსტრაციოდ კონკრეტულ მაგალითებს მივყვეთ, „მოამბის“ ჟურნალისტებმა აბრეშუმის გალერეაში ქართველი მხატვრების საერთო გამოფენის გახსნა გააშუქეს, სადაც 150 მხატვრის ნამუშევრები იყი თავმოყრილი. სიუჟეტი ტრადიციული სტრუქტურის მქონე გახლდათ, ამდენად, ნახატების გადასაფარ კადრებსა და რამდენიმე მხატვრის სინქრონს (მაგალითად, ლევან ლაზარიშვილი, სოფიო ქიზიყურაშვილი) მოიცავდა. რაც შეეხება ქრონომეტრაჟს, „მოამბის“ სიუჟეტებში წარმოდგენილი სინქრონები დაახლოებით 20-30-წამამდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვება საქართველოში არსებულ კულტურულ სიახლეებთან ერთად, არც მსოფლიოს ამბებს ტოვებს უყურადღებოდ. მაგალითად, ერთ-ერთი სიუჟეტი კანის 76-ე კინოფესტივალს ეხება, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ფილმია მიმოხილული, ამასთანავე, სწორი აქცენტები დაისვა და ფრანგ მსახიობ კატრინ დევინის პატივსაცემ ჟესტს გაესვა ხაზი, რომელმაც ცერემონიაზე

უკრაინას ლექსი მიუძღვნა. „მოამბის“ ერთ-ერთ გამოშვებაში ფინეთში არსებულ იმ ქართულ პროგრამაზეა საუბარი, სადაც თბილისის კამერული ორკესტრი მიიწვიეს.

წამყვანები ახალ ამბავს რამდენიმე წინადადებით გვაცნობენ, შემდეგ კი სიუჟეტია ეთერში, სადაც ჟურნალისტის ვოისოვერის თანხლებით ორკესტრის რეპეტიციების გადასაფარ კადრებს ვხედავთ. ამასთანავე, სიუჟეტში მხატვრულ ხელმძღვანელ გიორგი ქერელაშვილის სინქრონია წარმოდგენილი, რომელიც პროგრამაზე მუშაობისა და მზადების პროცესს აღწერს. ამ ყოველივეს შედეგად, კიდევ ერთი ტენდენციის აღნიშვნაც შესაძლებელია - „მოამბის“ ჟურნალისტები კონკრეტულ სიახლესთან დაკავშირებით დარგში კომპეტენტურ რესპონდენტებს არჩევენ, რომელთაც მეტი ინფორმაციის მოწოდება და თემის სრულყოფა უფრო სრულფასოვნად შეუძლიათ.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ „მოამბეში“ გასული ერთ-ერთი ამბავი გალერეა „უნივერსში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანისტიკის პირველი კურსის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენას ეხებოდა. შესაბამისად, ხელოვნების ნიმუშებისა და დაჯილდოების ცერემონიალის ამსახველი გადასაფარი კადრები და ფაკულტეტის ხელმძღვანელ მარინა მაისურაძისა და სტუდენტების სინქრონები იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ გადაცემაში დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში აზერბაიჯანელ მხატვარ ჩინგიზ ფარზალიევის პერსონალური გამოფენის გახსნას გაესვა ხაზი. ამასთანავე, „მოამბის“ შემდეგი ნიუსი ესპანეთში მოღვაწე მხატვარ, ლიკა შხვაცაბაიას გამოფენას ეხება, შესაბამისად, მაყურებელი ნამუშევრების ახლო და საერთო ხედების ფონზე თავად შემოქმედის მცირე კომენტარს ისმენს.

გარდა ამისა, კულტურის ბლოკში „მოამბე“ ყურადღების გარეშე მნიშვნელოვან ფესტივალებსაც არ ტოვებს. მაგალითად, Tbilisi Open Air-ის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში ყოვლისმომცველი სიუჟეტი გავიდა, საიდანაც მაყურებელი მისი ჩატარების თარიღებსა და ამ წელს მონაწილე მუსიკოსთა ჩამონათვალს იგებს. რაც შეეხება სიუჟეტის სტრუქტურას, ჟურნალისტის ხმა წინა წლების ფესტივალის ამსახველ კადრებს ედება, შემდეგ კი დამატებით ინფორმაციას

ფესტივალის დამფუძნებელი აჩიკო გულედანი და ორგანიზატორი სანდრო სულაბერიძე გვაწვდიან.

ამასთანავე, „მოამბე“ საკუთარ დროს ხელოვნების კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროს, თეატრსაც უთმობს. მაგალითად, მისმა ჟურნალისტმა სანდრო მრევლიშვილის თბილისის მუნიციპალურ თეატრში ბრეხტის ცნობილი პიესა „დედილო კურაჟი და მისი შვილების“ ახლებური ვარიაცია დააანონსა, რომელიც სოციალურ გაჭირვებასა და საზოგადოებაზე ომის გავლენას ასახავს. სპექტაკლის რეჟისორი მიხეილ მრევლიშვილი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ეს სპექტაკლი ადამიანთა „ბედის გამტეხ“ ომს ეხება. ასევე, სიუჟეტის ერთ-ერთ ნაწილში მუშაობის პროცესზე და სპექტაკლის მთავარ აზრზე მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა სოფო მეძმარიაშვილმაც ისაუბრა.

როგორც განხილულიდან ჩანს, „მოამბე“ მაყურებელს მრავალფეროვანი თემატიკის სიახლეებს სთავაზობს, მაგალითად, რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმის გახსნას აანონსებს, სადაც სხვადასხვა ჩანაწერებისა და ისტორიული მასალების დახმარებით 1930-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის ტრაგიკული მსხვერპლების შესახებ მეტის გაგება შეგვიძლია. ამ სიუჟეტში ლიტერატურათმცოდნე ნინო ხოფერიას და მწერალთა სახლის დირექტორ ნატაშა ლომოურის კომენტარები გვხვდება. საინფორმაციო გამოშვება კარტოგრაფიასა და ისტორიასთან დაკავშირებულ ამბავსაც აშუქებს - სიუჟეტი უძველეს ნიდერლანდურ რუკებს ეხება, რომელთა დახმარებითაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

„მოამბე“ საქართველოს პატრიარტის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ოპერაში გამართული კონცერტის ტრანსლირებას ახდენს, ასევე, თუმანიშვილის თეატრში მედეა კეიდიას ნამუშევრების გამოფენასაც აშუქებს, სადაც მთავარი თემა ანგელოზები და მათი სიკეთისა და სიმშვიდისკენ მოწოდებაა. ახალი ამბების გამოშვების კულტურის ნაწილში ლიტერატურის სიახლეებსაც შევხვდებით, კონკრეტულად, წიგნის საახალწლო ფესტივალთან დაკავშირებით დაწვრილებით ინფორმაციასა და სხვადასხვა გამომცემლობების წარმომადგენლების კომენტარებს მოვისმენთ. ასევე, ამ საინფორმაციო გამოშვებაში რუსუდან და დიმა ფეტვიაშვილების გამოფენასთან დაკავშირებული სიუჟეტი გვხვდება, სადაც ავტორი ახალ ტექნიკურ გადაწყვეტასთან

დაკავშირებით საუბრობს, ეს ხმა კი მისი ნამუშევრების დეტალების ახლო ხედებს ედება.

„მოამბე“ ინფორმაციას საბავშვო ევროვიზიის შესახებაც გვაწვდის. სიუჟეტში მაყურებელი მიმდინარე წლის მონაწილე მარიამ ბიგვავასა და კომპოზიტორ გიგა კუხიანიძის მომზადების პროცესს აკვირდება, ამასთანავე, ვოკალის პედაგოგ მაკა დავითაიას, თავად მარიამისა და ქორეოგრაფ გიორგი ტორიაშვილის კომენტარებია წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი კი აღნიშნავს, რომ მთავარია პერფორმანსმა, ყველა შესაძლო ხერხით, ემოცია გადმოსცეს.

გარდა ამისა, „მოამბის“ ჟურნალისტები მაყურებელს მუზეუმების საერთაშორისო დღეს ახსენებენ, ამიტომ საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების, მათ შორის რეპრესირებული მწერლებისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამოს, ამსახველი კადრები გვხვდება. ერთ-ერთ სიუჟეტში რეზო გაბრიაძის წიგნის პრეზენტაციაზეა საუბარი, სადაც მისი შვილი ლეოს და ქუთაისის მერ იოსებ ხახალეიშვილის სინქრონებია გამოყენებული. „მოამბე“ არც დიდების ევროვიზიას ტოვებს უყურადღებოდ და ამ წლის მონაწილე, ირუ ხეჩანოვის კომენტარსაც გვთავაზობს.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გასართობი და საგანმანათლებლო გადაცემების წამყვანები ჟურნალისტური ეთიკის კოდექსს სრულად იცავენ. ვთვლით, რომ ისინი შეურაცხყოფას არც ერთ უმცირესობის ჯგუფს არ აყენებენ და ყველა ნორმას ითვალისწინებენ. ამასთანავე, პროფესიონალები სტერეოტიპებითა და სტიგმებით არ აზროვნებენ და იაზრებენ, რომ რადგან დისკრიმინაცია სათავეს საზოგადოებაში იღებს, მის დასაძლევად რესურსი სწორედ აუდიტორიას გააჩნია.

ამასთანავე, ვთვლით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის შემოქმედებითი ჯგუფი ენის გრამატიკულ და სინტაქსურ ნორმებს სრულად იცავს. ხოლო სტილის ნორმებს იშვიათად არღვევს, რაც დაუშვებელია, რადგან აუდიტორია მედიის წარმომადგენლებს ხშირად მაგალითად მიიჩნევს და ამ კონკრეტულ ფორმას სწორად თვლის ან უნდა ეს თუ არა, ხშირად მოსმენის შემდეგ არასწორად ამახსოვრდება. ამიტომ, როცა ჟურნალისტობის პასუხისმგებლობა გაკისრია, აზრის

ჩამოყალიბებამდე სათქმელზე აუცილებლად უნდა დაფიქრდე. გარდა ამისა მიგვაჩნია, რომ ამ ტელეარხის გადაცემათა წამყვანები ინფორმაციას მარტივი და ყველასთვის გასაგები ენით გადმოსცემენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გასართობ-საგანმანათლებლო გადაცემა "წიგნების თაროს" ქრონომეტრაჟი, სარეკლამო ჭრების გარეშე, დაახლოებით 45 წუთს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ "წიგნების თარო" საკმაოდ მაღალი ხარისხის პროგრამაა, რადგან სამაუწყებლო ბადეში მყარ ადგილს იკავებს და მისი ეთერში არ გასვლა ან დასაწყისის ზუსტი დროიდან გადაცდენა იშვიათია, რაც ზოგჯერ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარებითა და ლაივების აუცილებლობით არის განპირობებული. ამასთანავე, ამ თამაშს თავისებური დამახასიათებელი ქუდი აქვს, რომლის ფონზეც წიგნების თაროს ინდივიდუალური ლოგოა დატანილი, რომელიც ჰარმონიულ მელოდიასა და მრავალფეროვან ილუსტრაციაზე მფრინავ სხვადასხვა ფერის ყდების მქონე წიგნებს შეიცავს. ეს ყოველივე თემატურად შეიძლება გადაცემის მთავარი მიზნის გადმომცემად და ცოდნისა და ახალი ინფორმაციის გავრცელებად ჩაითვალოს.

გადაცემა „წიგნების თაროს“ წამყვანად ინდივიდუალური სტილის მქონე პროფესიონალი ალექსანდრე ლორთქიფანიძე გვევლინება, რომელიც გადაცემის დასაწყისში ერთსა და იმავე ფრაზას("მოგესალმებით, ესაა ყველაზე ახალგაზრდული შოუ "წიგნების თარო") ხშირად იმეორებს, რათა მაყურებელს თავი დაამახსოვროს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრეს სტუმრებისადმი მუდამ კეთილგანწყობილი ტონი აქვს და გამართული და მარტივი ლექსიკით მეტყველებს.

მიგვაჩნია, რომ წამყვანი გადაცემის მთავარი ფიგურაა, შესაბამისად, ის მისი მუდმივად დახვეწილი დიქციითა და ასეთივე ჩაცმულობით „წიგნების თაროს“ საოცრად უძღვება, ასევე, მაყურებელსა და გადაცემის მონაწილეებს თამაშის წესებს ძალიან ეფექტურად და გასაგებად უხსნის. შესამჩნევი ფაქტია ისიც, რომ ალექსანდრე ლორთქიფანიძე საკმაოდ განათლებული და სიტუაციასა და თამაშის სპეციფიკაში გარკვეულია. ასევე, მისი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების ასპექტებიც საინტერესო და სახალისოა, რადგან წამყვანი მონაწილეებს ხშირად აფიქრებინებს რომ კითხვას სწორად არ პასუხობენ, მაგრამ საბოლოოდ მათი მოპოვებული ქულით აკვირვებს და ახარებს. ასევე,

ჟურნალისტს მდიდარი ლექსიკური მარაგი ახასიათებს, ის ზედაპირულობით არასდროს შემოიფარგლება და კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ მას უფრო ღრმა დეტალებით განგვიმარტავს, რაც პროგრამას რეკრეაციულთან ერთად შემეცნებით ფუნქციასაც აკუთვნებს.

„წიგნების თარო“ რამდენიმე თემატურ ბლოკად იყოფა, წამყვანი მის წესებს დასაწყისშივე განგვიმარტავს. თამაში 3 ეტაპისგან შედგება: 10 ძირითადი ლიტერატურული რაუნდი, ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ზოგადი რაუნდები და ბლიცი, რომლის მიმდინარეობისასაც გუნდებიდან თითო მონაწილე მაგიდასთან რჩება და კითხვას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პასუხობს. რაც შეეხება ძირითად რაუნდებს: პირველი მათგანი პერსონაჟის აღწერას გულისხმობს, რომელსაც წამყვანი კითხულობს და მოთამაშეებმა უნდა გამოიცნონ, შემდეგია ციტატა წიგნიდან, მას მოსდევს მაყურებლის გამოგზავნილი კითხვა, შემდეგ ვიდეოშეკითხვა და ბოლოს ასოციაცია. ასოციაცია კითხვის ფორმირებისას კონკრეტული წიგნიდან თემასთან ასოცირებული საკვანძო სიტყვების გამოყენებას მოიცავს. გარდა ამისა გადაცემის ერთ-ერთი რაუნდია ავტორის დახასიათება, ხოლო ამის შემდეგ მოდის ეკრანიზაცია, რომელშიც მონაწილეები რომელიმე ნაწარმოების ეკრანიზაციიდან გარკვეულ მონაკვეთს უყურებენ და მისი დასახელების გახსენებას ცდილობენ.

გადაცემის შემდეგი ეტაპი ზოგადი რაუნდებია, რომლის მიმდინარეობისასაც დასაწყისში მაგიდასთან ერთი მოთამაშე რჩება და ხელოვნებასთან დაკავშირებულ კითხვას პასუხობს, სადაც მას ზოგადი განათლება უნდა გამოადგეს, შემდეგია მეცნიერება და ბოლოს სპორტი. ამ რაუნდებში გუნდის ერთი მონაწილე მეცნიერების რომელიმე დარგთან და რომელიმე სპორტულ კლუბსა თუ სპორტსმენთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხობს. ხოლო თამაშის დასკვნითი რაუნდია ბლიცი, რომლის ფარგლებშიც მაგიდასთან გუნდის თითო მონაწილე გამოდის და მას ერთი წუთი ეძლევა მცირე ფორმატის კითხვებზე საპასუხოდ.

რაც შეეხება გადაცემის მნიშვნელობასა და დანიშნულებას, მიგვაჩნია, რომ „წიგნების თარო“ დიადი წიგნებისა და ეკრანიზაციების პოპულარიზაციას ეწევა. ის ახალგაზრდების კულტურით, ხელოვნებითა და ლიტერატურით დაინტერესებას

ცდილობს, ამასთანავე, მათ ცოდნის გამოცდით ართობს და მსჯელობისა და ანალიზის უნარს უვითარებს. ამიტომ ამ პროგრამას საზოგადოებაზე სასიამოვნო გავლენა აქვს, ის ზღაპრულ და თემატურად შესაბამის სტუდიაში იწერება, ამასთანავე, განათლებული და დახვეწილი წამყვანი ჰყავს, რომელიც საკუთარ ფუნქციას და დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს, რაც საზოგადოების გართობასა და განათლებას გულისხმობს.

რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დილის გადაცემა „ახალი დღის“ არქიტექტონიკას, ის ყოველთვის წამყვანთა მისალმებით იწყება, რომლებიც მაყურებელს პოზიტიურ დღეს უსურვებენ და, ძირითადად, კულტურასთან დაკავშირებულ მსოფლიოს ამბებს თანმიმდევრულად განიხილავენ. შემდეგ პროგრამა მაყურებელს სპორტის ბლოკ „ტაიმაუტს“ სთავაზობს, გარდა ამისა გადაცემას საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ საათობრივად, სამჯერ ერთვება, სადაც დღის მთავარი თემებია განხილული. ამასთანავე, „ახალ დღეში“ მრავალფეროვანი რუბრიკები კვირის კონკრეტულ დღეებზეა განაწილებული, მაგალითად, „აკის პარკი“ პარასკევს გადის, „სტოპკადრი“ ოთხშაბათს, წიგნების რუბრიკა სამშაბათს და სხვა.

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ აქტუალურ მოვლენასთან, გამოფენასთან, პრემიერასთან ან კონცერტთან დაკავშირებულ რესპონდენტებს წამყვანები ხშირად სტუდიაშივე იწვევენ და მათთან დაახლოებით 15-20 წუთიან ინტერვიუს მართავენ. აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ „ახალი დღის“ თითქმის ყველა გადაცემა ერთ პირდაპირ ჩართვას მაინც მოიცავს, რომლის მიმდინარეობისასაც ჟურნალისტი კულინარს, რეჟისორს, მუსიკოსს ან ხელოვნების რომელიმე სხვა მიმართულების წარმომადგენელ გამოჩენილ ადამიანს საკუთარ სამუშაო გარემოში აკითხავს.

სამაუწყებლო ბადეში გადაცემა „ახალი დღის“ დრო და ადგილი სრულად უცვლელია, ის 07:30-10:00-მდე პერიოდში გრძელდება და სამ ნაწილს მოიცავს, მის ეთერში „მოამბის“ სამი ჩართვა, ორი „ბიზნესპარტნიორი“, „ტაიმაუტი“ და ამინდი გვხვდება. „ახალი დღის“ ძირითადი წამყვანები ლანა ბლიაძე, დათო გორგილაძე, ანა თაკალანძე, სანდრო რაჩკოვსკი და ელენე კალანდაძე არიან, რომელთაც წყვილებში კონკრეტული დღეები აქვთ გადანაწილებული. აღსანიშნავია, რომ ოთხივეს კლასიკურად და

დახვეწილად, შარვალ-კოსტუმები აცვიათ, ამასთანავე, ტელეგენური, გემოვნებიანი და განათლებული პიროვნებები არიან და ტელევიზიის შესაბამისადაც მეტყველებენ.

მიგვაჩნია, რომ ახალი ამბების თვალსაზრისით, არტჟურნალისტიკა ყველაზე ყოვლისმომცველად „ახალი დღის“ პირველ ნაწილში შუქდება, რადგან თუკი ერთ-ერთი ეპიზოდის სტრუქტურას მაინც დეტალურად მივყვებით, ვნახავთ, რომ დათო გორგილაძე გადაცემას კულტურის სიახლეებით იწყებს. კონკრეტულად, კინემატოგრაფიას განიხილავს და “Netflix“-ის სერიალ „გვირგვინის“ ახალ სეზონს გვიანონსებს, ამასთანავე, პრემიერის თარიღსაც გვისახელებს და ზოგად ინფორმაციასაც გვაწვდის.

აღსანიშნავია, რომ კულტურის ნიუსების გამოცხადებას „ახალ დღეში“ თავისუფალი და ფორმალობისგან დაცლილი სახე აქვს, ამიტომ წამყვანი ამბის გადმოცემისას ერთ-ერთ მსახიობზე საკუთარ აზრსაც აფიქსირებს, ამბობს, რომ ის „ჰარი პოტერიდან“ ახსოვს და სხვა როლში ვერ წარმოუდგენია. ამ შეხედულებაზე დათოს თანაწამყვანი ლანაც ეთანხმება, საკუთარ გამოცდილებას უზიარებს და აღნიშნავს, რომ ასე ხშირად გვემართება. შესაბამისად, ჟურნალისტები ზოგადი ინფორმაციის მოწოდების გარდა საკუთარ შეხედულებებსა და დამოკიდებულაბასაც გამოხატავენ და ზოგადსაკაცობრიო საკითხებზეც მსჯელობენ. რითიც ვხვდებით, რომ ისინიც მოაზროვნეები არიან, გარდა ამისა, ერთმანეთის მიმართაც მეგობრული და პროფესიონალური დამოკიდებულება აქვთ და პროგრამას ჰარმონიულად უძღვებიან.

განხილული მოვლენების ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს გადაცემა თემატურ-ჟანრული თვალსაზრისით მრავალფეროვანია და საზოგადოებას იმ აუცილებელ ინფორმაციას აწვდის, რაც დღის განმავლობაში დასჭირდება. მის ეთერში ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულება განსაკუთრებულად შუქდება და ყურადღების გარეშე არც ეკონომიკა, სპორტი, პოლიტიკა და სოციალური უსაფრთხოება რჩება.

აღსანიშნავია, რომ „ახალი დღე“ არტჟურნალისტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რადგან მისი საეთერო დრო ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების, თეატრის, კინოს, მუსიკის, ლიტერატურისა და მხატვრობის დაწვრილებით და ჩაშლილად გაშუქებას ეთმობა.

მაგალითად, „ახალი დღის“ ერთ-ერთ ნაწილში დათო გორგილაძე სამეფო უბნის თეატრში ნინო ხარატიშვილის პიესა „ფედრა ცეცხლის ალშის“ პრემიერას აანონსებს, შესაბამისად, სიუჟეტში რეპეტიციების პროცესის ამსახველი კადრები და მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობების, ნატა მურვანიძისა და ანანო მახარაძის სინქრონები გვხვდება. ხელოვანები მუშაობის პროცესზე გვიყვებიან, ტექსტის შინაარსით დაგვაინტერესებენ და გუნდური მუშაობისთვის აუცილებელ კომპრომისებზე მართავენ დისკუსიას. აღსანიშნავია, რომ ეს სიუჟეტი ტრადიციული ახალი ამბების სიუჟეტს საერთოდ არ ჰგავს, რადგან რესპონდენტები პრემიერის მოლოდინებზე, რეჟისორის გავლენებზე, ინსპირაციის წყაროზე, ბერძნული მითის თანამედროვეობაში გაცოცხლებაზე, ჩვენ გარშემო არსებულ ძალადობასა და უსამართლობაზე ძალიან სიღრმისეულად გვიყვებიან. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ტიპის სიუჟეტთა დრამატურგიული წყობის სტილი საინფორმაციო ჩარჩოს არღვევს და მაყურებელს მისთვის საჭირო ინფორმაციას მხატვრულად აწვდის, რაც არტჟურნალისტიკის პრინციპებთან შესაბამისობაში ნამდვილად მოდის.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ „ახალი დღის“ ერთ-ერთ გადაცემაში წამყვანები სტუდიაში ახალი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის რეჟისორსა და პროდიუსერს იწვევენ, რომლებიც პროექტზე მუშაობის ეტაპებსა და კონკურსებში მონაწილეობის პროცესზე მოგვითხრობენ, ამ ყოველივეს გადასაფარ კადრებად კი თიზერის მცირე მონაკვეთებს ვხედავთ. ჟურნალისტები ამ შემთხვევაშიც ინტერაქციულ ხასიათს ავლენენ, ამიტომ ფილმის დრამატურგიულ სტრუქტურას, მის შინაარსს, სიუჟეტსა და მასში დასმულ პრობლემატურ საკითხს განიხილავენ.

ხოლო რესპონდენტები კი საკუთარ ინსპირაციის წყაროზე, ჩანაფიქრზე და ამ თიზერ „ოჰ დედა, დედას“ სრულფასოვან ფილმად ქცევის პერსპექტივებზე გვიამბობენ. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში დედობრივი მზრუნველობა და ინსტიქტებია წარმოჩენილი, რაც გადამეტებული დოზით არსებობის შემთხვევაში ორივე მხარეზე უარყოფითად აისახება, რადგან ხშირად ადამიანებს ჰგონიათ, რომ თავიანთ საყვარელ არსებას იცავენ, თუმცა, რეალურად მათ შვილებს საზღვრები შეზღუდული აქვთ და თავისუფლებას ვერ გრძნობენ.

„ახალ დღეში“ თაკო ასათიანის სიუჟეტი თუშეთში მიმდინარე გამოფენაზე მოგვითხრობს, სადაც მოხუცი ქალბატონი მაყურებელს ბუნებრივი საღებავებით თუშეთის ხედის ამსახველი ნაბდის შექმნის პროცესზე უყვება. ამდენად, ეს გადაცემა დღის დაწყებისთანავე უმნიშვნელოვანეს კულტურის სიახლეებს გვაწვდის, მაგალითად, ჟურნალისტები ფილმ „Dune-ის“ მეორე ნაწილის ქასთსა და სამუშაო პროცესზე გვიყვებიან და პრემიერასაც აანონსებენ.

სამშაბათს გადაცემას ფლორისტ ანი არველაძის მიერ მომზადებული სიუჟეტი უერთდება, სადაც ერთ-ერთი კახური ოჯახია წარმოდგენილი, მისი მიმდინარეობისას მოხუცი ქალბატონი საკუთარ ეზოში არსებული მცენარეების მოვლის წესებს გვაცნობს. ამდენად, ეს სიუჟეტი ძალიან ბუნებრივი, მეგობრული, მხატვრული და კეთილგანწყობილია, რესპონდენტი საკუთარ ყვავილებს გვათვალიერებინებს და ჟურნალისტს ერთ-ერთის ნერგსაც კი ატანს.

გარდა ამისა სამშაბათს „ახალი დღე“ ეთერს გიორგი კეკელიძის ლიტერატურულ რუბრიკასაც უთმობს, ის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საუბრობს, სადაც წარმოდგენილ ქართველ ავტორებს ახასიათებს, კონკრეტულად ამ რუბრიკაში კი „ოდისეას“ განიხილავს და აღნიშნავს, რომ ოდისევსის წასვლა ერთგვარად ადამიანის სამოგზაუროდ წასვლა და საკუთარი თავის უკეთ შეცნობის შემდეგ დაბრუნებაა. გიორგი კეკელიძის საუბარზე დაკვირვებისას მუდმივად გვიჩნდება აზრი, რომ ეს ადამიანი ეკრანზე ნამდვილი ინტელექტუალური რესურსია, განათლებულია, მოაზროვნეა, ადამიანებისთვის საკუთარი შეხედულებების გაზიარება მოსწონს და მისი სმენა მაყურებლისთვისაც ნამდვილი სიამოვნებაა.

„ახალი დღე“ არტჟურნალისტიკის თითქმის ყველა ობიექტს აშუქებს, მაგალითად, თაკო ასათიანის ჩართვაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ფოტოგრაფის ისტორიას ვეცნობით. სიუჟეტში ამბის თხრობის მრავალფეროვანი სტილია გამოყენებული და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების გადაადგილებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის საქართველოში არქონასთან დაკავშირებითაც ჟღერდება.

„ახალ დღეში“ წარმოდგენილი ნათია ბერიძის რუბრიკა „სტოპკადრის“ ერთ-ერთი გამოშვება ცნობილ მსახიობ გოგი გეგეჭკორის პორტრეტია, რომლის ფარგლებშიც მსახიობს ახლობლები იხსენებენ, თვალსაჩინოებისთვის კი კამერა მათ სახლს გვათვალიერებინებს, რასაც ძველი ფოტოების ახლო კადრების თანმხლები მელანქოლიური მუსიკა გასდევს. ამასთანავე, საკვლევი პერიოდიდან ერთ-ერთ მხატვრულ და გამორჩეულ სიუჟეტში ჟურნალისტი გადაცემაში პანტომიმის თეატრიდან გვერთვება, სადაც ის შავი ფონიდან ნელ-ნელა სცენაზე გადაინაცვლებს, ქვემოდან რიტმული მუსიკა გვესმის, უკანა ფონზე შავ-თეთრ კოსტუმებში გამოწყობულ მსახიობებს ვხედავთ, წინ კი რეჟისორი მოლოდინებზე, გამოყენებულ ჟანრსა და ესთეტიკაზე საუბრობს. ამიტომ აღნიშნული სიუჟეტი თავისი მხატვრული და ინდივიდუალური გადაწყვეტით ნამდვილად სინთეზური ხელოვნების ნიმუშია. გარდა ამისა „ახალ დღეს“ ცნობილი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილიც სტუმრობს, რომელიც იმავე საღამოს საკუთარი ვარსკვლავის გახსნას აანონსებს.

გარდა ამისა გადაცემის ერთ-ერთ გამოშვებაში სტუდიაში მოწვეული ორგანიზატორები ჟანრულ ლიტერატურულ ფესტივალ „ინსომნიას“ განიხილავენ, შესაბამისად, მის იდეაზე, არსზე, პირობებზე, შეზღუდვებზე, ფობიებთან დაკავშირებულ სიუჟეტებსა და ფანტასტიკის ჟანრის განვითარებაზე გვესაუბრებიან. ხოლო ფესტივალის ჟიურის წევრები საკუთარ ინსპირაციის წყაროს, საინტერესო ნაწარმოებებსა და ამბის თხრობის ტექნიკებს გვიზიარებენ. შემდეგი სიუჟეტი პიანისტ ლეილა სიყმაშვილს ეხება, რომელიც საინტერესო და დაუვიწყარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სპექტაკლების მიმდინარეობისას თავს გადახდენილ უცნობ ისტორიებზე გვიამბობს. შესაბამისად, ჩვენს წინაშეა არქივის კადრებთან ერთად, ხელოვანის მიერ წარსულისა და შემოქმედების ემოციური გახსენება.

თუკი კვლავ თემატიკათა განხილვას გავაგრძელებთ, ყოვლისმომცველობა იმითაც გამოიხატება, რომ „ახალ დღეს“ ერთ-ერთ ნაწილში რეჟისორი გიგა აგლაძე სტუმრობს, რომელიც მისი და დევიდ ფინჩერის პარტნიორობასა და ფილმ „მეორე მეზე“ მუშაობის პროცესზე გვიამბობს, ამასთანავე, მისი პრემიერის თარიღსაც აანონსებს. წამყვანები კითხვის დასმამდე ამ შემთხვევაშიც შესავალს აკეთებენ, რეჟისორს საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებენ და ფილმის გამოხმაურებაზე ესაუბრებიან,

რესპონდენტი, თავის მხრივ, ფილმის მთავარ არსს განგვიმარტავს და აღნიშნავს, რომ ეს ფილმი მათთვისაა, ვისაც ფიქრი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე გართობა.

მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ გადაცემაში, პერსონალიზაციის ასპექტების გამო, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, ინტელექტუალური რესურსის სახით, თავად ჟურნალისტი წარმოადგენს. ამ კუთხით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში უდავოდ „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ გამოირჩევა, რადგან ის თემატიკისთვის ყველაზე შესაბამის ფიგურას, დათო გორგილაძეს მიჰყავს, რომელიც, როგორც პერსონა, მთლიანად ამ გადაცემის ხასიათის, შინაარსისა და სტილის ნაწილია. ვთვლით, რომ ქართულ ტელესივრცეში ეს გადაცემა ინტერვიუს ჟანრის სტრუქტურას ყველაზე ზუსტად გამოხატავს. ამასთანავე, მასში ნათლად ჩანს, როგორი უნდა იყოს ინტერვიუ-დიალოგი, რომელში მონაწილე ორივე პიროვნებას ეტყობა, რომ საკითხში ერკვევა და ჟურნალისტი დაზეპირებულ და უშინაარსო კითხვებს კი არ სვამს, არამედ სიღრმისეულს, ზოგჯერ იქვე, საუბრიდან გამომდინარე მოსულს და სპონტანურს. მას ეტყობა, რომ არამარტო პროფესიონალია და გადაცემისთვის კარგად მომზადებისას თემა და რესპონდენტი იკვლია, არამედ ის რაზეც საუბრობს უყვარს და აინტერესებს კიდეც, შესაბამისად, ამ გადაცემიდან რეალური ემოცია მოდის, რაც მაყურებლის დაფასების გარეშეც არ რჩება.

„გორგილაძის აუტანელ სიმსუბუქეს,“ რომელიც ეთერში ყოველ პარასკევს 22:00 საათზე გადის სხვადასხვა ასაკის მაყურებელი ჰყავს, ის საეთერო ბადეში მყარ ადგილს ინარჩუნებს და სარეკლამო ჭრის გარეშე 40-60-წუთამდე მერყეობს. ამ გადაცემაში სხვადასხვა საზოგადოებრივი სფეროს დამსახურებული, საინტერესო და გამორჩეული ადამიანების პორტრეტები გვხვდება, რომელთა მოსაზრებები, შეფასებები, კარიერული გზა და ემოციური კავშირები ერთიან სახეს ამ სივრცეში იღებს და ინახება.

ამ გადაცემას გამორჩეული ქუდი და მელოდია აქვს, ჩვენს წინაშე თავად წამყვანის გრაფიკული გამოსახულებაა, რომელიც ფერადი ტვინის სტრუქტურაში შედის და ლაბირინთებში მოგზაურობს, რაც პროგრამის მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს. ეს ადამიანების გონებაში „შეძრომას“ და მათგან მაქსიმალურად სიღრმისეული ნააზრევისა და საინტერესო შეხედულებების მოსმენას გულისხმობს. ვფიქრობთ, ამ გადაცემის

წამყვანი არტჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია, ის თავადაც მწერალია და ხელოვნების სხვადასხვა სფეროზე (მაგალითად, ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაზე) სიღრმისეული ცოდნა გააჩნია. ამასთანავე, საკუთარ საქმეს დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით ასრულებს.

ამდენად, „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქის“ დრამატურგიული სქემაც საინტერესოა, რადგან მის ერთ-ერთ მონაწილედ და სტუმრად თავად თბილისიც გვევლინება. შესაბამისად, პერსონაჟის უკეთ გასაცნობად, რესპონდენტი და წამყვანი სხვადასხვა ადგილებში დასეირნობენ, ამიტომ, ისინი ობიექტის საყვარელ ქუჩას, კაფეს, ბაღს ან თეატრსაც ჩაუვლიან გვერდით. ამ შემთხვევაში ვიზუალური გამოხატვის ენაც ერთვება, რაც ნიშნავს, რომ იმისთვის, რომ მაყურებელს სტატიკური მდგომარეობის ყურება არ მობეზრდეს, ფიგურები მუდმივად მოძრაობენ. სტუმარი მის საყვარელ ადგილებზე საუბრით მათ შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის და თავად ქალაქსაც პერსონაჟად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქის“ მონტაჟის სტილი ბუნებრივი და უბრალოა, ამიტომ კამერა ჩვეულებრივ, შემთხვევით თანმდევ მოვლენებსაც ასახავს, ეს ფაქტორი კი პროგრამას გულწრფელობის ეფექტს აძლევს. მაგალითად, როცა დათოს სტუმრად ახალგაზრდა მუსიკოსი ნინი ნუცუბიძე ჰყავდა და საუბრისას სოლოლაკში დასეირნობდნენ, მაყურებელმა შეამჩნია, რომ ერთმა მოხუცმა კაცმა მანქანა გააჩერა და მათი საქმიანობის გამო ორივეს მადლობა გადაუხადა.

ასევე, გადაცემის დასაწყისში ხშირად ჩანს, წამყვანი რესპონდენტს როგორ დაუკავშირდა, დანიშნულების ადგილამდე როგორ მივიდა და შემოქმედებითი ჯგუფი კიბეებზე როგორ ადის. ამასთანავე, წარმოდგენილია სხვადასხვა ქუჩა თავისი გადატვირთული მოძრაობით, განსხვავებული ადამიანებით, უცვლელი და ცვალებადი დეტალებით, ხოლო კაფეების, სახლებისა და თეატრების იტნერიერი მრავალფეროვან და საინტერესო გარემოსაც ქმნის და ადამიანს სიახლოვის განცდასაც უჩენს.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის რესპონდენტები მრავალფეროვანი, ნებისმიერი ადამიანისთვის საინტერესო და ინსპირაციული პიროვნებები არიან. ხოლო დინამიკური ხასიათის გამო, მაყურებელს პროგრამის დამთავრებისთანავე მეორე

ეპიზოდის ყურების სურვილი უჩნდება. გარდა ამისა სტუმრის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიებაც გვინდება, შესაბამისად, „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ შემეცნებით-საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს და არტჟურნალისტიკის ჭრილში ჯდება. ასევე გადაცემაში ხშირად ისეთი ფრაზები ჟღერდება, რომლებიც წიგნის მონაკვეთივით მოსმენისთანავე გონებაში ჩაგრჩება, დაგაფიქრებს, შეგცვლის და მსგავს სიტუაციებში გაგახსენდება.

ამ მცირე დეტალების შერწყმით „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ ყოველთვის საინტერესოა, რადგან სხვადასხვა ასაკისა და სფეროს წარმომადგენელ, რადიკალურად განსხვავებულ რესპონდენტებს სრულიად ახალი კუთხით აცნობს მაყურებელს, რაც აუდიტორიის დაფიქრებას, გართობას, განვითარებასა და განათლებას ემსახურება.

პროგრამის რესპონდენტებად მსახიობი ნატო მურვანიძე, რეჟისორები რეზო ჩხეიძე და დათა თავაძე, ახალგაზრდა მუსიკოსები ნინი ნუცუბიძე და გიორგი გიგაშვილი, მწერალი არჩილ ქიქოძე, ყოფილი განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, ჟურნალისტი მაკა ანთიძე, ნანა ჩარკვიანი, ნინო ხარატიშვილი, ნანა ჯორჯაძე, დათო ტურაშვილი, ივა ფეხუაშვილი, გოგი-ალექსი მესხიშვილი, ნათია ფანჯიკიძე, გია მურღულია და სხვა გამოჩენილი ადამიანები გვხვდებიან.

მნიშვნელოვანია, რომ მცირე ქრონომეტრაჟის პირობებში ამ ადამიანთა ნააზრევი, მათთვის საყვარელი და სასიამოვნო გარემო, მათი შეხედულება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, წარსულის გახსენება, სამომავლო გეგმები და მნიშვნელოვანი კარიერული ეტაპების გადააზრება ეტევა. ამ ყოველივეს, როგორც საინტერესო ფიგურები, ასევე, ჟურნალისტის არაშაბლონური და განსხვავებული, კონკრეტულ რესპონდენტზე მორგებული კითხვებიც უზრუნველყოფს. შესაბამისად, მაყურებელი პიროვნების ცხოვრების სტილზე, პრინციპებზე, ურთიერთობებსა და კარიერულ გეგმებზე სიღრმისეულ ინფორმაციას იღებს.

განსახილველად საინტერესოა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის კიდევ ერთი შემეცნებითი გადაცემა „დღის კოდი,“ რომელიც ეთერში სამუშაო დღეებში გადის, მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 1 საათი და 15-30 წუთია, შესაბამისად, ის სამი ბლოკისგან და სამი რესპონდენტისგან შედგება, ასევე, ხშირია ერთი პატარა

რეპორტაჟული ჩართვაც. გადაცემა სხვადასხვა თაობისა და სფეროს წარმომადგენელ წამყვანებს მიჰყავთ, ესენი არიან: დავით ანდრიაძე, ლიკა ევგენიძე, ნატალია ქუთათელაძე, დავით ალადაშვილი, ნინკა იაკობიძე და ნიკა ლობილაძე. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, ჟურნალისტებს ხელოვნების კონკრეტულ მიმართულებაში საბაზისო მომზადება და განათლება გააჩნიათ და ზოგიერთი მისი წარმომადგენელიცაა. ამიტომ ისინი რესპონდენტთან საუბრისას მშრალი და დაზეპირებული კითხვებით არ შემოიფარგლებიან, საკუთარ აზრსაც აფიქსირებენ და სიღრმისეულ შეკითხვებსაც სვამენ.

აღსანიშნავია, რომ ამ გადაცემის მიზანი ისეთი სივრცის შექმნაა, სადაც მაყურებელი სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროზე, განსაკუთრებით კი კულტურაზე, ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს. მიგვაჩნია, რომ გადაცემა „დღის კოდი“ საკუთარ ფუნქციას პირნათლად ასრულებს, საეთერო ბადეში მყარი ადგილი უჭირავს, ამასთანავე, საინტერესო, მოაზროვნე და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი წამყვანები ჰყავს, რომლებიც თავად მსჯელობენ, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარ შეხედულებებს გვიზიარებენ და რესპონდენტებთან ინტერვიუ-დიალოგს მართავენ, რაც ძალიან სასიამოვნო საყურებელია.

ამასთანავე, გადაცემას მისთვის შესაბამისი, დახვეწილი ქუდი და სტუდია აქვს. კონკრეტულად, სტუდიაში ერთი დიდი მრგვალი მაგიდა გვხვდება, რომლის გარშემოც წამყვანები და რესპონდენტები სხედან, იქვე ძველებურ ჭიქებში ჩამოსხმული ჩაი და ლარნაკში ჩაწყობილი ყვავილებიც დევს, რაც მაყურებელში კომფორტულობის შეგრძნებას ბადებს. სტუდიის ინტერიერი ნეიტრალური ფერებით, ცისფერითა და თეთრით გამოირჩევა, უკანა ფონზე კედლებზე ნახატებია ჩამოკიდებული, ძველი ჩაიდანი დგას და წიგნების თაროებია განლაგებული. ამ ყოველივეზე დაკვირვებით ვიგებთ, რომ გადაცემის სტუდიის ანტურაჟი მის შინაარსს ზუსტად შეესაბამება და წინასწარ მოლოდინს აღგვიძრავს, რომ ამ სივრცეში სასიამოვნო საუბრები, კომფორტული გარემო და შემეცნებით თემებზე მსჯელობა გველოდება.

თემატური თვალსაზრისით, გადაცემა ნებისმიერი ადამიანისთვის საინტერესო და ინსპირაციულია, უპირველეს ყოვლისა, ის მაყურებელს ახალი წიგნებით, გამოფენებით,

სპექტაკლებითა თუ მუსიკალური ალბომებით დააინტერესებს, შესაბამისად, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაციას ახდენს. ასევე, პროგრამა ძალიან ზუსტად შერჩეული და კომპეტენტური რესპონდენტების დახმარებით აუდიტორიას არამხოლოდ ზედაპირულ ამბავს, არამედ მის რამდენიმე კუთხით განხილვასა და ანალიზს სთავაზობს.

გადაცემა „დღის კოდი“ მაყურებელს ახალ ინფორმაციას აწვდის, დააფიქრებს და ამ თემასა თუ ფიგურაზე თავადაც მეტი ინფორმაციის მოძიებისკენ უბიძგებს. რაც შეეხება თემატიკათა მრავალფეროვნებას, ეს პროგრამა, როგორც ისტორიას, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას, ასევე, კინემატოგრაფიას, სცენოგრაფიასა და მუსიკასა ეხება და ამ დარგებს სხვადასხვა რაკურსით დეტალურად განიხილავს.

მაგალითად, ერთ-ერთი გადაცემის მთავარი თემა ნარცისიზმის კულტურა და სოციალური ურთიერთობები იყო, რაზეც ფსიქოლოგმა მარინა ჩიტიშვილმა, დირიჟორმა გოგი ჭიჭინაძემ და ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა ისაუბრეს. რესპონდენტებმა საკითხი სხვადასხვა რაკურსით მიმოიხილეს, ამიტომ ნარცისიზმისა და თანამედროვე ხელოვნების კავშირზე, წახალისებაზე, რეფლექსიაზე, დარგის გადამდებ ხასიათსა და პიროვნულ და კოლექტიურ ხასიათზე იმსჯელეს. ასევე, ერთ-ერთი განხილული თემა კალიგრაფიის ისტორია გახლდათ, რაზეც საქართველოს კალიგრაფთა ასოციაციის დერექტორმა, ნესტან ნაგაურმა ისაუბრა. გადაცემა ყურადღებას მუსიკაზეც ამახვილებს და გარკვეულ კითხვებს სვამს - იჩრდილება თუ არა კლასიკური მუსიკა, რა ასაკობრივი ზღვარის ადამიანები უსმენენ მას და როგორ მოვარგოთ ის ახალგაზრდა მსმენელს.

ამასთანავე, გადაცემა „დღის კოდში“ ფოტოგრაფიასაც იკვლევენ, კერძოდ, ფოტოგრაფი დინა ოგანოვა ფოტოგრაფიით მოყოლილ ამბებზე საუბრობს, მსახიობი ქეთი ჩხეიძე ტექსტის კითხვის სპეციფიკას განიხილავს და იმ მოსაზრებას ასაბუთებს, რომ მსახიობობა ხშირად კარგი მთხრობლობის გარანტიაა. შემდეგ ელენე ჩიტალაძის სიუჟეტი გვხვდება, რომელიც კულტურის განმარტების შესახებ მის ტრადიციულ კითხვას ამჯერად მხატვარ ავთანდილ გახოკიძეს უსვამს. შესაბამისად, ამ გადაცემაში ამბის თხრობის ხელოვნება ფოტოგრაფის, მსახიობისა და მხატვრის მიერ საკუთარი

გამოცდილების გადააზრების საფუძველზეა განხილული, ეს პროცესი კი ერთ თემაზე სრულ და ყოვლისმომცველ სურათს ქმნის.

გადაცემაში ინკლუზიური ხელოვნება დისკუსიის საგნადაა ქცეული და ინკლუზიური იდეების პლატფორმის დამფუძნებელი მაკა ჩხაიძე შშმ პირებისთვის ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე საუბრობს. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ერთ-ერთ ბლოკში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ცხოვრებაზე მუსიკალური თერაპიის ზემოქმედებაზეა საუბარი და სოციალური ინკლუზიის პროცესში თეატრალური ხელოვნების როლია განხილული.

გადაცემა თანამედროვე თეატრის ტენდენციებსაც მიმოიხილავს, მასში ამჟამინდელ ბაზარზე, მოთხოვნებსა და თეატრალური კრიტიკის მნიშვნელობაზეა საუბარი, ხოლო ბლოკის რესპონდენტებად თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვანო ხუციშვილი, თეატრმცოდნე ელენე შალუტაშვილი და მსახიობი და რეჟისორი, რუსუდან ბოლქვაძე გვევლინებიან.

„დღის კოდი“ ხშირად კონკრეტულ პერსონას ან მოვლენას ეძღვნება, მაგალითად, ჯემალ ქარჩხაძეს, ნანა ფაჩუაშვილს, 26 მაისს, ბედნიერების საერთაშორისო დღეს და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, გადაცემის სხვადასხვა სერიაში ანიმაციის ენაზე, პოეზიისა და მუსიკის კავშირზე, სიყვარულის ცნების ფილოსოფიურ გაგებაზე, მუსიკის ევოლუციაზე, თეატრალური კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, მკითხველის მოთხოვნილებებზე და თანამედროვე ქანდაკებაზეა დისკუსია.

ამასთანავე, პროგრამაში განსახილველ თემებს შორისაა პოსტმოდერნიზმი და ყოველდღიურობა, რაც ლიტერატურისა და პოეზიის კონტექსტში დეტალური მსჯელობითაა განმარტებული, თეატრი და მხატვრობა, ურბანიზმი ლიტერატურასა და ფერწერაში, მწერლობა და ბოჰემა, მხატვრობის ევოლუცია და სხვა. რომ დავასკვნათ, გადაცემა „დღის კოდი“ საზოგადოებას ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის, თემატიკათა შერჩევის მიხედვით ყოვლისმომცველია, თუმცა, ყველაზე დიდ ყურადღებას კინემატოგრაფიას, თეატრსა და ფსიქოლოგიას უთმობს, შედარებით ნაკლებს ქანდაკებასა და დიზაინს.

ჩვენი ნაშრომის კიდევ ერთი საკვლევი ობიექტი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის შედარებით ახალი გადაცემა „ნატალია და დათუნაა," რომლის შინაარსიც, სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ პერსონალიზებულია, რადგან საავტორო პროგრამაა და მის ხასიათს მუსიკოსებ ნატალია ქუთათელაძისა და დათუნა ალადაშვილის იდვიდიდუალიზმი, ცხოვრების სტილი, გამოცდილება და გემოვნებაც განსაზღვრავს. პროგრამა სტრუქტურით საინტერესოა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს სიღრმისეულად განიხილავს, ეთერში კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობითაა და მისი დაახლოებითი ქრონომეტრაჟი ერთი საათია. თუმცა, დაკვირვების შედეგად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ სატელევიზიო სივრცეში საბაზრო მარკეტინგული გათვლებისა და კონკურენციის მიზნით მიმბაძველობის ტენდენციაც შეიმჩნება. ამიტომ „ნატალია და დათუნა," რომელიც დაახლოებით 3 თვეა რაც ეთერში გადის, თავისი ხასიათით, ჟანრობრივი სტრუქტურითა და რესპონდენტთა შერჩევის ტენდენციებით ტელეკომპანია „იმედზე" წლებია არსებულ გადაცემა „ავტოგრაფს," საკმაოდ ჰგავს. რასაკვირველია, ორივე პროგრამას თავისებური დამახასიათებელი ნიშა აქვს და ორივე შემეცნებით ფუნქციას ასრულებს. თუმცა, ვისურვებდით, ქართულ სატელევიზიო სივრცეში მიმბაძველობისა და იდენტური პროგრამების ნაცვლად, ნოვატორული და ინდივიდუალური ხედვისა და სტილის მქონე გადაცემები გვეხილა.

გადაცემა ყურადღებას მაღალ კულტურაზე ამახვილებს: დახვეწილი წამყვანები, სტუდია, მუსიკა და რესპონდენტები კი არჩეულ თემას ჰარმონიული და ბუნებრივი საუბრებით სრულყოფენ. სტუდია წითელ და თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი და მას ცოცხალი ბენდი აფორმებს. თემატიკას რაც შეეხება, „ნატალია და დათუნა," ძირითადად, სპეციალიზებულია და მუსიკაზე კონცენტრირდება, თუმცა, ასე თუ ისე ხელოვნების ყველა სფეროს მოიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემის მიმდინარეობისას ნაწარმოებებს ხშირად თავად ნატალია და დათუნა ასრულებენ და ამ ყოველივეს ცოცხალი ბენდი აფორმებს.

ამასთანავე, პროგრამა ბუნებრივი საუბრებით გამოირჩევა, რა დროსაც წამყვანთა მეგობრული დამოკიდებულება და გადათამაშება შეინიშნება. საგულისხმოა, რომ ბუნებრივი ეფექტის შესაქმნელად გადაცემა კულისებიდან იწყება და მაყურებელი სტუდიაში შემოსვლამდე ჟურნალისტების მომზადების პროცესსაც აკვირდება, რათა

უკეთ აღვიქვათ, რომ ისინიც ჩვენნაირი, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ამ უკანასკნელი მიზნისთვის ხშირად მსუბუქ ხუმრობებსაც იყენებენ. აღსანიშნავია, რომ „ნატალია და დათუნა“ თითქმის ყველა ჟანრის მუსიკას გვასმენინებს და ზოგჯერ ახალ არტისტებსაც აღმოგვაჩენინებს.

გადაცემაში წამყვანები საკუთარ გამოცდილებასაც გვიზიარებენ და დისკუსიები კინომუსიკაზეც იმართება. მაგალითად, ერთ-ერთ ეპიზოდში მუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი საკუთარი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბების პროცესზე საუბრობს. ამასთანავე, ერთ-ერთ ნაწილში წამყვანები ამავე არხზე გამავალ სერიალ „სიყვარულს მიღმას“ მსახიობებს, ანკა ვასაძეს, სოფო გორელაშვილსა და გიგი მიგრიაულს იწვევენ, რომლებიც მათთვის გამორჩეულ სიმღერებზე მოგვითხრობენ, რომელთაც შემდეგ მომღერლები სტუდიაშივე ცოცხლად ასრულებენ. მაგალითად, ანკა ვასაძე დევიდ ბოუიზე საუბრობს. ამდენად, „ნატალია და დათუნაში“ სტუმრები საკუთარი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბების პროცესსა და სხვადასხვა ტრეკების აღმოჩენასთან დაკავშირებულ ისტორიებს გვიზიარებენ.

მოკლედ, რომ ვთქვათ, ამ გადაცემაში რესპონდენტებად სხვადასხვა გემოვნების, პროფესიისა თუ ასაკის მქონე ადამიანებს შევხვდებით, რომლებიც მუსიკასთან კავშირზე საუბრობენ. მათ შორის არიან შეფი ლუკა ნაჭყებია, რეჟისორი დავით დოიაშვილი და მწერალი და ტელეწამყვანი, დათო გორგილაძე. „ნატალია და დათუნაში,“ სხვადასხვა დროს შესრულებული პერფორმანსებისა და ჟანრების შედარებაც ხდება. ამიტომ თუკი გემოვნებიანი მუსიკის მოსმენა და მის უკან დამალული ისტორიის გაგება გსურს, ეს გადაცემა ნამდვილად შენთვისაა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ხელოვნების მიმართულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მუსიკაზე ამახვილებს და მასთან დაკავშირებით სპეციალიზებულ გადაცემებს ამზადებს. მათ შორისაა მებო ნუცუბიძისა და მაკო მჭედლიშვილის „აკუსტიკა,“ რომელიც ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ახდენს და ბევრ დამწყებ მომღერალს ცნობადობის გაზრდაში ეხმარება. ამ გადაცემაში რესპონდენტებად, როგორც ცნობილი კომპოზიტორები და შემსრულებლები, ასევე, დამწყებებიც გვევლინებიან, ის მუსიკის

თითქმის ყველა ჟანრს აერთიანებს და მუსიკალური ტრადიციებზე და ტრეკების უკან არსებულ ამბებზე მოგვითხრობს.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ეს გადაცემა ყველა გემოვნების მსმენელს ერგება, აქ ფოლკლორს, საესტრადო მუსიკას, ელექტრონულს, ჰიპჰოპს, ჯაზსა და როკს ერთად მოისმენთ. ასევე, ხშირად სრულდება ძველი სიმღერები ახლებური ინტერპრეტაციით და სხვადასხვა მუსიკოსები მაყურებელს კონკრეტულ ალბომებსაც ურჩევენ. მაგალითად, „აკუსტიკაში“ ცირა კობიაშვილის, ნათია ბიბილაშვილის, „მწვანე ოთახის,“ ნინი ნუცუბიძის, გიორგი გიგაშვილის, სტეფანესა და გორის ქალთა კამერული გუნდის შესრულებები ჟღერდება. ამიტომ გადაცემა კონკრეტულად მუსიკაშია სპეციალიზებული და მის სხვადასხვა ჟანრს ჩაშლილად მოიცავს, რაც ქართული მუსიკის პოპულარიზაციასა და დამწყები მომღერლების ცნობადობის ზრდას ხელ უწყობს.

საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მიმოვიხილავთ სიმღერის კონკურსს „რანინა“, რომელიც საბავშვო ევროვიზიაზე გასაშვებ კონკურსანტს არჩევს. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრში მონაწილეობას 8-დან 14-წლამდე ასაკის ბავშვები იღებენ, მისი წამყვანი, ჩვენ მიერ უკვე არაერთხელ ნახსენები მუსიკოსი, დავით ალადაშვილია, მას თანაწამყვანობას კი ვაჩე ღვინიაშვილი უწევს, რომელიც ამ კონკურსის ძველი მონაწილეა და ახლა პროფესიონალი ჟურნალისტის მსგავსი მეტყველებით, მანერებითა და სტილით ძალიან ბუნებრივად და ოსტატურად უძღვება გადაცემას.

პროექტი სამი თვის განმავლობაში გრძელდება, მასში ათი კონკურსანტი მონაწილეობს. გადაცემა ოთხ თემატურ ტურად იყოფა, თითოეული კი ორ ტელეეპიზოდად. აღსანიშნავია, რომ მონაწილეები თითოეული ტურში სცენაზე ორკესტრთან ან ცნობილ მომღერლებთან ერთად გამოდიან, მათ კი 3 ჟიურის წევრი აფასებთ, რომელიც ცვალებადია, უცვლელი წევრი მხოლოდ დათო ევგენიძეა, დანარჩენების ადგილას ბოლო პერიოდში ნოდიკო ტატიშვილი და თიკა რუხაძე ვიხილეთ. გადაცემა ეთერში კვირაში ერთხელ, შაბათს გადის და მისი დაახლოებითი ქრონომეტრაჟი ერთი საათია.

ჟიური მონაწილეს 10-ბალიანი სისტემით ოთხ კატეგორიაში აფასებს, ესენია: ვოკალი, არტისტიზმი, შესრულება და კოლაბორაცია.

აღნიშნული პროექტი ბავშვებისთვის მოტივაციის მიმცემია, ასევე, ახალი ხმების აღმოჩენაში, ქართული სიმღერის პოპულარიზაციასა და საბავშვო ევროვიზიაზე გასაშვებად ღირსეული კანდიდატის შერჩევაში გვეხმარება. „რანინა“ კომპეტენტური ჟიურით, შესაბამისი განათლების მქონე წამყვანითა და გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მონაწილეებით გამოირჩევა, რომლებიც მაყურებელს ყოველ კვირაში დიდ სიამოვნებას ანიჭებენ.

კიდევ ერთი გადაცემა, რომელიც კვლევის ობიექტებს შორის მოექცა, მუსიკოს დათო ევგენიძის საავტორო პროექტი „მუსიკის 12 მოციქულია.“ იგი შემეცნებით-მუსიკალური ხასიათისაა და მიზნად ქართული და უცხოური მუსიკალური ჟანრების პოპულარიზაციას ისახავს. ამ შემთხვევაში პროფესიონალურ და გემოვნებიან პროგრამასთან გვაქვს საქმე, რადგან მისი წამყვანი ამ დარგში უდიდესი პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიული ცოდნის მქონეა და კომპეტენტურ რესპონდენტებთან ერთად, ცოცხალი მუსიკის დახმარებით ზუსტად იცის, მუსიკის რომელი მიმარულების, რა ასპექტზე გაამახვილოს ყურადღება. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ეს გადაცემა ეთერში კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გადის და მისი დაახლოებითი ქრონომეტრაჟი 20-30 წუთია.

რაც შეეხება „მუსიკის 12 მოციქულის“ სტრუქტურას, ის პირდაპირ რესპონდენტის წარდგენით იწყება, ის კი საკუთარ გამოცდილებაზე, მუსიკასთან ურთიერთობაზე, ახალ პროექტებზე, მის გემოვნებასა და სიმღერების უკან მდგომ ისტორიებზე მოგვითხრობს. საკვლევი პერიოდიდან გადაცემის სტუმრებს შორის სოფო ტოროშელიძე, ქართული თანამედროვე ბენდი “MokuMoku,” კომპოზიტორი მანანა ბაქრაძე, მომღერალი მაგდა ივანიშვილი, თეონა ცირამუა, მანანა მორჩილაძე, რუსუდან სებისკვერაძე და ეკა მამალაძე იყვნენ. თუმცა, გადაცემას, სხვა პროფესიის ადამიანებიც სტუმრობენ, მაგალითად, მსახიობი ნინო კასრაძე ირაკლი ჩარკვიანის მუსიკაზე საუბრობს, მხატვარი გეგა კოტეტიშვილი თავის პოეზიას გვაცნობს და სხვა.

კულტურისა და ხელოვნების გაშუქება ყველა უნივერსალური მედიაარხის ერთ-ერთი ფუნქციაა, თუმცა, პარალელურად არსებობს ნიშური მედიასაშუალებები. ასეთი მონოთემური არხია „არტარეა.“

„არტარეა“ კერძო არხია, რომელიც 2012 წლის მაისში „თიბისი ბანკმა“ არსებობის ოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნა. დასაწყისისთვის ის მხოლოდ კულტურული თემატიკის ვებპორტალის, ანუ ინტერნეტტელევიზიის სახით იყო წარმოდგენილი. ხოლო 2013 წლის 25 დეკემბრიდან „არტარეამ“ მაუწყებლობა საკაბელო ტელევიზიის ფორმატით გააგრძელა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ეს არხი „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით შეიქმნა, თუმცა, დღეისათვის ის დამოუკიდებელია და დაფინანსებას კულტურის სამინისტროსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იღებს.

განვიხილოთ „არტარეას“ საეთერო პროგრამა და ვნახოთ, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს ამბები მრავალფეროვანი ფორმატის გადაცემებში როგორ არის ჩაშლილი. აღსანიშნავია, რომ ამ არხზე სხვადასხვა საზოგადოებრივი სფეროს წარმომადგენელი ადამიანების საჯარო ლექციების პირდაპირი ტრანსლირება ხშირად გვხვდება.

მაგალითად, გამომცემლობა „დიოგენეს,“ „არტარეასა“ და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ ორგანიზებული, ლიტერატურასთან დაკავშირებული ლექციების სექცია ცალკეა გამოყოფილი. რომლის ფარგლებშიც მწერალი, მთარგმნელი ან ფილოლოგი დაახლოებით 30-60 წუთიან ქრონომეტრაჟში ერთი კონკრეტული ნაწარმოების მთავარ თემას, აზრს, ავტორთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და საკუთარ შეხედულებებს ან ამა თუ იმ მიმართულებისა თუ ჟანრის მთავარ მახასიათებლებს გვაცნობს.

მაგალითად, მწერალი, სცენარისტი და დრამატურგი დავით გაბუნია ასტრიდ ლინდგრენის ცხოვრებასა და შემოქმედებას განიხილავს, ხოლო ფილოლოგი და თეოლოგი მერაბ ღაღანიძე ლიტერატურის დაბადების საწყისებზე და ადამიანისთვის ისტორიისა და ამბის თხრობის მნიშვნელობაზე საუბრობს. ამასთანავე, ლევან გიგინეიშვილი გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ ძალაუფლებისა და ბედისწერის კონტექსტში აღწერს, აღსანიშნავია, რომ ამ სექციაში ღრმა ანალიზი და მსჯელობა გვხვდება.

გარდა ამისა გაგა ნახუცრიშვილი რეჟიმის პერიოდში მხატვრული ლიტერატურის განვითარების პროცესზე გვიყვება, ვიგებთ, როგორ მიმდინარეობდა შემოქმედებითი პროცესი იმ დროს, როგორი იყო ავტორთა ბედი, ნაწარმოების განვითარებისა და რეალიზაციის გზა, როგორ იქმნებოდა მხატვრული სახეები და, ზოგადად, საუკეთესო ნაწარმოებები სწორედ მძიმე რეჟიმის დროს რატომ გვევლინება. რუბრიკის ფარგლებში გაგა ლომიძე აკრძალულ ლიტერატურაზე, ხოლო მალხაზ ხარბედია სემუელ ბეკეტზე და მის გატაცებებსა და პერსონაზე მოგვითხრობს, ამასთანავე, განხილულია აღნიშნული ავტორის საკულტო ნაწარმოები „გოდოს მოლოდინში.“ როგორც ვხედავთ, აღნიშნული სექციის თემატიკა მრავალფეროვანია და ის სხვადასხვა მოსაზრების მქონე რესპონდენტების საშუალებით რეალიზდება, ასევე, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და ჟანრზე მოგვითხრობს.

არტჟურნალისტიკის მონოთემურ ტელეარხ „არტარეას“ თემატურ ბლოკებს შორისაა მუსიკა, თეატრი, კინო, მხატვრობა, ლექცია, დოკუმენტური, თანამედროვე ფოტოგრაფია, ლიტერატურა და წიგნები, დიზაინი, ინტერვიუ, თოქშოუ, მოდა, მეცნიერება, პოეზია, ფსიქოლოგია, არქიტექტურა და მოგზაურობა. როგორც ვხედავთ, ამ ტელეარხის პროგრამაში ხელოვნების აქტუალური სფეროებიდან არცერთი არაა გამოტოვებული, შესაბამისად, ყოვლისმომცველობის პრინციპი დაცულია და საკუთარი ინტერესის შეაბამისი გადაცემის პოვნა ნებისმიერი გემოვნების მქონე ადამიანს შეუძლია.

„არტარეა“ საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა კულტურულ ღონისძიებას აშუქებს, ამასთანავე, რესპონდენტებად გემოვნებიანი, საინტერესო და დარგში კომპეტენტური ადამიანები ჰყავს შერჩეული. საინტერესო ფაქტია, რომ ტელეარხის ყველა სიუჟეტი თუ გადაცემა დრამატურგიულად ისეა აწყობილი, რომ ზოგჯერ წამყვანი კადრში საერთოდ არ ჩანს, ამიტომ სტრუქტურული დაგეგმვისას რეჟისორის ინდივიდუალური ხედვა აშკარად ვლინდება, რის შედეგადაც ყველა სიუჟეტი ერთმანეთისგან განსხვავებულია.

აღსანიშნავია, რომ ამ მაუწყებელმა თბილისური ეზოს ღონისძიებებიც გააშუქა, მაგალითად, რეზო კიკნაძის კვინტეტის კონცერტი, სადაც მისი მონოლოგი, ჯაზთან

დაკავშირებული წინასიტყვაობა, კომპოზიტორთა და მათი შესასრულებელი ნაწარმოებების შესახებ მოყოლილი ამბები და ცოცხალი შესრულება პირდაპირი ტრანსლირებით გადაიცა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მრავალფეროვანი კადრები, პანორამა და მაყურებელთა რეაქციების ამსახველი ახლო ხედებია წარმოდგენილი. გარდა ამისა თბილისური ეზოს ერთ-ერთი ივენთი ნატალია ქუთათელაძისა და პაპუნა შარიქაძის ტრიოს მიეძღვნა.

მუსიკის სფეროს ერთ-ერთი რუბრიკაა „Live@Twilight," რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა თანამედროვე მომღერალი კომპოზიციებს პირდაპირ რეჟიმში, ცოცხლად ასრულებს. მაგალითად, მეოთხე ნაწილის მთავარი ფიგურაა მაქსიმე მაჩაიძე, რომელიც საკუთარ ნაწარმოებებს სტუდიაშივე ასრულებს. ამ რუბრიკას სხვადასხვა დროს გოგი ძოძუაშვილი, ნიკაკოი და ნატალია ბერიძე სტუმრობენ, შესაბამისად, ჟანრობრივი მრავალფეროვნება ამ შემთხვევაშიც დაცულია.

"Musica Universalis" ნიკა მაჩაიძისა და ნატალია ბერიძის საავტორო რუბრიკაა, რომელიც დაახლოებით 20-30-წუთიან ქრონომეტრაჟში სხვადასხვა მუსიკალურ თემატიკაზე საუბრებს მოიცავს და უფრო მეტად საგანმანათლებლო ხასიათი აქვს. მაგალითად, ერთ-ერთ ნაწილში მუსიკაში ბგერისა და სინათლის სინთეზის მნიშვნელობაა განხილული და ამ თემის უკეთ წარმოსაჩენად ოპტიკურ თეორიებზეა საუბარი. საგულისხმო ფაქტია, რომ სიუჟეტი თვალსაჩინო საარქივო მასალითა და ილუსტრაციებითაა გაფორმებული. შემდეგ ვიდეობლოგში მინიმალისტურ მუსიკასა და მის წარმომადგენელ კომპოზიტორებზეა საუბარი, ამასთანავე, ეს ყოველივე სხვადასხვა მუსიკოსების ჩართვებითაა გამდიდრებული, მაგალითად, მაყურებელი მაიკლ ნაიმანის მიერ შესრულებულ ერიკ სატის „გაღიზიანებებს" ისმენს. სასიამოვნოა, რომ სიუჟეტი სტანდარტულად ჟურნალისტის მისალმებითა და თემის ახნით არ იწყება, ის პირდაპირ ნაწარმოების შესრულებით იღებს სტარტს, რაც კრეატიულ მხატვრული გადაწყვეტაზე მიუთითებს.

„არტარეას" შემდეგი მუსიკალური რუბრიკაა „ენდორფინი," რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ლეგენდარული მუსიკოსების (ჯონ პიზარელი, სერჟიო მენდესი, რობერტ გლასპერი) სიმღერა და მათთან მცირე ინტერვიუები გვხვდება. ამასთანავე, ტელეარხი

სხვადასხვა ფესტივალებსაც აშუქებს, მათ შორისაა მურალისა და ფოტოგრაფიის ფესტივალი, შავი ზღვის ჯაზის საღამოები, KOLGA TBILISI PHOTO, Tbilisi Art Fair და Tbilisi Piano Fest. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ ფესტივალების შემადგენელი გამოფენები მცირე ქრონომეტრაჟის სიუჟეტებში სათითაოდაა ჩაშლილი. მაგალითად, სამხრეთ კავკასიური ფოტოგრაფია, ფოტოგრაფიის ღამე, ჩიტების ბუდე, დაბნეულობა, არქტიკა-ახალი საზღვარი და სხვა. ამბის თხრობის სტილი 5-10-წუთიან სიუჟეტებში ლაკონურად და საინტერესოდაა გადაწყვეტილი, საკუთარ მუშაობის პროცესზე, ჟურნალისტის გარეშე, თავად ხელოვანი გვიყვება, ეს ხმა კი გალერეისა და ნამუშევრების ახლო, შორ და საერთო კადრებს ედება. ამასთანავე, მაყურებელი სასიამოვნო მუსიკის ფონზე ექსპონატების დამთვალიერებლებსაც ხედავს.

ტელეარხზე „არტარეა“ წარმოდგენილი ხელოვნების შემდეგი მიმართულებაა კინო, სადაც „არტარეასა“ და IDS ბორჯომი საქართველოს ერთობლივი პროექტი „გენეტიკური კოდი“ გვხვდება. თუკი კვლავ თემატიკას გადავხედავთ, ამ რუბრიკის ფარგლებში ალექსანდრე გაბუნიას მიერ მხატვარ ვახტანგ რურუას შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმია ნაჩვენები. ასევე, ერთ-ერთ ნაწილში მხატვარ პეტრე ოცხელს 25-30-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ეთმობა.

აღსანიშნავია, რომ ეს სექცია სხვადასხვა საზოგადოებრივი სფეროს წარმომადგენელი გამოჩენილი ადამიანების შესახებ დოკუმენტური ფილმების ტრანსლაციით მათი ფიგურის მნიშვნელობისა და მოღვაწეობის ასახვას ისახავს მიზნად. ერთ-ერთ ნაწილში მაყურებელი რეჟისორ ალექსანდრე კალატოზიშვილის შემოქმედების განხილვას უყურებს, მისი ფილმებიდან კადრები, დოკუმენტური მასალა, ფოტოები და გოგი გვახარიას შეფასება გვხვდება, ეს ყოველივე კი გვიჩვენებს, რომ ავტორმა საკითხი სიღრმისეულად იკვლია.

ნინია კაკაბაძის ვიდეობლოგის „თემა“ ერთ-ერთ ნაწილში ჟურნალისტს უნგრელი კინორეჟისორი იშტვან საბო სტუმრობს და საინტერესო ინტერვიუ დიალოგის წარსამართად რეჟისორის ფილმების გმირების ხასიათი და მთავარი სათქმელია განხილული, ამასთანავე, საკითხის საილუსტრაციოდ სიუჟეტში ამ ფილმებიდან საგულისხმო ნაწყვეტებია წარმოდგენილი.

ამავე რუბრიკაში ნინია კაკაბაძე და რადიო თავისუფლების ჟურნალისტი სალომე ასათიანი განიხილავენ ამერიკელი ავტორის ლაიონელ შრაივერის წიგნს "კევინზე გვაქვს სალაპარაკო" და ლინ რემსის მიერ მის მიხედვით გადაღებულ ფილმს. ისინი წიგნსა და ეკრანიზაციას ადარებენ, მთავარ პრობლემატიკას გამოყოფენ და მსჯელობას საკუთარი შეხედულებებითა და ფაქტობრივი პარალელებით ამდიდრებენ. ამასთანავე, „არტარეაზე“ ახლადგამოსული ფილმების პრემიერები და მაყურებლის შეფასებაც ასახულია. გარდა ამისა „თიბისი ბანკის“ პროექტი „20/12 მხატვრული ფილმიც,“ კინემატოგრაფიის ნაწილია, რომელიც 12 დამოუკიდებელ მოკლემეტრაჟიან ფილმს აერთიანებს.

რაც შეეხება თეატრს, რუბრიკა „მისტერია“ სხვადასხვა ჟანრში მომუშავე რეჟისორების, სცენარისტების, სცენოგრაფებისა და მსახიობების 10-15-წუთიან დიალოგს ასახავს. მაგალითად, ლაშა ბუღაძე და თემურ ჩხეიძე რომანტიკასთან დაკავშირებით საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ ის ნებისმიერი ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა. სათქმელის საილუსტრაციოდ ამ ნაწილში სპექტაკლებიდან მცირე მონაკვეთები გვხვდება, ყურადღება დრამატული თეატრისთვის სიტყვის მნიშვნელობასა და ამბის თხრობის ტექნიკებზეა გამახვილებული. რეზო ჩძეიძე აღნიშნავს, რომ სცენაზე ცხოვრების მოდელია წარმოდგენილი, მთავარია სიტყვა გავაცოცხლოთ და ადამიანად ვაქციოთ, სცენარისტები სიტყვასა და საქციელს წერენ, მათი განსხეულება კი თეატრის საქმეა.

„არტარეაზე“ ლაშა ბუღაძის ვიდეობლოგიც გადის, სადაც ის და სამეფო უბნის თეატრის რეჟისორი დათა თავაძე თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამასა და მიზანს განიხილავენ. ამასთანავე, ამ ნაწილში ლევან წულაძისა და დათო გაბუნიას კომენტარები, სპექტაკლების ნაწყვეტები და დადგმის პროცესის აღწერაა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი გამორჩეულად სიღრმისეული, მრავალფეროვანი და მაღალი კულტურის წარმომადგენელი სიუჟეტია, რომელიც არასტანდარტული სტრუქტურითაა აგებული.

„არტარეაზე“ თეატრის თემატიკის შემდეგი რუბრიკაა „ნავიგატორი,“ რომელსაც სახელი ბრიტანეთის საბჭოსა და BBC-ს რადიოპიესების საერთაშორისო კონკურსის პირველი პრიზისა და ლიტერატურული პრემია „საბას“ მფლობელი, ლაშა ბუღაძის საავტორო

პიესის მიხედვით შეურჩიეს. სახელწოდებიდან გამომდინარეც ჩანს, რომ ამ სექციაში აღნიშნულ პიესას ნატალია ბერიძე, დათა თავაძე, ლაშა ბუღაძე, დათო გაბუნია, ნათია ფანჯიკიძე და სანდრო ჯანდიერი სტუდიაში ცოცხლად კითხულობენ. საინტერესოა, რომ პერფორმანსში მსახიობების გამომეტყველებებზე დაკვირვების შესაძლებლობა გვეძლევა, უკანა ფონზე განწყობის შესაქმნელად ისტორიის შესაბამისი ინსტალაციაა წარმოდგენილი, და საბოლოოდ საყურებლად სახალისო პროცესი იქმნება.

“არტარეაზე“ ამ თემატიკაში ზღაპრების ბლოგიც შედის, რომლის ფარგლებშიც, მაგალითად, მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე ბავშვებს „პეპი გრძელწინდას“ უკითხავს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ ტელეარხზე ერთ-ერთი რუბრიკაა „ცოცხალი წიგნები,“ რომლის ერთ-ერთ ნაწილშიც მწერალი ლია ლიკოქელი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ზის და ლექსებს კითხულობს, ამასთანავე, შესაბამისი განწყობის შესაქმნელად ჩვენ წინაშეა შთამბეჭდავი დადგმა, ჩაბნელებული სცენა, ძირს მიმობნეული ტექსტები, დაბალი შუქი და მყუდრო გარემო.

გარდა ამისა არტჟურნალისტიკის ტელეარხ „არტარეას“ პროგრამაში რუბრიკა „ქუჩის აკადემიაც“ შედის, რომელიც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მიერ ჩატარებული საჯარო ლექციების ტრანსლირებას მოიცავს. მაგალითად, ლევან ასათიანი გრაფიკული დიზაინის მნიშვნელობაზე საუბრობს, ტორესა მოსი კულტურას ოპერაციული სისტემის კონტექსტში განიხილავს, ზვიად ციკოლია დიზაინის მახასიათებლებზე მოგვითხრობს, ლადო დარახველიძე არტმაუწყებლობის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, ანა კორძაია-სამადაშვილი საკუთარ რომან „ვინ მოკლა ჩაიკაზე“ მწერალთა სახლში დისკუსიას მართავს, ლევან კოღუაშვილი საკუთარ რეჟისორულ ხედვაზე, გმირებისა და ლოკაციის არჩევის სირთულეებზე გვიყვება და სხვა. ამიტომ, როგორც ვხედავთ, თემატიკათა მრავალფეროვნება ამ რუბრიკაშიც დაცულია, შესაბამისად, ლიტერატურაზე, კინოზე, პოეზიაზე, გრაფიკულ დიზაინზე, ლიტერატურაზე და რელიგიაზე საუბარი გვხვდება, ხოლო ჟურნალისტებად კი კონკრეტულ დარგში სიღრმისეული ცოდნის მქონე პროფესიონალები გვევლინებიან.

გადავიდეთ ხელოვნების შემდეგ სფეროზე, მხატვრობაზე, ამ ნაწილის ერთ-ერთი ბლოგია „იზოლაცია,“ სადაც კარლო კაჭარავასთან ჩაწერილი ინტერვიუა წარმოდგენილი. საინტერესოა, ნიკა მაჩაიძის საავტორო პროექტი "გამოტოვებული 70 წელი,“ რომლის ფარგლებშიც საბჭოთა პერიოდში გამოტოვებული ინფორმაციული პლასტის აღდგენა ხდება, ამიტომ კულტურის ისტორიის ის ნაწილი ვრცელდება, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ხალხმა დროულად ვერ მიიღო. მაგალითად, ერთ-ერთ ნაწილში სიურეალიზმზეა საუბარი, ფილოსოფოსი გიგა ზედანია ამ მიმართულებას ავანგარდთან და მოდერნიზმთან შეპირისპირებაში განიხილავს, საუბრის ფონზე კი სხვადასხვა მხატვრების ტილოებს ვხედავთ.

რუბრიკა „Art Syndrome-ში“ გარკვეული მიმართულებები, მაგალითად, მოდერნიზმი, ავანგარდი, ექსპრესიონიზმი და იმპრესიონიზმი ჩაშლილადაა განხილული, რაც მათი ისტორიის, სხვადასხვა მხატვრების ნიმუშების, გამოფენების, დავით კაკაბაძის გამოფენის ვირტუალური ტურისა და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენებისა და სიახლეების გაშუქებას მოიცავს.

არტჟურნალისტიკის მონოთემური მაუწყებლის ფოტოგრაფიის სექციაში თბილისის ფოტოფესტივალების ყოველწლიური ქრონიკაა ასახული. მაგალითად, მაგნუმის სააგენტოს გერმანელი ფოტოგრაფისა და ჟურნალისტის, თომას დვორჟაკის შესახებაა წარმოდგენილი სიუჟეტი, სადაც ის მის ამ დარგთან დაახლოების მიზეზებსა და საქართველოსა და კავკასიასთან კავშირზე საუბრობს.

ლიტერატურისა და წიგნების ბლოკში „ცოცხალი წიგნებისა“ და ლექციების გარდა რუბრიკა „ქალაქი ბიბლიოთეკას“ შევხვდებით, რომელიც ქართველ კლასიკოს მწერლებზე გალაკტიონზე, ვაჟა-ფშაველაზე და ილია ჭავჭავაძეზე გვიყვება. მაგალითად, რატი ამაღლობელი ვაჟას საფლავზე წარმართობასა და ქრისტიანობაზე საუბრობს და ავტორის პოემებს კოლექტიური ცნობიერებიდან ინდივიდუალური ემანსიპაციის პროცესამდე განიხილავს.

საინტერესოა რატი ამაღლობელის ვიდეობლოგი „სიტყვის გასაღები,“ სადაც, ძირითადად, ისტორიასა და მითოლოგიაზეა მოთხრობილი, მაგალითად, ერთ-ერთი ნაწალი ბერძნულ მითოლოგიაში შროშანის აღქმისადმია მიძღვნილი. ამ ტელეარხზე,

ასევე, გვხვდება რუბრიკა „ფიქრის საბაბი," სადაც სალომე ბენიძე, ბექა ქურხული, ზურაბ კიკნაძე და სხვა ხელოვანები მათ სფეროში არსებულ დღეისათვის აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობენ.

აღსანიშნავია, რომ ლაშა ბუღაძეს „არტარეაზე" კიდევ ერთი რუბრიკა „ყველგან საკითხავი" აქვს ჩაბარებული, სადაც ის სხვადასხვა ავტორების საკულტო ნაწარმოებებს განიხილავს. საინტერესოა სიუჟეტთა ჟანრობრივი და სტილისტური სტრუქტურა, რადგან საცობიდან და ტრანსპორტიდან ჩართვები გვხვდება და ამ პროცესში ავტორი ზოგჯერ ნაწარმოებებიდან მონაკვეთებსაც გვიკითხავს.

„არტარეაზე" დიზაინის თემატიკის ნაწილს რუბრიკა „სახელოსნო" შეადგენს, რომლის მიმდინარეობისასაც მაყურებელი მოქანდაკეების სახელოსნოებს სტუმრობს, სადაც ხელოვანები საკუთარ ხედვაზე, მუშაობის პროცესსა და მიზანზე საუბრობენ. მაგალითად, ქეთი მეკერიშვილის, ზაზა ლოდიასა და ქეთი ძიძიგურის სახელოსნოებს ვეცნობით. ამიტომ გამოდის, რომ ეს არხი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ხელოვანების ხმასაც აჟღერებს, „არტარეა" ამ ადამიანების შეხედულებების წარმოსაჩენი პლატფორმაა და ის მათ ცნობადობის გაზრდაშიც ეხმარება.

აღსანიშნავია, რომ ამ ტელემაუწყებელზე დოკუმენტური სექციის ერთ-ერთ ნაწილში ხაზის რადიოს შესახებაა მოთხრობილი, ხოლო მოდის ბლოკში "Fashion Beat-ის" დღიურია წარმოდგენილი. მეცნიერების ნაწილში რუბრიკა „SpacePunk" პოპკულტურასთან, მეცნიერებასა და ისტორიასთან ერთად მითოლოგიასა და კოსმოსს განიხილავს. „არტარეაზე" ფსიქოლოგიის ბლოკი ცალკეა გამოყოფი, რომლის ფარგლებშიც ბავშვთა ფსიქოლოგი მაია ცირამუა რუბრიკა „ფსიქოგანათლებაში" ზრუნვასა და კონტროლს შორის ბალანსსა და ბავშვის განვითარებაში მშობლის როლზე საუბრობს.

ასევე, „არტარეაზე" მოგზაურობის სექციის რუბრიკა „მოაირე" გვხვდება, რომლის ერთ-ერთი ნაწილი ახალციხესა და ვარძიას ეძღვნება და სადაც ალექს ჩიღვინაძე კადრების ფონზე ისტორიას გვაცნობს. ხოლო არქიტექტურის თემატიკაში „ინდექსი 0144-ში" რიტუალების სასახლისა და აკადემქალაქის სტილია აღწერილი.

როგორც ვხედავთ, „არტარეაზე“ ხელოვნების ყველა სფეროა განხილული, თუმცა, ყველაზე მეტი დრო კინოს, მუსიკას, თეატრსა და ლიტერატურას ეთმობა, ხოლო დიზაინს, მოდასა და არქიტექტურას შედარებით ნაკლები, ქორეოგრაფია კი საერთოდ არაა ნახსენები.

ტელეარხზე აღნიშნული ზოგადი თემატიკები სხვადასხვა კონკრეტულ სერიებშია ჩაშლილი, მათ შორისაა: „ლიტარეა,“ „მისტერია,“ „ნავიგატორი,“ „მეთორმეტე სექტორი,“ „დილის აერობიკა,“ „ფიქრის საბაბი,“ „პოლიტარტი,“ „რეკომენდაცია,“ „ნიკოს პოდკასტი,“ „სელექტორი,“ „თემა,“ „ყველგან საკითხავი,“ „ჰოსპიტალი,“ „ზღაპრები,“ „ბრწყინვალე გონება,“ „ქუჩის აკადემია“ „ID,“ „ცოცხალი წიგნები,“ „ქალაქი ბიბლიოთეკა,“ „ლექსები,“ „მოიარე,“ „სესია,“ „სახელოსნო,“ „სამი სკამი,“ „ნამდვილი ამბები,“ „რეკომენდაცია,“ „სიტყვის გასაღები,“ „ენდორფინი,“ „ლიტერატურული წახნაგები,“ „იზოლაცია“ და სხვა.

რუბრიკაში „ლიტარეა“ ქართული რეკლამის ისტორიაზეა საუბარი, ნიკა მაჩაიძე ლიტერატურასა და მუსიკას განიხილავს, ხოლო ნათია ფანჯიკიძე და გიორგი კეკელიძე ლიტერატურასა და და ფსიქოლოგიაზე მსჯელობენ, შესაბამისად, საკითხის მრავალი რაკურსით წარმოჩენა ხდება. ასევე, გიორგი კალანდიას საავტორო ვიდეობლოგ „ქართულში“ თენგიზ არჩვაძეზე, გიორგი ერისთავზე, ნინო ანანიაშვილზე, ელდარ შენგელაიაზე, რეზო ჩხეიძეზე და სხვა საინტერესო ხელოვანებზეა საუბარი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „არტარეაზე“ ყველა ბლოგი ამა თუ იმ დარგის პროფესიონალს მიჰყავს. ამასთანავე, ნაშრომში განხილული მასალები წლების წინაა ჩაწერილი, თუმცა, დღემდე განმეორებით გადის ტელეარხის ეთერში.

დასკვნა

- ძირითადი შედეგები

საბოლოოდ, რომ ვთქვათ, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი შემეცნებით-საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს. არხზე ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული სპეციალიზებული გადაცემები მრავლად გვხვდება, რომლებიც მის პოპულარიზაციას და საზოგადოების დაინტერესებას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება სხვა გადაცემებს, „დღის კოდი“ ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს ეხება და ყოვლისმომცველობისა და თემატიკათა მრავალფეროვანი მოზაიკის შექმნის ფუნქცია სრულად დაცულია. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი კონკურსებისა და გადაცემების თვალსაზრისითაც მუსიკისადმი განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩევა. მიმდინარე სამაუწყებლო პროგრამის მუსიკალურ გადაცემებს შორისაა: „მუსიკის 12 მოციქული,“ „რანინა,“ „აკუსტიკა“ და „ნატალია და დათუნა“.

კულტურისა და ხელოვნების გაშუქების თვალსაზრისით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ყველაზე აქტუალური მუსიკა, კინემატოგრაფია და თეატრია, შედარებით ნაკლებ ინფორმაციას პოეზიის, ლიტერატურისა და ქანდაკების შესახებ ვიღებთ. ხოლო დიზაინი, გრაფიკა, არქიტექტურა, ფოტოგრაფია და ქორეოგრაფია თითქმის საერთოდ არაა ნახსენები. ამასთანავე, სტუდიათა ანტურაჟი გადაცემათა შესაბამისია, წამყვანები განათლებული და მოაზროვნე ადამიანები არიან, რესპონდენტები კი კომპეტენტურად შეირჩევიან.

ჩვენი კვლევის მეორე ობიექტი, მონოთემური არხი „არტარეა“ საკუთარ ფუნქციას ასრულებს და მაყურებელს საინტერესო შემეცნებით-საგანმანათლებლო რუბრიკათა მრავალფეროვნებას სთავაზობს. ამასთანავე, მისი საშუალებით ინსპირაციული და უცნობი ხელოვანების ხმაც ხშირად ჟღერდება. შესაბამისად, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „არტარეას“ ყველა რუბრიკა ხელოვნების კონკრეტული სფეროს

სპეციალისტს, მწერალს ან მუსიკოსს მიჰყავს და დარგში კომპეტენტური რესპონდენტები ძალიან ზუსტადაა შერჩეული.

გაშუქების თვალსაზრისით, ტელეკომპანია ხელოვნების თითქმის არცერთ სფეროს უყურადღებოდ არ ტოვებს, თუმცა, ძირითადად, აქტუალური და მასალებით ყველაზე მეტად გაჯერებულია თეატრი, კინო და მუსიკა, ნაკლებად გაშუქებულია პოეზია, მოდა, დიზაინი და არქიტექტურა, ხოლო ცეკვა საერთოდ არაა ნახსენები. ასევე, საინტერესოა სიუჟეტთა ინდივიდუალური დრამატურგიულად აგების სტრუქტურა და სქემაც. ამასთანავე, „არტარეაზე," ძირითადად, ინტერვიუსა და თოქშოუს ჟანრები გვხვდება. დასკვნის სახით, რომ ვთქვათ, ამ არხთან მიმართებაში ერთადერთი ნაკლებად სასიამოვნო და მისაღები ფაქტი ისაა, რომ ერთსა და იმევა პერსონებს ბევრი სხვადასხვა რუბრიკა მიჰყავთ, ამიტომ ძირითადი აქტორები ნიკა მაჩაიძე, ნატალია ბერიძე და ლაშა ბუღაძე არიან.

საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს პასუხების ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

- არტჟურნალისტიკა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას, კრიტიკასა და ანალიზს გულისხმობს;
- არტჟურნალისტიკის გაშუქების ხარისხის თვალსაზრისით, ჩვენი რესპონდენტები ზუსტად ჩვენი კვლევის ობიექტებს, საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველი არხსა და მონოთემურ ტელეარხ „არტარეას" გამოყოფენ;
- რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი საკუთარ ფუნქციას თემატიკათა მრავალფეროვანი მოზაიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით ნამდვილად ასრულებს. არხი კულტურის სფეროს სრულად ფარავს, განსხვავებული მოსაზრების მქონე, უცნობი და ნიჭიერი ადამიანების ხმას აჟღერებს;
- „არტარეა" დარგობრივი ჟურნალისტიკის შექმნის პოზიტიურ ნიშანს წარმოადგენს, თუმცა, გარკვეული მეზეზების გამო ფართო სივრცეში პოპულარული მაინც არ არის. ამასთანავე, პროფესიონალები არტჟურნალისტებისთვის საჭირო უნარებად ხელოვნების სხვადასხვა

- დარგებში საბაზისო ცოდნას, ჟურნალისტურ უნარებს, გემოვნებას და აქტუალურ მოვლენებში გარკვეულობას ასახელებენ.

ნაშრომის შესავალ ნაწილში მოყვანილი ჰიპოთეზება, რომელიც გულისხმობდა, რომ თანამედროვე ქართული სამაუწყებლო მედია არტჟურნალისტიკას მცირე საეთერო დროს უთმობს, მას ახალი ამბების ბლოკში სულ რამდენიმე წუთი ხვდება, ხოლო ანალიტიკური გადაცემები კი ზედაპირულობით გამოირჩევა ნაწილობრივ დადასტურდა, რადგან საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი ახალ ამბებში კულტურას მართლაც რამდენიმე წუთს უთმობს, თუმცა, მას და „არტარეას“ ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი გადაცემები აქვთ წარმოდგენილი.

კვლევის მეორე ჰიპოთეზა გვამცნობს, რომ თანამედროვე არტჟურნალისტიკაში შესაბამისი პროფესიონალიზმის მქონე კრიტიკოსები არ არიან ჩართულები, რომელთაც ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ საბაზისო ცოდნა გააჩნიათ და სპეციალიზებულნი არიან ამ დარგში. კვლევის შედეგად ეს ჰიპოთეზა დადასტურდა, რადგან ჩვენ მიერ განხილული ორივე ტელემაუწყებლობის შემოქმედებით ჯგუფს, ძირითადად, თავად ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენლები შეადგენენ, რომლებიც ამბის ჟურნალისტურად თხრობის ტექნიკებს არ ფლობენ.

კვლევის საწყის ეტაპზე შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზა - თანამედროვე ქართული არტჟურნალისტიკის წარმომადგენელი სამაუწყებლო მედია გამორჩეულ და უცნობ ადამიანებსა და ამბებს ნაკლებად უთმობს დროს, შესაბამისად, ყველა არხზე, ძირითადად, მსგავსი სიუჟეტები მეორდება, მუდმივად ერთიდაიგივე რესპონდენტებითა და ერთნაირი დრამატურგიული სტრუქტურით. ეს ჰიპოთეზაც ნაწილობრივ დადასტურდა, რადგან აღნიშნული ტენდენცია „არტარეაზე“ არ შეინიშნება, ის უცნობი ხელოვანების აღმომჩენი და ხმის გამჟღერებელი ხშირად ხდება, თუმცა რუბრიკების წამყვანებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთსადაიმავე პიროვნებებს ატრიალებს.

- რეკომენდაციები

აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით, მთავარ რეკომენდაციას ადამიანების არტჟურნალისტიკის დარგით მეტად დაინტერესება წარმოადგენს, რათა საქართველოში დარგობრივი და სპეციალიზებული ჟურნალისტიკა განვითარდეს და კულტურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს საინტერესო, გემოვნებიანი, კრეატიული, დარგში საბაზისო ცოდნისა და ამბის თხრობის ტექნიკების მცოდნე ჟურნალისტები აშუქებდნენ.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ არტჟურნალისტიკის განვითარებისთვის მასთან დაკავშირებული მეტი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და ახალგაზრდების დაინტერესებაც მნიშვნელოვანია. რადგან კულტურისა და ხელოვნების საკითხების გაშუქებას თავისებური ცოდნა სჭირდება, ამბების სიღრმისეული გაშუქებისთვის მნიშვნელოვანია თემატური ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებასთან ერთად სამეცნიერო კონფერენციებისა და ფორუმების გამართვა.

თავის მხრივ, არტჟურნალისტიკა ყველა მედიასაშუალების სამაუწყებლო ბადეში უნდა იყოს, არტნიუსს პროფესიონალები კრეატიულად და ინდივიდუალური მხატვრული ხედვით უნდა მიუდგნენ და ყველა არხმა უნდა გააშუქოს ეს დარგი. ამასთანავე, აუცილებელია ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართულობაც.

ბიბლიოგრაფია:

1. Görke A, Vasylyk L, Schocher S, Chalaganidze N (2021), Communicating conflicts: history, status-quo and perspectives in the media of Georgia, Ukraine and Germany, Deutschland: Bundesrepublik Deutschland Auswartiges Amt (https://cutt.ly/qwqKcfsB ბ.ნ: 20.05.23 18:00)
2. Postemaa S, Deuzeaa M (2020), Artistic Journalism: Confluence in Forms, Values and Practices, Netherlands: Media Studies Department, University of Amsterdam, JOURNALISM STUDIES, Vol.21, No.10, pp.1305–1322 (https://rb.gy/wfjul ბ.ნ: 10.04.23 01:25)
3. Jerome J. Hausman (1866), The Journalism and Art Criticism, Art Journal, Vol.26, No.1 pp.18-20 (https://shorturl.at/fjkK5 ბ.ნ: 26.04.23 23:45)
4. Matter F (1980), Pluralism in Art and in Art Criticism, The US: CAA, Art Journal, Vol.40, No.1/2, pp. 377-379 (https://shorturl.at/dtENX ბ.ნ: 28.04.23 13:21)
5. Roosvall A, Widholm A (2018), The Transnationalism of Cultural Journalism in Sweden: Outlooks and Introspection in the Global Era, International Journal of Communication, Vol.12, pp.1431-1451 (https://shorturl.at/hvDK5 18.05.23 20:00)
6. Janssen S (1999), Art journalism and cultural change: The coverage of the arts in Dutch newspapers 1965–1990, Vol.26, No.5–6, pp.329-348 (https://rb.gy/bu4ck ბ.ნ: 18.05.23 21:17)
7. Hobss R (2013), The Blurring of Art, Journalism, and Advocacy: Confronting of 21st Century Propaganda in a World of Online Journalism, A Journal of Law and Policy for the Information Society, Vol.8, No. 3 (2013), pp.625-637 (https://shorturl.at/uxDZ9 ბ.ნ: 18.05.23 21:31)
8. Simbirtseva N.A (2018), Media Education as a Relevant Practice of Contemporary Culture, in Facets of Culture in the Age of Social Transition: Proceedings of the All-Russian Research Conference with International Participation, KnE Engineering, pp.209–216 (ttps://rb.gy/12hgx ბ.ნ: 18.05.2023 23:20)

9. Morrell E, Duncan-Andrade, J (2006), Popular culture and critical media pedagogy in secondary literacy classrooms, International Journal of Learning, Vol.12 (https://rb.gy/ttw3e ბ.ნ: 18.05.2023 23:57)
10. Fortunatov,A.N (2011), Mediapedagogika ili tekhnovospitanie? Filosofiya i obshchestvo, Vol.3, pp.135–154 (https://rb.gy/277zb ბ.ნ: 10.05 22:21)
11. Hellman H, Jaakkola M (2012), From aesthetes to reporters: The paradigm shift in arts journalism in Finland, Journalism, Vol.13, No.6, pp.783–801 (https://rb.gy/oa22i ბ.ნ: 18.05.23 23:33)
12. Сергеева Т.С (2013), Арт-журналистика и современная Российская культура: ценностно-смысловые доминанты и проблема сохранения человека, Вестник Челябинского государственного университета, (22(313), 152-156 (https://rb.gy/q2gvd ბ.ნ: 18.05.2023 03:39)
13. კვირიკაშვილი ნ (2011), კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, "მედიამონიტორინგი-პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარების" ფარგლებში," გვ.1-7/14 (https://rb.gy/eakfz ბ.ნ: 06.04.23 12:24)
14. Postman N (1985), Amusing Ourselves to Death: Public Discourse in the Age of Show Business, The US:Viking Penguin (https://rb.gy/pwatb ბ.ნ: 29.04.23 09:32)
15. კუზნეცოვი გ (1998), სატელევიზიო ჟურნალისტიკა, თბილისი: ქართული თარგმანი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის მიერ
16. ენუქიძე თ (2017) კინოს საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, გვ. 8-19 (https://rb.gy/egm2p ბ.ნ: 07.05.23 08:03)
17. გაბრიჭიძე თ (2020), კულტურის და ხელოვნების საკითხების გაშუქება მედიაში, „არტარეა"-ხელოვნების პორტალი," საკონფერენციო ნაშრომი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (https://rb.gy/9h5nd ბ.ნ: 25.04.2023 03:14)
18. ბუთხუზი ნ, ჩაჩხიანი ი (2018), სატელევიზიო შემეცნებითი მედიაპროექტი: „ხელოვნების ალმანახი," სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, გვ. 11-19 (https://rb.gy/6544j ბ.ნ: 25.04.2023 20:27)

19. ჩართოლანი გ (ჩაბრაძე ელენე) (2008), ტელე-რადიო ჟურნალისტიკა ნაწილი 1: ტელეჟურნალისტიკა, თბილისი: კომპანია „არდ ჯგუფი“
20. Shapiro I (2014), Why Democracies Need a Functional Definition of Journalism now More than Ever, Journalism Studies No.15 Vol.15 pp.15 (https://rb.gy/dz0pl ბ.ნ: 23.06 19:54)
21. Архангельский А (2014) Культура имеет значение (https://rb.gy/qiyxt ბ.ნ: 23.06.23 20:34)
22. Tomasello M (1999), The Human Adaptation for Culture, Annual Review of Anthropology (https://rb.gy/oqeg7 ბ.ნ: 23.06.23 20:49)
23. Carroll N (2000), Theories of Art Today, UK: University of Wisconsin Press (https://rb.gy/13xos ბ.ნ: 23.06.23 20:55)
24. Lippmann W (1922), Public Opinion, US: Harcourt, Brace & Co
25. Maxwell E McCombs, L. Shaw Donald (1977), The Emergence of American Political Issues“, New York: West Publishing Co
26. De Fluer M (1966), Theories of Mass Communications. New York: David McKay
27. Mc Quail D (1987), Mass Communication Theory: An Introduction. L
28. დ.მაკქუელი (2014), ჟურნალისტიკა და საზოგადოება, მე-2 გამოცემა, გვ.368
29. დ.მაკქუელის ნაშრომი (2014), ჟურნალისტიკა და საზოგადოება, მე-2 გამოცემა, გვ.85
30. William A. Gamson, Wolfsfeld G (1993), Movements and Media as Interacting Systems
31. ზურაბიშვილი თ (მარინე ჩიტაშვილი), (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
32. Krippendorff K (2004), Content Analysis: An Introduction to Its Methodology (2nd ed.) Thousand Oaks, CA: Sage Publications (https://rb.gy/3z28h ბ.ნ: 23.06.23 22:44)
33. Anderson G, Arsenault N (1998), Fundamentals of Educational Research, US: Taylor & Francis (https://rb.gy/8zkll ბ.ნ: 23.06.23 22:50)

დანართები:

დანართი 1

სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი

რესპონდენტის სახელი, გვარი:	
რესპონდენტის სამეცნიერო ხარისხი, წოდება, პოზიცია:	
1	როგორ აღწერდით თქვენს სამუშაო პროცესს?
2	როგორ შეგიძლიათ განმარტოთ ტერმინი „არტჟურნალისტიკა," რას ნიშნავს ის თქვენთვის?
3	რა მდგომარეობაშია დღეისათვის საქართველოში არტჟურნალისტიკა, შუქდება თუ არა ხელოვნებასთან დაკავშირებული ამბები შესაბამისი სტანდარტების დაცვით?
4	უთმობენ თუ არა ტელევიზიები საკმარის დროს არტჟურნალისტიკას და ამ დარგთან დაკავშირებით, რა ტენდენციები შეინიშნება?
5	რას შეცვლიდით დღევანდელ მედიაგარემოში, როგორ წარმოგიდგენიათ არტჟურნალისტიკის განვითარების გზა?
6	რა რეკომენდაციებს მისცემდით დამწყებ არტჟურნალისტებს?
7	თქვენი აზრით, ასრულებს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი საკუთარ ფუნქციას, მრავალფეროვან თემატიკათა მოზაიკის შექმნასთან დაკავშირებით?
8	როგორი უნდა იყოს პროფესიონალი არტჟურნალისტი, რა უნარები უნდა ჰქონდეს მას აუცილებლად?
9	თუ შეგიძლიათ გვესაუბრეთ საქართველოში არტჟურნალისტიკის შექმნისა და განვითარების ეტაპებზე.
10	თუ შეგიძლიათ შეადარეთ საქართველოსა და მსოფლიოში არსებული ტენდენციები ხელოვნების საკითხების გაშუქების კუთხით.

დანართი 2

სიღრმისეული ინტერვიუები:

სიღრმისეული ინტერვიუ N 1

ჩვენი კვლევისთვის სიღრმისეული ინტერვიუს პირველ რესპონდენტად შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გიორგი ჩართოლანი შევარჩიეთ. აღსანიშნავია, რომ ეს პიროვნება არტჟურნალისტიკის, როგორც თეორიტიკოსი, ასევე, პრაქტიკოსი წარმომადგენელია, ზემოთ აღნიშნულ უნივერსიტეტში თავადაც არტჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრია და სხვადასხვა სატელევიზიო ფილმებისთვის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია აქვს მინიჭებული. გარდა ამისა გიორგი ჩართოლანი სამეცნიერო ნაშრომთა კრებულ „კულტურა მედიას“ თანაავტორია, ხელოვნებათმცოდნეობასა და ჟურნალისტიკასთან დაკავშირებით არაერთი სტატია აქვს გამოქვეყნებული და სხვადასხვა დროს მრავალფეროვან სატელევიზიო გადაცემათა ავტორი, პროდიუსერი და რეჟისორი გახლდათ.

ჩვენი კვლევისთვის არტჟურნალისტიკასთან დაკავშირებით აღნიშნული რესპონდენტის მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გიორგი ჩართოლანი საკუთარი მოღვაწეობით ამ დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდ როლს თამაშობს, ამასთანავე, პროფესიონალი არტჟურნალისტების აღზრდაშიც უშუალოდ მონაწილეობს. რაც შეეხება პრაქტიკულ საქმიანობას, გიორგი ჩართოლანი გაკრვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს ტელერადიო შემოქმედებითი გაერთიანება "ხელოვნების" მთავარი რედაქტორის მოადგილე, საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა "მზერა-კულტურის" მთავარი პროდიუსერი და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დილისა და დღის პროგრამების გენერალური პროდიუსერი იყო, დღეისათვის, კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის არქივის ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებს.

რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუს შედეგებს, გიორგი ჩართოლანის აზრით, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ არტჟურნალისტიკა მედიასაშუალებების მიერ სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე მოვლენების კვალიფიციურ გაშუქებას გულისხმობს. თუმცა, ამ დარგმა დასავლეთში და უკვე ჩვენთანაც, არტკრიტიკის ფუნქციაც შეითავსა. შესაბამისად, დღეისათვის, არტჟურნალისტიკა ხელოვნების ნებისმიერ მიმართულებასთან დაკავშირებულ მოვლენებს არამხოლოდ აშუქებს, არამედ კვალიფიციურად აფასებს და აანალიზებს კიდეც.

რესპონდენტის შეხედულებით, თანამედროვე არტჟურნალისტიკის შეფასება მრავალმხრივად შეგვიძლია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ სამაუწყებლო მედიაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე ჟურნალისტების ნაკლებობა შეინიშნება: „ძალიან ბევრი დადგენილი სტანდარტი, რომელსაც ჩვენ წლების განმავლობაში ვასწავლიდით, პრაქტიკაში უბრალოდ აღარ მუშაობს, რადგან ყველაფერი იცვლება და ვითარდება. დღეს ინფორმაციის გავრცელება ყველა ადამიანს შეუძლია. შესაბამისად, ჟურნალისტიკის სუბიექტებისა და ობიექტების შეფასებისას, სამუშაო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზოგჯერ გამოცდილება და თეორიულად დადგენილი „ოქროს სტანდარტები“ არ გვეხმარება და მოვლენებისა და თანამედროვეობისთვის ფეხის აწყობა გვიწევს. ამდენად, არტჟურნალისტიკა იმ მიმართულებით მიდის, რომ, დღეისათვის, მომხმარებელს აინტერესებს არამხლოდ „რა?“ არამედ „როგორ?“ მისთვის მნიშვნელოვანია, როგორი სახით არის მოწოდებული ინფორმაცია, ეს ყოველივე კი კრეატიულ ჟურნალისტიკას უკავშირდება, სადაც ამბის თხრობის ფორმების სწორად შერჩევაა მთავარი.“

გიორგი ჩართოლანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ, დღეისათვის, საქართველოში არტჟურნალისტიკის სფეროში ძალიან ცოტა ადამიანია ჩართული და მისი განვითარებისთვის ამ დარგით მეტი პროფესიონალი უნდა დაინტერესდეს. ამდენად, საქართველოში არტჟურნალისტიკის პროგრესისთვის მეტი პროფესიონალი კადრია საჭირო, რომლებიც კონკრეტულად ხელოვნებაში სპეციალიზდებიან. რესპონდენტის მოსაზრებით, არტჟურნალისტს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში საბაზისო განათლება და ცოდნა უნდა ჰქონდეს, მოვლენებსა და წყაროებში უნდა ერკვეოდეს და ამასთან ერთად ჟურნალისტიკის სტანდარტებსა და პრინციპებშიც უნდა იყოს

გათვიცნობიერებული, რათა კულტურის მოვლენას ჟურნალისტური ამბის თხრობის ტექნიკა მოარგოს. შესაბამისად, მაყურებელს ინფორმაცია მარტივად და გასაგებად გადასცეს.

გიორგი ჩართოლანი აღნიშნავს, რომ საქართველოში არტჟურნალისტიკა პირველი გაზეთისა და პუბლიცისტური ნაშრომების (მათ შორის ილია ჭავჭავაძის სტატიების) დაბეჭდვით დაიწყო. ამიტომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისის გამორჩეული თაობის ნაშრომები სწორედ არტჟურნალისტიკას წარმოადგენს. ხელოვნების მიმართულებებიდან იმ დროისთვის ყველაზე აქტუალურ ორ დარგზე, ლიტერატურასა და თეატრზე პუბლიცისტური წერილების წერაც ზუსტად ამ პერიოდში დაიწყო. ამდენად, საქართველოში პირველი კვალიფიციური პერიოდული პრესის გაჩენასთან ერთად არტჟურნალისტიკის ისტორიაც იწყება.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი ერთადერთი ტელევიზიაა, რომელსაც კანონი ავალდებულებს, რომ კულტურის გაშუქებას მაუწყებლობის 25% დაუთმოს. შესაბამისად, ის თავის ფუნქციებს ასრულებს და ხელოვნებასთან დაკავშირებულ ამბებს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით აშუქებს. ამიტომ მის ეთერში სახელოვნებო სივრცესთან დაკავშირებული არაერთი პროგრამა და გადაცემა გვხვდება. ხოლო რაც შეეხება საინფორმაციო პოლიტიკას, ქართული ტელევიზიებიდან არტნიუსს ყველაზე მეტ დროს სწორედ ეს არხი უთმობს.“

სიღრმისეული ინტერვიუ N 2

სიღრმისეული ინტერვიუსთვის არტჟურნალისტიკის ერთ-ერთი პრაქტიკოსი წარმომადგენელი, კახა თოლორდავა შევარჩიეთ, რომელიც ჟურნალისტობასთან ერთად კრიტიკოსობასა და მუსიკოსობასაც ითავსებს. აღსანიშნავი ფაქტია, რომ კახა თოლორდავა თანამედროვე მუსიკალურ კულტურასთან დაკავშირებით არაერთი სტატიის ავტორია და დღეისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის რადიოს ერთ-ერთი გადაცემის, „უცნობი მუსიკის“ ავტორი და წამყვანია, ასევე, დაწერილი აქვს წიგნი სათაურით „საუბრები ჯაზზე.“

ვინაიდან და რადგანაც, ბატონი კახა დღეისათვის არტჟურნალისტიკის ერთ-ერთი პრაქტიკოსი წარმომადგენელია და ის კონკრეტულ სფეროში, მუსიკაში, სპეციალიზებულ ცოდნას ფლობს, ჩვენ მას მისი საქმიანობის შესახებ რამდენიმე კითხვა დავუსვით და დავინტერესდით, თუ მისი განმარტებით, რას მოიცავს ტერმინი „არტჟურნალისტიკა.“ აღნიშნული რესპონდენტის შეხედულებით, ტერმინი „არტჟურნალისტიკა“ თვითგანმარტებადია და შემდგომ არტიკულირებას არ საჭიროებს, თუმცა, მისი არსი სხვადასხვა სივრცეში მაინც სხვადასხვანაირად მოიხსენიება და ეს გარკვეულწილად ამა თუ იმ გარემოში არსებული „არტსცენის“ სპეციფიკაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, კახა თოლორდავა აღნიშნავს, რომ „არტჟურნალისტიკის“ ცნება იმ ქვეყნებში, სადაც ამ აქტივობისთვის აუცილებელი ტრადიციები და რაც მთავარია, ბაზარი არსებობს, განსხვავდება იმ მოცემულობებისგან, სადაც მსგავსი სტრუქტურები ან არ არსებობს ან მხოლოდ ამ დარგის ექსპერტებისა და დაინტერესებული ინდივიდუუმების ინტერესის სფეროა.

კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია დღეისათვის საქართველოში არტჟურნალისტიკა და შუქდება თუ არა ხელოვნებასთან დაკავშირებული ამბები შესაბამისი სტანდარტების დაცვით კახა თოლორდავამ ასეთი პასუხი გაგვცა: „იმისთვის, რომ საქართველოში არტჟურნალისტიკის დღევანდელი მდგომარეობა მეტ-ნაკლები აკურატულობით შეფასდეს, მისი განვითარებისა და წახალისებისთვის აუცილებელი, მყარი ინფრასტრუქტურის არსებობა და საზოგადოებაში ხელოვნების როლის ახლებურად პოზიციონირებაა საჭირო, რაც კრიტიკული დისკურსის გაძლიერებას შესაძლებელს გახდის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არტჟურნალისტიკის განვითარებისთვის აუცილებელი ტრადიციები და რესურსი უდავოდ არსებობს, სხვადასხვა მიზეზების გამო, ის აქ ვიწრო ნიშურ ფუნქციას ასრულებს, თვალშისაცემად ქაოტურია და ეს თავად არტბაზრის დაქსაქსულობითაა განპირობებული.“

რესპონდენტის აზრით, ქართული ტელესივრცე არტჟურნალისტიკას საკმაო დროს უთმობს, მან ამის მაგალითად მონოთემური არხი „არტარეა“ დაასახელა და აღნიშნა, რომ ამ მაუწყებლის პროგრამებში სისტემატურად ჩნდებიან ის ადამიანები, ვისაც ყველა აუცილებელი უნარები გააჩნიათ იმისთვის, რომ ამ დარგმა შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ხარისხობრივი ნახტომი გააკეთოს, მაგრამ

დღევანდელობიდან გამომდინარე მათ არტბაზარის შესაბამისი მხარდაჭერა არ გააჩნიათ.

მისი მოსაზრებით, იმის ნიშნები, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი საკუთარ ფუნქციას მრავალფეროვან თემატიკათა მოზაიკის შექმნასთან დაკავშირებით ასრულებს, ნამდვილად შეიმჩნევა, თუმცა, ამ არხის მიერ წარმოდგენილი პროგრამები ძალიან ხშირად გარკვეული სიყვითლითა და ზედაპირულობითაა გაჯერებული.

კახა თოლორდავამ პროფესიონალი არტჟურნალისტისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც დაგვისახელა, მისი აზრით, ამ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ დარგის სიღრმისეული ცოდნა და ჰოლისტური მიდგომისა და კრიტიკული აზროვნების უნარები უნდა გააჩნდეს. აგრეთვე, გარკვეული შემეცნება ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ხელოვნების ისტორიის მეცნიერებებში: „პირადად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამა თუ იმ არტობიექტისა თუ სუბიექტის სიღრმისეული შესწავლაა, ყველა დანარჩენი თანმდევი მოვლენებისა თუ მიმდინარეობების ჩათვლით. მხოლოდ ასე გახდება შესაძლებელი იმ აუცილებელი სიღრმის გაჩენა, რაც ამ დარგს ასე მიმზიდველს ხდის.“

სიღრმისეული ინტერვიუ N 3

ჩვენი სიღრმისეული ინტერვიუს შემდეგი რესპონდენტი ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აკადემიური დოქტორი და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „სცენის“ ავტორი და წამყვანი ინგა ხალვაშია. საინტერესოა, რომ ეს გადაცემა არტჟურნალისტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწილია, რადგან ის თავის დროს სპექტაკლებს, კონცერტებს, ქორეოგრაფიას, საოპერო და საბალეტო წარმოდგენებსა და ვიზუალურ პერფორმანსებს უთმობს. ამიტომ მისი სახელიდან გამომდინარე, გადაცემა „სცენის“ ინტერესის სფეროა ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, მისი ფარგლებში საუბარია კულისებში მიმდინარე პროცესზე, დეკორაციის, მხატვრობისა და განათების მნიშვნელობაზე, ამასთანავე, დრამატურგიასა და სცენოგრაფიაზე.

როგორც გადაცემის წამყვანმა ინგა ხალვაშმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მისი სამუშაო პროცესი მიმდინარე მოვლენას უკავშირდება, ეს შეიძლება იყოს სპექტაკლი, კონცერტი, წარმოდგენა ან იმ პერიოდისთვის აქტუალური თეორიული საკითხი. შემდეგ მასალის მოძიება და დამუშავება ხდება და ბოლოს შესაბამისი რესპონდენტების განსაზღვრა, მათთან შეთანხმება, ჩაწერა და მონტაჟი. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არტჟურნალისტიკა დარგობრივ ჟურნალისტიკას განეკუთვნება და ხელოვნების დარგების განვითარების ისტორიული კონტექსტისა და, ზოგადად, სახელოვნებო სფეროს სიღრმისეულად ცოდნას მოითხოვს.

ქალბატონმა ინგამ არტჟურნალისტიკის წარმომადგენელ და პროფესიონალური გადაცემებით დატვირთულ არხებად „არტარეა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი, „აჭარის ტელევიზია და რადიო“ და „ერთსულოვნება“ დაასახელა. მისი აზრით, არტჟურნალისტიკის განვითარების გზა მხოლოდ განათლებაზე გადის.

ინგა ხალვაშმა საკუთარ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით არტჟურნალისტებს ეფექტურად მუშაობისთვის შემდეგი რეკომენდაციები მისცა: „მთავარია კარგად შეისწავლონ ის საკითხი, რომელზეც უნდა იმუშაონ, იცოდნენ წყაროს მოძიება და მასზე მუშაობა, არ შეეშინდეთ შეკითხვების დასმის და ნურც ის შეაშინებთ, თუ რესპონდენტის აზრს არ ეთანხმებიან. აუცილებელია, არტჟურნალისტები ფაქტებს დაეყრდნონ, სწორად გადასცენ ინფორმაცია და მაყურებელს, მსმენელსა თუ მკითხველს ინტერპრეტაციის უფლება დაუტოვონ.“

რესპონდენტმა საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველ არხთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე გვიპასუხა, რომ სწორედ ეს არხი ქმნის თავისი გადაცემებით მრავალფეროვან თემატიკათა მოზაიკას. მისი შეხედულებით, შესაძლოა ეს არ იყოს თემატური გადაცემა, რომელიც კონკრეტულად ხელოვნების რომელიმე დარგს ეძღვნება, მაგრამ „ახალი დღე“, „დღის კოდი“, „ამ შაბათ-კვირას“, „აკუსტიკა“ და „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ სახელოვნებო სფეროს სიახლეებსა და პრობლემებს ძალიან ხშირად

აშუქებს. ამასთანავე, წარმოდგენილია ინტერვიუები ძალიან საინტერესო, შემოქმედ ადამიანებთან და ხელოვნების თეორიტიკოსებთან.

რესპონდენტის მოსაზრებით, აღნიშნულ გადაცემებში საუბარს პროფესიონალი ჟურნალისტები წარმართავენ, რომლებმაც კარგად იციან, ვის, რატომ და რაზე ესაუბრებიან: „არტჟურნალისტი კვალიფიციური უნდა იყოს, ამასთანავე, იცნობდეს სახელოვნებო სფეროს, მის სპეციფიკასა და ადამიანებს. უნდა შეეძლოს ანალიზი, ჰქონდეს განზოგადების უნარი, იყოს გამბედავი(და არა თავხედი) და დაიცვას ეთიკის ნორმები, იყოს ჰუმანისტი და მთავარი ფასეულობა მისთვის იყოს ადამიანი.“

ინგა ხალვაში აღნიშნავს, რომ სახელოვნებო ჟურნალისტიკა მეცხრამეტე საუკუნეში, პირველივე ბეჭდურ გამოცემებში უკვე არსებობდა. პირველი რეცენზიები სწორედ მაშინ იწერებოდა, ილია ჭავჭავაძის წერილებშიც დრამის თეორიის საკითხებს აღმოვაჩენთ. ამ პერიოდიდან მოყოლებული ხელოვნებაზე წერა არასდროს შეწყვეტილა, აქედან გამომდინარე, მისი აზრით, არტჟურნალიტიკა 150-ზე მეტი წლის გამოდის. თუმცა, თუ დარგობრივ ჟურნალისტიკაზე ვისაუბრებთ, რომელიც ვიწრო სპეციალიზაციას გულისხმობს, არტჟურნალისტიკა, სავარაუდოდ, მეოცე საუკუნეში გაჩნდა: „ბავშვობა ტელევიზორთან მაქვს გატარებული და მახსენდება, რომ მუსიკალური გადაცემა ევგენი მაჭავარიანს მიჰყავდა, თეატრალური ვასილ კიკნაძეს, კინემატოგრაფიასთან დაკავშირებული კი ოთარ სეფიაშვილს. ამასთანავე, გადაცემა „მულტპანორამასაც“ მთელი თვე ველოდებოდით, სადაც ახალ ქართულ მულტიპლიკაციურ ფილმებს აჩვენებდნენ და რეჟისორებთან შეხვედრები იმართებოდა. ყველა გადაცემას ამ დარგის სპეციალისტები უძღვებოდნენ და მათი მოსმენა ბევრის მომცემი იყო. შემდეგ მოდის „ტელე-სინე-ვიდეო,“ საერთოდ ახალი ტიპის შემეცნებით-გასართობი გადაცემა, რომელმაც სატელევიზიო პროგრამების მიმართ ჩემი დამოკიდებულება სრულიად შეცვალა.“

სიღრმისეული ინტერვიუ N 4

მრავალფეროვან მოსაზრებათა წარმოსადგენად და დასასაბუთებლად, აღნიშნული ნაშრომისთვის სიღრმისეული ინტერვიუს შემდეგ რესპონდენტად ჟურნალისტიკის

დოქტორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და არტჟურნალისტიკის თეორიტიკოსი ლაურა კუტუბიძე შევარჩიეთ. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ რესპონდენტმა, საკუთარი სამუშაო პროცესის აღწერისას აღნიშნა, რომ ეს ყოველივე, უპირველეს ყოვლისა, ლექციების კითხვასთან და პროფესორისთვის ჩვეულ აკადემიურ საქმიანობასთან ასოცირდება, მაგრამ სინამდვილეში ეს ერთი გაბმული პროცესია, რაც სტუდენტებთან აუდიტორიის მიღმაც ინტენსიურ კომუნიკაციას მოიცავს: „მაგალითად, განტვირთვისას სოციალური ქსელების სქროლვისას, რასაც კი წავაწყდები ისეთს, რაც ჩემი სტუდენტებისთვის საგულისხმო მომეჩვენება, მაშინვე ვუზიარებ, პარალელურად, გონებაში უკვე ვაკომენტარებ და ხანდახან მინილექციასაც კი ვკითხულობ, სანამ სტუდენტებამდე მივაღწევდე.“

ლაურა კუტუბიძე აღნიშნავს, რომ არტჟურნალისტიკა მისთვის ისეთ პროფესიონალ ჟურნალისტებთან ასოცირდება, რომელთაც კულტურის მოვლენებისა და პროცესების ადეკვატურად გაშუქებისთვის სათანადო მომზადება და რესურსი გააჩნიათ. მისთვის ტერმინი „არტჟურნალისტიკა“ შესაბამის აკადემიურ და საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო ლიტერატურასა და კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს უკავშირდება, რაც ერთიანობაში ამგვარი კადრების მოსამზადებლად ბაზას ქმნის.

ლაურა კუტუბიძე ქართულ ტელემედიაში არტჟურნალისტიკის ადგილთან დაკავშირებით ამბობს, რომ ზოგადად, მასმედიის მუშაობის მთავარ ქვაკუთხედს მოვლენების დაბალანსებულად გაშუქება წარმოადგენს, დღეისათვის კი თუნდაც ახალ ამბებში არტთემები კანტი-კუნტად შუქდება და ამის მიზეზი არა სათანადო საინფორმაციო საბაბის დეფიციტი, არამედ ჩვენი მედიასივრცის პოლიტიზებული ხასიათია. ამასთანავე, რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ხშირად ჟურნალისტებს პოლიტიკოსთა განცხადებები ცალკეულ ნიუსებად გამოაქვთ და დიდ დროსა და ყურადღებას უთმობენ, ხოლო ხელოვნებასთან დაკავშირებით კი „ვალის მოსახდელ“ და ზედაპირულ სიუჟეტებს აკეთებენ, რომლებიც, ტრადიციულად, საინფორმაციო გამოშვების ბოლოს ექცევა, რაგინდ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს.

არტჟურნალისტიკის თეორიტიკოსმა ლაურა კუტუბიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და „არტარეას“ გარდა, სხვა ქართული ტელევიზიები ხელოვნების საკითხების გაშუქებას დროს არ უთმობენ და ამ ყოველივეს მიზეზი მასმედიის პოლიტიზებაა. მისი მოსაზრებით, სხვა არხებზე არტჟურნალისტიკასთან დაკავშირებული მოვლენები ყურადღების ცენტრში მხოლოდ მაშინ ექცევა, როცა მათ რეზონანსული, პოლიტიკური ფონი გასდევთ: „არტჟურნალისტიკის განვითარების გზა მედიაგარემოსა და ჟურნალისტიკის განვითარებასთან პირდაპირ კავშირშია. ჩემი აზრით, არტჟურნალისტიკის პროდუქტზე მოთხოვნა საზოგადოების დაკვეთაც უნდა იყოს, მაგრამ ჯერ ასეთი ტიპის მაღალხარისხოვანი პროდუქტი რეალობაში უნდა არსებობდეს, რომ საზოგადოების ინტერესი გამოიწვიოს. მეორეს მხრივ, საზოგადოების ინტერესის გარეშე ასეთი პროდუქტი არ იქმნება და ამიტომ ვრჩებით ასეთ ჩაკეტილ წრეში.“

ჟურნალისტ ლაურა კუტუბიძის შეხედულებით, არტჟურნალისტი კარგად უნდა იცნობდეს გასაშუქებელ თემას და მასთან დაკავშირებული დეფიციტი მაქსიმალურად უნდა შეივსოს, ამისათვის კი სათანადო პროფესიული მომზადება და ჟურნალისტური ოსტატობაა საჭირო, რითაც, სამწუხაროდ, ჩვენი მედიასივრცე არ გამოირჩევა. თუმცა, მისი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი არხი ხელოვნების თემატიკაზე გადაცემებს ნამდვილად ქმნის, მაგრამ მათი მომზადების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა ცალკე თემაა.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ პროფესიონალ არტჟურნალისტს, უპირველეს ყოვლისა, ყველა ის უნარი უნდა გააჩნდეს, რაც საზოგადოდ ნებისმიერ ჟურნალისტს უნდა ახასიათებდეს, გარდა ამისა, ის დამატებითი კულტუროლოგიური განათლებით უნდა იყოს აღჭურვილი და ხელოვნების ისტორიისა და მისი ცალკეული მიმართულებების სპეციფიკაში უნდა ერკვეოდეს. ამასთანავე, სასურველია თანამედროვე კულტურის ტენდენციებსაც იცნობდეს, ჩვენი დღევანდელი მედიასივრცე კი ამგვარი ჟურნალისტებით განებივრებული არაა: “კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004 წლიდან ვასწავლიდი „ხელოვნებათმცოდნე ჟურნალისტის“ სპეციალობის სტუდენტებს, 2006 წელს ეს უნივერსიტეტი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა, სადაც ჯერ ტელე-რადიო ჟურნალისტიკის და ამჟამად

მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ვმუშაობ. ეს საგანმანათლებლო პროგრამები, უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწორედ არტჟურნალისტიკის მიმართულებაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, ამავე უნივერსიტეტში არსებობს არტჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა და სადოქტორო პროგრამა „კულტურა მედიაში." რამდენადაც ვიცი, კულტურაზე ორიენტირებული, სწავლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კონცენტრაცია საქართველოს სხვა უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ."

სიღრმისეული ინტერვიუ N 5

ჩვენი კვლევისთვის შერჩეული მეთოდის, სიღრმისეული ინტერვიუს შემდეგ მონაწილედ მუსიკოსი და მუსიკის ჟურნალისტი მებო ნუცუბიძე შევარჩიეთ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპონდენტი პრაქტიკოსი არტჟურნალისტია და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის, კულტურის ერთ-ერთ დარგში, მუსიკაში, სპეციალიზებული გადაცემის, „აკუსტიკის" (კონტენტანალიზის ნაწილში ამ გადაცემის სტრუქტურაც განვიხილეთ) ერთ-ერთი წამყვანია. ამასთანავე, საკუთარ აუდიოპროდაქშენის სტუდია „ჰეიმა პროდაქშენს" ფლობს, სადაც ვიდეოების, ანიმაციების, სერიალებისა და ფილმებისთვის მუსიკასა და ხმას ქმნის. გარდა ამისა, მებო ნუცუბიძე სხვადასხვა ბლოგებსაც წერს და მთარგმნელი და თარჯიმანიც გახლავთ.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მისთვის არტჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის ის მიმართულებაა, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა სფეროებზე წერს. მისი აზრით, ბევრი სხვა დარგის მსგავსად, საქართველოში არტჟურნალისტიკაც განვითარების საწყის ეტაპზეა, თუმცა, ბევრი საინტერესო ჟურნალისტი გვყავს, თუნდაც, მუსიკის განხრით.

კითხვაზე, უთმობენ თუ არა ქართული ტელევიზიები არტჟურნალისტიკას საკმარის დროს, რესპონდენტმა ასეთი პასუხი გაგვცა: „დიახ, უთმობენ, მოვლენებს რამდენად სწორად და ხარისხიანად აშუქებენ, ეგ ცალკე თემაა. თუმცა, ფაქტია, რომ კულტურისა და ხელოვნებისთვის ტელევიზიათა თითქმის ყველა გადაცემაში არის გამოყოფილი

დრო.“ ჟურნალისტის აზრით, არტჟურნალისტიკა ხელოვნების წარმომადგენლებზე უფრო მეტად ორიენტირებული უნდა გახდეს და არ იყოს ჩაკეტილი რამდენიმე ერთეულ ხელოვანზე, რომელსაც შემდეგ არხიდან არხზე ყველა გადაცემასა თუ სიუჟეტში ატრიალებენ.

მისი შეხედულებით, საქართველოში ბევრი საინტერესო და განსხვავებული ადამიანი ცხოვრობს და მათ შესაბამისი ყურადღება არ ეთმობათ: „ჩემი აზრით, საჭიროა, ჟურნალისტები უფრო მეტად გათვითცნობიერდნენ იმ დარგში, რომლის შესახებაც აპირებენ წერას. მაგალითად, თუკი ვაპირებთ, ვწეროთ მუსიკაზე, კარგად უნდა შევისწავლოთ მუსიკა, მისი ისტორია, ჟანრები, ტენდენციები და ა.შ. და რაც მთავარია უნდა გავაანალიზოთ გარემო.“

მებო ნუცუბიძის აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველია არხი საკუთარ ფუნქციას თემატიკათა მრავალფეროვანი მოზაიკის შექმნასთან დაკავშირებით ცალსახად ასრულებს, ამაში მის პროგრამაზე ზედაპირულად გადახედვითაც კი დავრწმუნდებით, რადგან უამრავი განსხვავებული თემატიკის გადაცემაა წარმოდგენილი. ამასთანავე, რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, არტჟურნალისტი ეთიკური, საკუთარ მიმართულებაში კარგად ჩახედული და გათვიცნობიერებული უნდა იყოს.

სიღრმისეული ინტერვიუ N 6

ჩვენი კვლევის ბოლო რესპონდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავაა, რომელიც სტუდენტებს მედიაში კულტურისა და ხელოვნების გაშუქებას ასწავლის, ასევე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თბილისის ჟურნალისტთა სახლში რედაქტორად მუშაობდა. ამასთანავე, რესპონდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამაზეც არაერთ საგანს ასწავლის,

მათ შორისაა ჟურნალისტიკის შესავალი, მედიაეთიკა, კინოპუბლიცისტიკა, კულტურის საკითხების გაშუქება მედიაში და სოციალური საკითხების გაშუქება.

ხათუნა კაჭარავასთვის ტერმინი არტჟურნალისტიკა კულტურის და ხელოვნების გაშუქებას უკავშირდება და ამ დარგებთან ასოცირებულ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებს აერთიანებს. მისი აზრით, დღეისათვის, არტჟურნალისტიკას ადგილობრივი და მსოფლიო პოლიტიკა ფარავს. ამ ყოველივეს კი ჩვენ გარშემო არსებული კონფლიქტები ამძაფრებს, რის შედეგადაც დღეს არამხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო ძალიან არასტაბილურ ვითარებაშია. შესაბამისად, ამ მიზეზების გამო არტჟურნალისტიკის ნაწილი იჩრდილება და აქტუალურობის თვალსაზრისით მას პოლიტიკა უსწრებს.

„ამ დარგის განვითარების მცდელობები მუდმივად იყო და დღემდე არის. მაგალითად, ქართულ ტელესივრცეში არსებობს ტელევიზიები, რომლებიც არტჟურნალისტიკის გაშუქებას გარკვეულ დროს უთმობენ. მაგალითად, ჩემთვის მონოთემურ არხ „არტარეას“ შექმნა ძალიან სასიხარულო იყო, რადგან ის დარგობრივი ჟურნალისტიკის გაჩენის ერთ-ერთი ნიშანი აღმოჩნდა. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ტელეარხმა გარკვეული მიზეზების გამო დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა, ამის მიზეზი შესაძლოა არხის საინფორმაციო პოლიტიკა, ფინანსები ან საზოგადოების მომზადების დონე გამხდარიყო.“

ხათუნა კაჭარავას აზრით, პროფესიონალი არტჟურნალისტი აუცილებელი არ არის ხელოვნებათმცოდნე იყოს, თუმცა კულტურის და ხელოვნების საბაზისო საკითხებს (სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო) უნდა იცნობდეს, მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში უნდა იყოს, ამასთანავე, გემოვნებიანი უნდა იყოს, ამ საკითხებზე ეფექტურად სასაუბრო უნარები უნდა გააჩნდეს და გაშუქების ფორმებსაც უნდა იცნობდეს.

„ჩემი აზრით, არტჟურნალისტიკა ყველაზე მეტად საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველ არხზე გვხვდება, რადგან ყველა სფეროს გაშუქება და ინტერესის დაკმაყოფილება სწორედ მისი მოვალეობაა. ამ ტელეარხზე მე ერთ-ერთ საინტერესო გადაცემა „დღის კოდს“ გამოვარჩევდი, რადგან მისი გაშუქების ობიექტი ხშირად სწორედ კულტურაა. ამ პროგრამაში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ სტუმრებად ისეთი შესანიშნავი

მეცნიერები გვევლინებიან, რომლებიც დიდიხანია რაღაც ახალს ქმნიან, თუმცა, ეკრანზე არ ჩანან და ამ გადაცემაში მათი ახლებურად პოზიციონირება ხდება, შესაბამისად, უცნობი და ნიჭიერი პიროვნებების ხმა ჟღერდება. ასევე, ჩემთვის გამორჩეული გადაცემაა „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ," რომელიც ხშირად ხელოვნების სახვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ადამიანის ისტორიაზე მოგვითხრობს. ამასთანავე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ახალ ამბებში კულტურის ბლოკი ცალკეა გამოყოფილი და მის გაშუქებას საკმაოდ დიდი დრო ეთმობა."

დანართი3

არხი	მუსიკა	კინო	მოდა	მხატვრობა	თეატრი	შოუ–ბიზი	ფოტო	ლიტერატურა
პირველი არხი	21	8	5	5	9	5	3	5
რუსთავი 2	18	8	3	10	1	8	1	4
იმედი	9	11	9	8	4	6	1	
მაესტრო	5	4	1	4	2			5
კავკასია				1				2

მედიის განვითარების ფონდის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის რაოდენობრივი კონტენტანალიზის შედეგები - გადაცემათა გრაფიკი თემატიკათა მიხედვით (საკვლევი პერიოდი 10 ოქტომბერი-10 ნოემბერი). (კვირიკაშვილი ნ (2011), კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, "მედიამონიტორინგი-პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარების" ფარგლებში," გვ.1-7/14) (https://rb.gy/eakfz ბ.ნ: 06.04.23 12:24)

დანართი 4

არხი	**სიუჟეტების რაოდენობა**
მოამბე, საზ.მაუწყებელი	60 სიუჟეტი
კურიერი, რუსთავი 2	55 სიუჟეტი
ქრონიკა, იმედი	52 სიუჟეტი
ახალი ამბები, მაესტრო	19 სიუჟეტი
დღეს, კავკასია	3 სიუჟეტი

მედიის განვითარების ფონდის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის რაოდენობრივი კონტენტანალიზის შედეგები (საკვლევი პერიოდი 10 ოქტომბერი-10 ნოემბერი). (კვირიკაშვილი ნ(2011), კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, "მედიამონიტორინგი-პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარების" ფარგლებში," გვ.1-7/14) (https://rb.gy/eakfz ბ.ნ: 06.04.23 12:24)